


უილიამ შექსპირი



თარგმანი მედია ჯაჯალიშვილისა

მხატვარი ნიკოლოზ ივანატოვი



მ ო ქ მ ე ლ ნ ი კ ი რ ნ ი

სატურნიუსი, რომის უკანასკნელი კეისრის ვაჟი, შემდეგ-ში კეისრად აღიარებული.

ბასიანუსი, სატურნიუსის ძმა, ლავინიას სატრფო.

ტიტუს ანდრონიკუსი, რომელიც, გუთების წინააღმდეგ მებრძოლი მხედართმთავარი.

მარკუს ანდრონიკუსი, ტიტუსის ძმა, სახალხო ტრიბუნი.

ლუციუსი
კვინტუსი
მარციუსი
მუციუსი } ტიტუს ანდრონიკუსის ვაჟები.

ყრმა ლუციუსი, ლუციუსის ვაჟი.

კუბლიუსი, მარკუს ანდრონიკუსის ვაჟიშვილი.

სემპრონიუსი
კაიუსი
ვალენტიანე } ტიტუსის ნათესაეები.

ემილიუსი, კეთილშობილი რომელი.

ალარბუსი
დემეტრიუსი
ჟირონი } ტამორას ვაჟები.

პარონი, მავრი, ტამორას საყვარელი.

კაკიტანი, ტრიბუნი, შიპრიკი და მდაბიო.


გუთები და რომაელები.

ტამორა, გუთების დელოფალი.

ლავინია, ტიტუს ანდრონიკუსის ასული.

გაღია და შავკანიანი ბავშვი.

სენატორები, ტრიბუნები, ჯარისკაცები და ამაღა.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

რომი, მონანს ანდრონიკუსთა საგვარეულო აკლდამა.

ზემოთ შემოდიან ტრიბუნები და სენატორები. ქვე-
შთს, ერთი კარიდან შემოდის სატურნინუსი, თავისი
მომხრეებით, ხოლო მეორედან ბასიანუსი და მისი
მომხრეები, დაუღაფებითა და დროშებით.

სატურნინუსი
პატრიციებო, მოსარჩლენო ჩემი უფლების,
იბრძოლეთ, რათა არ დათრგუნონ ჭეშმარიტება,
კეთილშობილნი რომაელებო, ჩემო მომხრენო,
მემკვიდრეობა მომიპოვეთ თქვენი მახვილით.
პირველშობილი მე ვარ ვაჟი იმისი, ვისაც
სკანასკნელად ამშვენებდა რომის გვირგვინი;
ღე, ღირსეული შვილი ვიყო მორტყმული მშობლის,
უფროს ძეს მისას ნუ დამტოვებთ შეურაცხყოფილს.

ბასიანუსი
რომაელებო, მეგობრებო და თანამდგომნო,
ბასიანუსი — კეისრის ძე თუკი ღირსია,
რომ გადმოხედოს რომმა თვისი მოწყალე თვალით,
მაშინ, კარიბჭე დაიცავით კაპიტოლისა,
არ დაანებოთ, რომ შებღალონ კეისრის ტახტი,
რომელიც მუდამ მსახურება ქველმოქმედებას,
პატიოსნებას, სიპართლეს და ღმობიერებას.
ღე, გმირობის შარავანდი მოსავდეს რჩეულს
და პერვინ ხელპყოს არჩევანის თავისუფლება.
ზემოთ შემოდის მარკუს ანდრონიკუსი, გვირ-
გვინით ხელში.)

მარკუსი

უფლისწულებო, მეგობართა ხელისშეწყობით,
პატივიმოყვრულად მიისწრაფით გვირგვინისაკენ,
მაგრამ, იცოდეთ, რომაელებო, რომელნიც გვთვლიან
ჩვენ უზენაეს უფლებათა აღმასრულებლად,
ასახელებენ ერთსულოვნად დღეს ანდრონიკუსს,
რომელსაც გმირულ საქმეთათვის ეწოდა პიუს.
ამ არჩევნებში ვით თავიანთ ღირსეულ რჩეულს.
ჩვენი ქალაქის ბჭეთა შიგან ვინ გვეგულებათ
მასზე მამაცი, მასზე ქველი, შემმართებელი!
სენატმა იგი გამოიხმო ბრძოლის ველიდან,
სადაც ებრძოდა დაუნდობლად ბარბაროს გუთებს,
მისი ვაჟები მხარში ედგნენ ერთგულ ბურჯებად
და დაიმონეს იარაღში ჩამჯდარი მტერი.
აწ უკვე განვლო ათმა წელმა, რაც მან პირველად
აიღო ხელში მახვილი და მტერს მოევილია,
ვითარცა რისხვა უდრეკი და დაუნდობელი.
ხუთჯერ დაბრუნდა იგი რომში მძიმე ბრძოლიდან,
სისხლი თქრიალით დასდიოდათ ღია ჭრილობებს,
თან ქვეყნის საქმეს შეწირულ შვილთ მოასვენებდა.
ღა აი, ახლაც დაგვიბრუნდა გმირი ტიტუსი,
ძლევამოსილი, უხვ ნადავლით დამშვენებული.
აწ მე მოგმართავთ ვით სენატის შუამავალი,
რომლის მსახურად მოგაქვთ თავი უერთგულესად,
მისი სახელით, ვის ღირსეულ შემცველსაც ეძებთ,
რომ შეჩერდეთ და თქვენი თავი დაიმორჩილოთ,
შინ დაითხოვოთ თანამდგომნი და ისე, როგორც
ტახტის ჭეშმარიტ მემკვიდრეებს შეეფერებათ,
მშვიდად, მორჩილად მოითხოვოთ ის, რაც გეკუთვნით.

სატურნინუსი

სულში სიმშვიდე დამიმკვიდრა ტკბილმოუბარმა!

ბასიანუსი

იმდენად მჯერა, მარკუს, შენი პირდაპირობის, ისე ვენდობი შენს სიქველეს, პირიანობას, ისე მიყვარხართ შენ და ყველა შენიანებიც, მამაცი ტიტუს, ღირსეული მისი ვაჟები და, ვისაც ასე სასოებით მე თაყვანსა ვცემ, ტურფა და ნაზი ლავინია — რომის მშვენება, რომ შინ დავითხოვ თანმდგომელებს დაუყოვნებლივ და მხარს დავუჭერ რომაელთა ღირსეულ რჩეულს; დე, ჩემი ხვედრი გადაწვევით ბედის სასწორმა.

(ბასიანუსის მომხრეები ვაღიან.)

სატურნინუსი

თქვენ, ვინც იცავდით თავდადებით ჩემს მართალ საქმეს, განთავისუფლებთ, მეგობრებო, მადლობის გრძნობით. დე, შევეწირო ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას, მე მას მივანდე ჩემი ბედი და მომავალი.

(სატურნინუსის მომხრეები ვაღიან.)

რომო, იყავი მოწყალე და სამართლიანი ჩემ მიმართ ისე, როგორც მე ვარ ერთგული შენი. გთხოვთ, რომ გააღოთ ჭიშკარი და მეც შემომიშვათ.

ბასიანუსი

მეც დამრთეთ ნება შემოსვლისა, თავმდაბალ მთხოვნელს! (შემახილები. ადიან სენატის სახლში. შემოდის ასისტავი.)

ასისტავი

რომაელებო, გზა დაუთმეთ დიდებულ ტიტუსს ჩვენს სწორუბოვარ მეომარს და სიკეთის ქომავს! დაბრუნდა იგი, ვისაც წყალობს ბრძოლის უამს ბედი და ვის წინაშეც მტრის ლაშქარი ქედს იხრის უმაღლ, ვინც ამჯერადაც ასახელა თვისი მახვილი, შემუსრა მტერი და დაადგა უღელი მძიმე.

(გაისმის დაფლათა და ხაყვირთა ხმები. შემოდის ტიტუსის ორი ვაჟი, შემდეგ ორი ჯარისკაცი, რომელთაც შემოაქეთ სულარაგადაფარებული სარკოფაგი. შემდეგ შემოდის ტიტუსის კიდევ ორი ვაჟი. მათ უკან მოსდევენ ტიტუს ანდრონიკუსი, ტამორა, ალარბუსიო, ქირონიოთა და დემეტრიუსიო, მაკრი აარონი და სხვა გუთები, ტყვეები, ჯარისკაცები, ხალხი. სარკოფაგს ძირს დგამენ და ტიტუსი მიმართავს ყველას.)

ტიტუსი

სალამი, რომო, მოხეიმევე გლოვის ძაძებში! კვლავ დავუბრუნდი ჩემს სამშობლოს, ვით ის ხომადდი, რომელმაც უცხო მიწა-წყალზე მოიხსნა ტვირთი

და დაივანა საბოლოოდ იმავ ყურეში, სადაც ასწია ღუზა შორეთს სამოგზაუროდ. კვლავად შენთან ვარ, შემოსილი დაფნის ტოტებით. ჩემი ქვეყანავ, გესალმები! დღეს შენმა ნახვამ კვლავ უდიდესი სიხარულის ცრემლი მომგვარა. შენ კი, მფარველო კაპიტოლის, უზენაესო! განზრახვას ჩვენსას გადმოხედე მოწყალე თვალთ! მე ვიყავ მამა ოცდახუთი გმირი ვაჟკაცის, ეს არის იმის ნახევარი, პრიაამს რომ ჰყავდა. ახლა შეხედეთ, უბადრუკ ნაშთს ცოცხალთ და მკვდართ ვინც ომს გადურჩა, სიყვარულით მიიღოს რომმა და, საუკუნო სამყოფელში ვისაც ვაცილებთ, დაე, ეღირსოთ განსვენება წინაპართ შორის. აჰა, გუთებიც დავამარცხე, ჩავავე ხმალი... ტიტუს, აწ დროა მოუარო ამ ძვირფას ნეშტებს, თორემ, ვაითუ, დაუკრძალავ შეილთა სულელებს სტიქსის საზარელ ნაპირებზე იბორიალონ. გზა დამიცალეთ, დავასვენო საკუთარ ძმებთან!

(აღებენ აკლამას.)

მიცვალებულებს პატივი ვცეთ მძიმე ღუმილით, იძინეთ მშვიდად, დამაშვრალნო ფიცხელ ბრძოლებში! შენ, დაკარგული სიხარულის წმინდა სავანე, სიკეთისა და სულგრძელობის ტკბილო საკანო, შენი თაღის ქვეშ შეიფარე გმირთა სულები, რომელთაც ველარ დამიბრუნებ მე, მოხუც მამას!

ლუციუსი

მომეცი, მამავ, ტყვე ყველაზე დიდგვაროვანი, რომ ასო-ასო ავჩუხო და ავაგო სარზე, Ad manes fratrum⁶ იგი მსხვერპლად შეეწირება როდესაც ძვლები აიხსნიან მიწიერ ბორკილს, დამშვიდდებიან წამებული მათი სულები და სააქაოს მკვიდრთ არასდროს შეგვაშფოთებენ.

ტიტუსი

ყველაზე უფრო კეთილშობილს გაძლევ ტყვეთაგან, ჰა, წაიყვანე დედოფალის უფროსი ვაჟი.

ტამორა

შეჩერდით, ძმანო რომაელებო! შენც, ანდრონიკუს, ძღვევამოსილო დამპყრობელო, იყავ მოწყალე და შეისმინე დამწუხრებულ დედის ვედრება; თუკი ოდესმე გყვარებია შენ შვილი შენი, მიხედები, რარიგ ძვირფასია შვილი ჩემთვისაც. ნუთუ არ კმარა, რომ აქ, რომში ტყვედ წამოგვასხი და ქედმოხრილინი რომაელთა მძიმე უღელქვეშ შენი დიდების სამკაულად გადაგვაქციე?! ახლა გწაღია, რომ მე თვალწინ მომიკლა შვილი და ცოდვად უთვლი სამშობლოსთვის თავისდადებას? თუ თავგანწირვა ტახტისა და მამულისათვის ითვლება კეთილმსახურებად რომაელთ შორის, მიღათაწმიდათ მიგვანჩნია ჩვენც ჩვენი ვალი!

უცოდველ სისხლით ნუ შეღებავ შენს საფლავს, ტიტუს,
ნუთუ არ ძალგის ღმერთებამდე ამაღლდე შენაც,
მართლაცდა, მათი შესაფერი გულმოწყალებით?
დიდსულოვნების ნიშანია უძღურთ შენდობა,
სამეზის დიადო, პირმშო ჩემი დაინდე, ტიტუს!

ტიტუსი

გვედრებ დამშვიდდე, დედოფალო, და მომიტეეო,
სისხლისმღვრელ ომში დაიღუპნენ ჩემი შვილები,
გუთნო, თქვენც გახსოვთ ვით დაეცნენ ცხარე ბრძოლაში;
დღეს მათი სისხლი ცად ღალატებს და მსხვერპლს
მოითხოვს;

განწირულია შენი შვილი და უნდა მოკვდეს,
რათა დამშვიდდნენ განსვენებულ გმირთა სულები.

ლუციუსი

მაშ, წავიდეთ და გავაჩალოთ ძლიერი ცეცხლი,
მერე ავჩნხთ ასო-ასო მისი სხეული,
და დავწათ ისე, რომ დანაცრდეს ყოველი ძვალი.
(გაღიან ლუციუსი, კვინტუსი, მარციუსი, მუ-
ციუსი და ვაჰავთ ალარბუსი.)

ტამორა

ჰოი, საზარო და ურწმუნო ღვთისმსახურება!

ქირონი

ბარბაროს სკვითსაც არ შეეძლო ამის ჩადენა!

დემეტრიუსი

პატიემოყვარე რომი უფრო გულქვაა, ქირონი!
ა, ალარბუსი მიდის, რათა სიმშვიდე ჰპოვოს,
ჩვენ კი აქ ვრჩებით, ტიტუსის წინ შიშით რომ
ვძრწოლეთ.

მგრამ, არ შედრკე, დედოფალო, იმედოვნებდე,
დაღება დრო და იგივე ღმერთნი, რომელთ შეწევნით
ტროას დიდებულ დედოფალმა შური იძია,
რომ მზე ჩაექრო თრაკიელი ტირანისათვის
მისივე კარავში, დაგვხედავენ მოწყალე თვალით
და ჩვენ გუთები გუთებათვე დავრჩებით ისევ,
და დედოფალი ტამორა კი კვლავ იდელოფლებს,
რათა მიუზღოს მაგიერი, სისხლი სისხლის წილ.

(კვლავ შემოდან ლუციუსი, კვინტუსი, მარციუსი
და მუციუსი, სისხლიანი მახვილებით.)

ლუციუსი

გვისმინე, მამე, ვით აუუგეთ წესი ალარბუსს
და აღვასრულეთ რომაელთა ზნე-ჩვეულება:
მისი სხეული ერთიანად ავჩრხეთ ხმლებით,
მისი გულ-ღვიძლი იწვის ახლა სამსხვერპლო ცეცხლზე
და რუბი კვამლი ეფინება ცას გუნდრუკივით.
ის დაგვრჩენია, მმათა ნეშტებს მივხედოთ ახლა
და რომს ვაუწყოთ დაფდაფებით მათი დაკრძალვა.

ტიტუსი

აღსრულდეს ესე, დაე, ტიტუს ანდრონიკუსი
დაემშვიდობოს მათ აჩრდილებს უკანასკნელად.
(საყვირის ხმა. სარკოფაგი შეაქეთ აკლდამაში.)

მშვიდად, ღირსებით განისვენეთ, ჩემო შვილებო,
რომის მამაცნო მეომარო, იძინეთ მარად;
მანდ ვერ მოგწვდებათ წუთისოფლის უკუღმართობა,
არც გამცემლობა და ღალატი ჩავისაფრდებათ,
მწარე საწამლავს არ მოგაწვდით არვინ ფარულად,
არ შეგაწუხებთ არც ვრიგალი და არც ავდარი,
მხოლოდ სიჩუმე და სიმშვიდე დაგუფულებათ.
მშვიდად, ღირსებით განისვენეთ, ჩემო შვილებო!

(შემოდის ლავინია.)

ლავინია

მშვიდად, ღირსებით განვლე დღენი, ძვირფასო მამავ!
იცოცხლე დიდხანს, დე, დიდება ნუ მოგკლებოდეს.
ამ აკლდამასთან ვღვრი მღუდარე ცრემლების ნაკადს,
უსაყვარლესი ჩემი ძმები სადაც დაკრძალეთ.
ხოლო, შენს ფერხთით მუხლს მოვიყრი მე სასოებით,
შენს დაბრუნებას სიზარულის ცრემლებით ვხვდები.
ძლევაშილი მაგ ხელებით დამლოცე, მამავ,
რომელთაც ასე თაყვანს სცემენ რომაელები!

ტიტუსი

კეთილო რომო, სიყვარულით შემოგინახავს,
ხანდაზმულ გულის სანუგეშოდ ეს წრფელი გრძნობა!
მოხუც მამაზეც უფრო დიდხანს იცოცხლე, შვილო,
მუდამ თან გვევდეს დიდება და წმინდა სახელი.

(შემოდან მარკუს ანდრონიკუსი და ტრიბუ-
ნები. კვლავ შემოდან სატურნიუსი, ბასიანუ-
სი და სხვანი.)

მარკუსი

სალამი, ტიტუს, ჩემო ძმაო, უსაყვარლესო,
დღეს მთელი რომი შემოგყურებს, ვით ტრიუმფატორს!

ტიტუსი

მადლობას გწირავ, ძმაო მარკუს, ჩემო კეთილო!

მარკუსი

ყველას გილოცავთ გამარჯვებას, თქვენც, მმისწულებო,
ვინც ომს ვადურჩით და, თქვენც, ვისაც გძინავთ
დიდებით.

უფლისწულებო, ერთნაირი შეგხვდათ დიდება,
რადგან თქვენც მათებრ მამულისთვის თავს არ ზოგავდით.
თქმცა, დაკრძალვის ზარ-ზეიმი სულ სხვაა მაინც,
ის აზიარებს კაცთ სოლონიან ბედნიერებას,
რადგან დიდების სარეცლიდან ამაყად დასცქერს,
ამაოებას ამქვეყნიურს. მამაცო ტიტუს,
დღეს ჩემი ხელით გიგზავნიან რომაელები,

მათი სიმართლის დამცველსა და ქვეყნის დედაბოძს, ამ თეთრ პალეკარტს, ჯერეთ წმინდას და შეუბღალავს და იმპერიის არჩევნებში შენც გასახელებს თავის რჩეულად კეისარის ვაჟებთან ერთად. მაშ, იყავ ჩვენი Candidatus¹⁰, უარს ნუ გვეტყვი, რომ უთავო რომს ღირსეული დაეადგათ თავი.

ტიტუსი

მის დიდებულ ტანს უკეთესი თავი შეშვენის, ვიდრე ჟამთასვლით გათეთრებულ ბერიკაცისა. აბა, რას ვაქნევ ამ მოსასხამს, თქვენც რად გაგსარჯოთ, თუკი დღეს ერთხმად არჩეული, ხვალ მიგატოვებთ, რამეთუ მოვა უღმობელი სიკვდილის ჟამი და კვლავ ახალი საზრუნავი გამოვიჩნდებით?! რომო, ორმოც წელს ჯარისკაცი ვიყავი შენი, შენს ძლიერებას თავგანწირვით ვიცავდი მუდამ; დავასაფლავე ოცდაერთი ჩემი ვაჟკაცი, ძირს რომ დაეცნენ ბრძოლის ველზე მახვილით ხელში, მამულისათვის სამუდამოდ თავდადებულნი. ჭადარა მოხუცს, ვთხოვთ, რომ მომცეთ დიდების კვერთხი და არა სკიპტრა ამა ქვეყნის გამგებელისა, მტკიცედ რომ ეპყრა განსვენებულ კეისარს ჩვენსას.

მარკუსი

თუკი ისურვებ, მმართველობას მიიღებ, ტიტუს.

სატურნინუსი

როგორა ბედავ თვითნებობას, ამაყო მარკუს?!
(ხანგრძლივი საყვირის ხმები.)

ტიტუსი

გთხოვ შეიცადო, უფლისწულო...

სატურნინუსი

პატრიციებო,

გამომესარჩლეთ, დაუნდობლად იშიშველეთ ხმალი და არ ჩააგოთ, ვიდრე ტახტი მე არ დამრჩება. უმაღ ჯოჯოხეთს ჩაინთქმები, ტიტუს, იცოდე, ვიდრე ხალხის გულს მომტაცებდე ძალმომრეობით.

ლუციუსი

ო, ქედმაღალო სატურნინუს, რატომ არ აცლი, რომ თქვას ტიტუსმა, რა სწადია მის კეთილ ნებას?!

ტიტუსი

მე დაგებრუნებ, სატურნინუს, ხალხის გულს, თუნდაც მათსავ მკერდიდან ამოგლეჯა მომიხდეს მისი.

ბასიანუსი

არ ვპირმოთნეობ, ანდრონიკუს, მე შენ წინაშე, არამედ დიდად პატივსა გცემ სიკვდილის დღემდე და, თუ მომავალ არჩევნებში მხარსაც დამიჭერ, ამითი მეტად დამავალებ; ღირსეულ კაცმა მაღლიერების ფასი იცის, კეთილო ტიტუს.

ტიტუსი

რომაელებო და სახალხო ტრიბუნო, თქვენაც, ნუ დაიზარებთ მხარდაჭერას, ხმა მომაშველეთ, ნუთუ ეს ჩემთვის, მეგობრებო, დაგენანებათ, მაჩვენეთ თქვენი გულწრფელობა, ნლობა, შეწვევა.

ტრიბუნები

რათა დეაწლმოსილ ანდრონიკუსს პატივი დავლოთ და მის მშვიდობით დაბრუნებას ვუძღვნათ სალამი, ერთხმად მივიღოთ ჩვენს კეისრად მისი რჩეული.

ტიტუსი

მადლობას გიძღვნი, ტრიბუნებო, და გთხოვთ მორჩილად, რომ აირჩიოთ განსვენებულ კეისრის პირმშო, კეთილშობილი უფლისწული — სატურნინუსი. მისი სიკეთე რომს ისევე მოეფინება, როგორც სხივები, უხვად რომ ჰფენს სივრცეს ტიტანს, და ჩვენს მხარეშიც გაიხარებს სიმართლის ნერგი. თუ მოგწონთ ჩემი არჩევანი, ერთხმად შესძახეთ: „იდილოს ჩვენმა კეისარმა — სატურნინუსმა!“

მარკუსი

პატრიციებო, პლებეებო, თქვენი თანხმობით, შეწვევითა და თანმდგომობით კეისრად ვირჩევთ ჩვენს კეთილშობილ სატურნინუსს; შეეძახოთ ერთხმად: „იდილოს ჩვენმა კეისარმა — სატურნინუსმა!“

(ხანგრძლივი საყვირის ხმები.)

სატურნინუსი

რადგანაც ტიტუს ანდრონიკუსს, პატივი დამდე, ხელი შეუწვევე წრფელი გულით დღეს ჩემს არჩევას, უღრმეს მადლობას მოგახსენებ სიკეთისათვის და ერთგულებას დაგიფასებ ღირსეულ საქმით. უპირველესად, შენი გვარი მსურს აღვაზევო და ამიტომაც ლავინიას ხელსა გთხოვ, ტიტუს; როს ჯვარს დავიწერთ პანთეონის წმიდა ტაძარში მას რომისა და ჩემი გულის დელოფლად ვაქცევ აბა, რას იტყვი, თანახმა ხარ ჩემს არჩევანზე?

ტიტუსი

რალა თქმა უნდა, თანახმა ვარ, ჩემო მფარველო, ამ ქორწინებას დიდ წყალობად ვთვლი შენი მხრიდან და აი, აქვე, რომაელთა თვალწინ მოვიძღვნი, რომის დიდებულ მმართველსა და კეისარს ჩვენსას, თვალმიუწვდენელ სამყაროის ძლიერ გამგებელს, ჩემს ეტლს, ჩემს მახვილს და ჩემს ტყვეებს, მაღლიერ კრძნობით.

რომის კეისარს დიდებული ძღვენი შეჰფერიხ და ამიტომაც ფეხთ დაგიფენ თავვანისცემით ჩემს კუთვნილ ჯილდოს — გამარჯვების უძლეველ დროშებს.

სატურნინუსი

კეთილშობილო, ჩემო ტიტუს, მადლობას გწირავ და სიამაყის გრძნობით მავსებს მდიდრული ძღვენი; რომი უკვდავყოფს შენს გმირობას და, თუ ოდესმე მე შენი ღვაწლი დავივიწყო, დე, რომაელთაც ვდავივიწყონ ერთგულება კეისრისადმი.

ტიტუსი (ტამორას)

ამიერიდან, დედოფალო, კეისრის ტყვე ხარ და, იმედი მაქვს, არც ერთ თქვენგანს არ მოაკლდება თქვენი ღირსების შესაფერი გულმოწყალება.

სატურნინუსი

ო, მშვენიერო დედოფალო, ნება რომ მქონდეს, აღარც კი ვიცი, რომელ თქვენგანს ამოვირჩევდი. თუმც მწუხარება მოგიტანა საზარმა ომმა, მაგრამ გამხნევედი, მოიცილე ჭმუნვის ღრუბელი; აქ, რომში ვერვინ ვერ გაბედავს თქვენს დამცირებას, და მოგეპყრობით, ვით შეჭურვის გუთთა დედოფალს. ენდე ჩემს სიტყვებს, ნუ გადიწვევებ მაცხოვარ იმედს, რაჟეთუ შემწევს უნარი, რომ სიტყვით კი არა, არამედ საქმით განგადიდო და ავაძალო. ვგონებ, საწყენად არ დარჩება ეს ლავინიას.

ლავინია

რა ბრძანებაა, კეისარო, შენი სიტყვები ადასტურებენ ჭეშმარიტად მაღალ ბუნებას.

სატურნინუსი

მადლობას ვიძღვნი, ლავინიავ! რომაელებო, მე დღეს ჩემს ტყვეებს უსასყიდლოდ ვათავისუფლებ. მაშ, ეს ზეიმი დაუდაფებით აუწყეთ ყველას.

(საყვირის ხმები. სატურნინუსი თვალებით ეარშიყება ტამორას.)

ბასიანუსი

გთხოვ მომიტევეო, ტიტუს, მაგრამ, ქალი ჩემია!

(ხელს სტაცებს ლავინიას.)

ტიტუსი

რაო, რა ბრძანე, უფლისწულო?! ხომ არა ხუმრობ?!
სატურნინუსი

სულაც არ ვხუმრობ, ჩემო ტიტუს, სიმართლეს ვამბობ და მე ჩემს სიტყვებს ამ მახვილით დავიცავ მტკიცედ.

მარკუსი

რომში არსებულ Suum cuique¹¹ კანონის ძალით, ბასიანუსი თავის კუთვნილს მოითხოვს მხოლოდ.

ლუციუსი

მიიღებს კიდეც, ვიდრე სული მიდგია პირში!

ტიტუსი

მოლაღატენო, მომეტალეო! ეჭვი, მცველნო! გამცემლობაა, კეისარო, მომტაცეს ქალი!

სატურნინუსი

კი მაგრამ, როგორ, ვინ გაბედა!

ბასიანუსი

მან, ვინც საცოლეს კანონის ძალით არ დაუთმობს ქვეყნად არავის. (გადიან მარკუსი და ბასიანუსი, ლავინიასთან ერთად.)

მუციუსი

უშველეთ ძმებო, რომ მშვიდობით ეწიონ თვის გზას, მე კი მახვილით ამ გასასვლელს დავიცავ მტკიცედ.

(გადიან ლუციუსი, კვინტუსი და მარციუსი.)

ტიტუსი

მომყევი, ჩემო კეისარო, გზა გადავუჭრათ!

მუციუსი

ჩემო მფარველო, გზას ვერ მოგცემ...

ტიტუსი

როგორ ბედავ და გზას მიღობავ?! თავხედო ბიჭო,

(მახვილს ჩასცემს მუციუსს.)

მუციუსი

მიშველე, ძმაო...

(კვდება. შემოდის ლუციუსი.)

ლუციუსი

ეს რა ჰქენ, მამავ, საკუთარ შვილს გული გაუბე და უსამართლოდ მოუსწრაფე ნორჩი სიცოცხლე?!
ტიტუსი

არც მკვლარს, არც ცოცხალთ აღარა ვთვლით შვილებად

რაღვან ჩემი ძე მე არასდროს არ შემარცხვენდა. უკვე, კეისარს უმაღლ დაუბრუნეთ მისი საცოლე!

ლუციუსი

ცოცხალი თავით არ გაჰყვება ივი მას, რაღვან გმირ ბასიანუსს სამუდამო ტრფობა შეჰფიცა.

(გადის.)

სატურნინუსი

ნულარას ცდილობ, ანდრონიკუს, რომის კეისარს აღარ სჭირდებით აღარც შენ და არც შენი მოღვმა, ვერ ვერწმუნები მას, ვინც ასე არად ჩამაგლო.

ვერც შენ გენდობი და ველარც შენს, თავკასულ შეილებს; პირი შეჭკარით და ვერ ნახეთ კეისრის გარდა, მთელ რომში კაცი, რომ აბუნად აკეგლოთ ჩემებერ?! ეს საქციელი უსაფუძვლო ქადილს ამართლებს, თითქოს შენ უნდა გიმადლოდე ჩემს კეისრობას.

ტიტუსი

ეს რა საზარი საყვედურის სიტყვები მესმის!

სატურნინუსი

დე, ასე იყოს, შენი ქალი, პირუმტიციები, აჩუქე იმას, ვინც მის გამო იქნევა მახვილს, ის სანაქებო სიძეობას გაგიწევს და თან მხარს ღირსეულად დაუმშვენებს შენს თავხედ შეილებს, რომ მყუდროება დაურღვიონ რომის სამეფოს.

ტიტუსი

შენი სიტყვები მიღრმავებენ გულში იარას!

სატურნინუსი

შენ კი, გუთების დედოფალო, შენი მშვენებით, ისევე ბრწყინავ რომის ტურფა ბანოვანებში, ვით ნიმფებს შორის მომხიბლაეი, ნაზი დიანა. შენ გასახელებ ჩემს საცოლედ და, თუ გახარებს, გუთების ტურფა დედოფალო, ეს არჩევანი, მე აღგაზევებ ღიდი რომის მბრძანებელ ქალად. მაშ, განმიცხადე, რა სწადია შენს კეთილ ნებას და შენ წინაშე დავიფიცებ რომის ყველა ღმერთს, რამეთუ უკვე კაშკაშებენ ტაძრის სანთლები, თვითონ ქურუმიც იქ არის და წმიდა საკმელიც, და ჰიმენესთვის ყოველივე მზადდება უკვე, რომ საზეიმოდ ფეხს არ დადგამ რომის ქუჩებში, არც სასახლეში დაებრუნდები, ვიდრე, ტამორავ, შენ არ გიგულებ კანონიერ მეუღლედ ჩემად.

ტამორა

ვფიცავ ზეცის და რომაელი ხალხის წინაშე, თუ კეისარი აამალლებს გუთთა დედოფალს, იგი იქნება მის სურვილთა მონა-მორჩილი და მის შეილების მოყვარული, აღმზრდელი დედა.

სატურნინუსი

მაშ, ტაძრისაკენ გავემართოთ, ჩემო ტამორა, პატრიციებო, გამომყევით მე და ჩემს რჩეულს, რომელიც ჩემთვის გამოგზავნა თვით მაღალ ზეცამ და რომლის მადლმაც მას არგუნა ყოფნა დედოფლად; იქ აღსრულდება საქორწინო წეს-ჩვეულება.

(ყველანი გადიან, ტიტუსის გარდა.)

ტიტუსი

არც მრაცხა ღირსად, თან ეხლებოდი მე მის საცოლეს; ნუთუ ყოფილხარ, ანდრონიკუს, ოდესმე ასე დამცირებული და ავ სიტყვით შეგინებული!

(შემოდის მარკუსი, ლუციუსი, კვინტუსი და მარციუსი.)

მარკუსი

შეხედე, ტიტუსს! ო, შეხედე, რა ჩაიღინე! ასეთ პატარა კინკლაობას შესწირე შვილი!

ტიტუსი

ჰოი, ტრიბუნო — უგუნურო, ეს რა შვილია! ან შენ რა ძმა ხარ — სამარცხვინო საქმის ჩამდენი?! თქვენ დაამცირეთ ჩემი გვარი, თქვენ ვინ ხართ ჩემი, უღირსი ძმა ხარ და უღირსი მყვანან შვილებიც!

ლუციუსი

ნება მოგვეცი, მუციუსი დავმარხოთ ისე, როგორც შეჭყერის — საკუთარი ძმების მახლობლად.

ტიტუსი

შორს, გამცემლებო! ის დამარხვას არ ეღირსება იმ აკლდამაში, რომელიც დგას ხუთ საუკუნეს და რომელიც მე მისთვის მოვრთე და განვაახლე, რომ მის თაღებმა შეიფარონ თავდადებულნი და არა უგუნურ საქმის მსხვერპლნი და ჩხუბისთავნი; სადაც გენებოთ, იქ დამარხეთ, აქ კი არასდროს!

მარკუსი

უსამართლო ხარ, ჩემო ძმაო, სულს რად იმძიმებ, ჩემი ძმისწულის სიმამაცე შენ თვითვე უწყვი, მან თავის ძმებთან უნდა ჰპოვოს სულის სიმშვიდე.

კვინტუსი და მარციუსი

ასეც იქნება! თუ არადა, ჩვენც მას მივყვებით.

ტიტუსი

ვინა თქვა, ასეც იქნებაო, ვინ გამიბედა?!

კვინტუსი

მან, ვინც ამ სიტყვას კვლავ თამამად გაიმეორებს.

მარკუსი

ნუ ჯავრობ, ტიტუს, გვედრებით, ისმინე ჩვენი და დაგვრთე ნება, მუციუსი ძმებთან დავმარხოთ.

ტიტუსი

აჰ, მარკუს, ახლა მუხარადში მომარტყი სწორედ! ბაღლებს ემხრობი და გინდა რომ მე შეურაცხმყო?! ყველანი მტრებად მეჩვენებით, ნულარ მამფოთებთ, მომცილდით-მეთქი, გირჩევნიათ თქვენს გზას ეწიოთ.

მარციუსი

ისე შეიპყრო მრისხანებამ, რომ გაცლა გვიჯობს

კეინტუსი

ვალრე მუციუსს არ დავმარხავთ, ფეხს არ მოვიცვლი.
(მარკუსი და ტიტუსის შვილები იჩოქებენ.)

მარკუსი

ძმავ, ბუნების ძალა გვედრებს...

კეინტუსი

მამავ, გვისმინე...

ტიტუსი

იყურეთ, თორემ უარესი მოელით სხეებსაც!

მარკუსი

კეთილო ტიტუს, ჩემი სული შენა გაქვს ხელთა...

ლუციუსი

გვისმინე, მამავ მბრძანებელი, ჩვენო სისხლ-ხორცი!

მარკუსი

ნება მომეცი შენს ერთგულ ძმას, ლავინიასთვის და სიმართლისთვის განწირული ჩემი ძმისწული დავასაფლავო ამ უწმიდეს სამარეთ შორის. გახსოვს, როდესაც აიაქსმა მოიკლა თავი და როს ითხოვა ბრძენ ლაერტის ვაჟმა შენდობა, ვით შეიწყნარეს ბერძნებმა და დაასაფლავეს¹². მაშ, რად უღობავ გზას მარციუსს, რომ ღირსეულად დავასაფლავოთ ძმათა გვერდით.

ტიტუსი

ადექი, მარკუს!
ასეთ საზარ დღეს არასოდეს არ შევსწრებდითარ. ჩემმა შვილებმა შეურაცხმევეს რომის წინაშე. დამარხე, მარკუს, და მეტე მეც თან მიმყოლე.
(მუციუსს ჩაუშვებენ სამარეში.)

ლუციუსი

ღე, განისვენონ შენმა ძელებმა, ტკბილო მუციუს, შენს სამარესაც მალე მოვრთავთ ნაალაფევეით.
(ყველა ერთად იჩოქებს.)

ნურავინ დაღვრის ცრემლს მამაცი მუციუსისთვის, ვინც სიკეთისთვის კვდება, იგი მარადის ცოცხლობს!

მარკუსი

ტიტუს, თუნდ წამით დავივიწყოთ ეს მწუხარება და მითხარ, გუთთა დედოფალმა ვით მოახერხა, ასე უეცრად ქცეულიყო რომის მბრძანებლად?

ტიტუსი

არ ვიცი, მარკუს, ის კი ვიცი, რომ მოახერხა, ცბიერებით თუ სხვა ხრიკებით, ეს ზეცამ უწყის. მაგრამ, ნუთუ არ გადაუხდის მადლობას იმას, ვინც მოიყვანა რომში, რათა ტახტი დაეპყრო? ალბათ გადაუხდის და დიდადაც დაასაჩუქრებს.
(საყვირის ხმა. ერთი მხრიდან შემოდის კეისარი, ტამორას, დემეტრიუსის, ქირონისა და მავრი აარონის თანხლებით, ხოლო მეორე მხრიდან - ბასიანუსი, ლავინია და სხვანი.)

სატურნინუსი

მაშ, ბასიანუს არ დამითმე შენი კუთვნილი? შენს მეუღლეს და შენც ვისურვებთ ბედნიერებას.

ბასიანუსი

და შენც ამასვე, კეისარო! ამაზე ნაკლებს და არც ამაზე მეტს ვისურვებ. ასე გშორდებით.

სატურნინუსი

მოღალატე ხარ, ბასიანუს, კანონის ძალით, შენ ჩემ წინაშე პასუხს აგებ ძალადობისთვის.

ბასიანუსი

თუ ამას ჰქვია ძალადობა, რომ სიყვარული, ჩემთვის აღთქმული, და მეუღლე შევინარჩუნე, დე, გადაწყვიტოს ყოველივე რომის კანონმა! ჯერჯერობით კი მხოლოდ მას ვფლობ, რაიც მეკუთვნის.

სატურნინუსი

კეთილი, მაგრამ, არ შეგარჩენ კადნიერებას და მთელ სიმკაცრით გადაგიხდი, თუკი დამცალდა.

ბასიანუსი

რაც ჩაეიდინე, მე ამაზე თვით ვაგებ პასუხს, თუნდაც სიცოცხლის საფასურად დამიჯდეს იგი; იმას კი გეტყვი, მოწყალეო ჩემო ხელმწიფე, რასაც მავალებს ჩემი გრძნობა რომის წინაშე: აი, აქა დგას გმირი ტიტუს ანდრონიკუსი, აწ უსამართლოდ დასჯილი და დამცირებული; მრისხანებით თუ ერთგულებით გულანთებულმა, საკუთარ ხელით მოკლა თვისი უმცროსი ვაჟი, რათა დაენსნა ლავინია და კვლავად შენთვის შემოეწირა ის, რაც ერთხელ გულწრფელად გიმძვნა. მაშ, კვლავ მიიღე მოწყალებით გმირი ტიტუსი, ვისი საქმენიც დალაღებენ, რომ იგი მართლაც არის მოყვარე კეისრისა და დიდი რომის.

ტიტუსი

ნულარას იტყვი, ბასიანუს, ამაოდ იღვწი, საქმეთა ჩემთა შენი ხოტბა არა სჭირდებათ,

შენ შეურაცხმავ, მაგრამ რომი და ზეცა განსჯის, ვით ვაფასებდი და მიყვარდა სატურნინუსი.

ტამორა

ჩემო მეუფევ, თუკი ერთგულ დედოფალს შენსას წყალობის თვალთ უყურებ და ნდობით ექცევი, მაშინ ისმინე პირუთვნელი ჩემი სიტყვები და ჩემი თხოვნით მიუტევე ტიტუსს, რაც მოხდა.

სატურნინუსი

აბა, რას ბრძანებ, დედოფალი! ასე უბრალოდ ვით მიუტევეო ეს აშკარა შეურაცხყოფა?!

ტამორა

არა, ღმერთები, კეისარო, არ ინებებენ, რომ მე მიზეზი ვიყო შენი შეურაცხყოფის. გნებავთ, თავდებად დავუდგები და ვფიცავ სინდისს, რომ კეთილ ტიტუსს არ მიუძღვის დანაშაული, მისი გულწრფელი აღშფოთება მეტყველებს ამას. მაშ, გადმოხედე მოხუცს შენი მოწყალე თვალთ, ეჭვების გამო ნუ დაკარგავ კეთილ მეგობარს და ნუ მოუკლავ, კეისარო, გულს სასტიკ მზერით.

(განზე სატურნინუსს.)

ჩემო მეუფევ, დამიჯერე, შეუნდე ტიტუსს, დასძლიე შენს თავს და დაფარე ეგ მრისხანება. სამეფო ტახტზე ჯერ მტკიცედ არ დამკვიდრებულხარ და შეიძლება ხალხმა ტიტუსს აუბას მხარი, პატრიციებმაც დაინახონ სიმართლე მისი და ჩამოგართვან მმართველობა, როგორც უმადურს. უმადურებას რომაელნი დიდ ცოდვად სთვლიან და ამიტომაც გესმას ჩემი... მერე მე ვიცი... მოესაობ ამქვეყნად მათ გვარსა და მათ სახსენებელს, მუხანათ შვილებს მივთვალვებ გულბოროტ მამას, რომელსაც თვალზე ცრემლით ვთხოვდი შვილის სიცოცხლეს.

ჭკუას ვასწავლი, დედოფალი, მავედრებელი, რომ ვერასოდეს დააჩოქონ ხალხის წინაშე.

(ხმამალა.)

მოდო, ძვირფასო ანდრონიკუს, მაშ, კეისარო, მიეცი ხელი მოხუც ტიტუსს და დაუმშვიდე გული, მაგ რისხვის ქარიშხალით შეშფოთებული.

სატურნინუსი

ადექი, ტიტუს, აწ დედოფლის სიტყვებმა გაჭრეს.

ტიტუსი

მადლობას ვიძღვნი, კეისარო, შენც, დედოფალი! თქვენმა სიტყვებმა დამიბრუნეს სიცოცხლე კვალად.

ტამორა

ტიტუს, მე თითქოს რომს ერთიან შევესისხლხორცე და სიხარულით ვთვლი დღეიდან თავს რომაელად, ამიტომ მხოლოდ კეთილ საქმეთ ვურჩევ კეისარს; დღეს შეწყდა შუღლი, ანდრონიკუს, ჩემი წყალობით. აწ მით ვამაყობ შენ წინაშე, ჩემო კეთილო, რომ შევძელი და მეგობრები კვლავ შეგარიგეთ. შენზე კი, ჩემო ბასიანუს, კეისარს ვუთხარ, რომ მომავალში შეიქმნები უფრო დამთმობი; ნუ გეშინია, ლავინია, ნურც თქვენ, ჭაბუკნო, გირჩევთ, რომ მუხლი მოიყაროთ მორჩილად ყველამ და გულმოწყალე ჩვენს კეისარს შენდობა სთხოვით.

ლუციუსი

მზად ვართ ეგ სიტყვა შევასრულოთ და ვფიცავთ ზეცას, რომ არ მიგვიძღვის მის წინაშე დანაშაული, ჩვენ მხოლოდ ჩვენი დის ღირსებას ვიცავდით მტკიცედ.

მარკუსი

ჩემი სინდისიც ადასტურებს ამას ასევე.

ტამორა

არა, ერთმანეთს მეგობრებად უნდა დავცილდეთ. ზედა? ყველანი იჩოქებენ, ვთხოვენ შენდობას! მომხედე, ჩემო კეისარო, ნუ მეტყვი უარს.

სატურნინუსი

მარკუს, იცოდე, მხოლოდ შენთვის და შენი ძმისთვის, და მშვენიერი დედოფალის, ტამორას თხოვნით, მე ამ ჭაბუკებს ვაპატიებ დიდ დანაშაულს. ადექით! შენ კი, ლავინია, თუმც მიმატოვე, სამაგიეროდ შევიძინე სხვა მეგობარი; მე დავიფიცავ მის წინაშე მტკიცედ, რომ ახლავ დავიწერთ ჯვარს და მერე გავწევთ სამეფო კარზე და ორთავ ქორწილს თუ დაიტევს ჩემი სასახლე, მაშინ გაატიუებთ ყველას ერთად ამ დიდ ზეიმზე! ჩემო ტამორა, ეს იქნება დღე სიყვარულის!¹³

ტიტუსი

ზვალ თუ ისურვებს კეისარი, კეთილშობილი, რომ, ან ავაზა, ან ირემი მოინადიროს¹⁴, შევეგებები განთიადზე საყვირთა ხმებით.

სატურნინუსი

დე, ასე იყოს, ჩემო ტიტუს, მადლობას ვიძღვნი.

(საყვირის ხმები. გაღიან.)

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

რომი, სასახლის წინ.
შემოდის აარონი.

აარონი

აბა, ტამორამ მიაღწია ოლიმპოს მწვერვალს და იქ ნებიერობს, სადაც ბედი ვერას უმუხთილებს, სადაც ვერ აღწევს ელვის ცეცხლი, ქუხილის გრგვინვა და ვერ მისწვდება შურისგების ბოროტი ხელი. ვით მზე, ელვარე, ოდეს ცისკარს მიესალმება, მოაერაყებს ოკეანეს ოქროს სხივებით და მერე მიჰქრის მბრწყინავ ეტლით ზოდიაქოსკენ, რომ მედიდურად გადმოხედოს მათათა მწვერვალებს, ტამორაც ასე!

მას შეწევს ძალა მიწიერი დიდებით დატკბეს და სათნოება ითრგუნება მისი მზერის ქვეშ. მაშ, შენც, აარონ, შეუხამე მას შენი ფიქრი და შენი გულიც მის გულივით მომართე, რათა ამაღლე შენაც გვირგვინოსან სატრფოსთან ერთად. ლე, შენც დაიპყრო ის მწვერვალი, სადაც ის მეფობს, ვინც დაატყვევე შენი ტრფობით და უფრო მეტად შეოტყვე შენი მომხიბლავი თვალებით, ვიდრე კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთეოსი!

შორს ეს მონური ძონძეები და ლაჩრული ფიქრი! მსურს, რომ ვბრწყინავდე ოქრო-ვერცხლსა და მარგალიტში და ახლადდასმულ იმპერატორ ქალს ვემსახურო... ვემსახურო?! რა წამომცდა! არა, მე მხოლოდ ვისამტკბილებ ჩემს ლეღოფლით, ჩემი ღვთაებით, სემირამიდით, ჩემი ნიმფით და სირინოზით, რომლის მშვენივალ კეისარსაც დაასხა თავბრუ. და მოვესწრები მე დამხობას სატურნინუსის და თვით რომისაც... მაგრამ ჩუ! ეს რა ხმაურია!

(შემოდან ღემეტრიუსი და ქირონი, ჩხუბით.)

ღემეტრიუსი

ქირონი, შენი ხნის კაცს აკლია ჭკუა და ჭკუას გამჭრაიხობა, რომ სწორედ იქ არ ჩაყოს ცხვირი, სადაც მწყალობენ და, ვინ იცის, მყვარობენ კიდევ.

ქირონი

მუდამ ქედმაღლობ, ღემეტრიუს, და ახლაც ლამობ ბაქიაობით შემაშინო, დამიმორჩილო! ან იქნებ ფიქრობ, რომ ჯერ კბილი არ ამომსვლია და ამიტომაც უცილობლად შენ გაიმარჯვებ; ღირსად ვთული ჩემს თავს და ვიცი, რომ მეც შემწევს ძალა, რომ ჩემი სატრფოს თანაგრძნობა დავიმსახურო.

ჩემი მახვილით ჩემს უფლებას დავიცავ მტკიცედ და მაშინ ნახავ, თუ რად მიღირს მე ლავინია!

აარონი

კეტები მაგათ, კეტები, რომ დავაშოშმინოთ!

ღემეტრიუსი

შენ ეი, ღლაპო, სათამაშო მახვილი წელზე დაუფიქრებლად დედაშენმა განა იმიტომ შეგაბა, ბრაზით მოკეთესაც რომ მოუქნო?! ჩააგე-მეთქი იგი ახლავ თავის ქარქაშში, ვიდრე ხმარებას უკეთესად შეისწავლიდე.

ქირონი

მაგრამ, მანამდე, ვაუბატონო, ამ მცირე ცოდნას, გამოვიყენებ, რომ გაჩვენო რისი შემძლე ვარ.

ღემეტრიუსი

შენ ეი, ღლაპო, თავს ნუ ივადებ...
(მახვილს იძრობენ.)

აარონი

რა ამბავში ხართ! ეს რა შფოთსა ტეხთ დაუდევრად სამეფო კართან და თავხედურად იქნევთ მახვილს კეისრის ცხვირწინ. თუმც კარგად ვუწყვი მიზეზი ამ უთანხმოების, მე თქვენს ადგილას დავმალავდი მას გულმოდგინედ და ათი ათას ოქროს ფასად არ გავამხელდი. თქვენს მშობელ დედას იმის მეტი აღარა უნდა, რომ დაამცირონ რომაელთა სასახლის კარზე; ახლავ შეწყვიტეთ კინკლაობა...

ღემეტრიუსი

არ გავჩერდები, ვიდრე გულს ორად არ გავუპობ და ამ მახვილით არ ჩაუბრუნებ კვლავ ხახაში იმ უშვერ სიტყვებს, რომელიც ჩემდა დასაცინად ამოანთხია.

ქირონი

ჰა, მეც მზადა ვარ, წუთითაც არ შევეყოყმანდები, და დაგიმტკიცებ, რომ მაგ მახვილს უქმად ატარებ. რაღას უდგეხარ, ყიამყრალო...

აარონი

შეჩერდით-მეთქი! გაფიცებთ ღმერთებს, თაყვანს სცემენ რომელთაც გუთნი, ყველას დავედუპავს ეგ ბავშვური აყალმაყალი! აბა, დაფიქრდით, სახიფათო არ არის განა, რომ კეისრის ძმას ეცილებით მისავ მეუღლეს? რაო, განა დღეს ლავინია მეძავად იქცა, რომ მის ტრფობისთვის ასე ურცხვად იჩხუბოთ კიდევ

და, თქვენ გგონიათ, რომ ამისთვის არავინ დაგსჯით?!
ფრთხილად, ჭაბუკნო! დედოფალმა ყური რომ მოჰკრას,
თუ რა ხმით ჰგალობო, არ მგონია, სმენა დაუტკბეს.

ქირონი

თუნდაც შეიტყოს დედოფალმა, არარად ვაგდებ,
მე ლავინია მირჩევნია ღლეს მთელ ქვეყანას.

დემეტრიუსი

თავხედო ღლაპო, თავმდაბლობას გირჩევ ამჯერად,
უფროსი მე ვარ, ლავინია უნდა დამითმო.

აარონი

ხომ არ გაგიჟდით?! ცუდად იცნობთ, გატყობთ, რომაელთ.
არ შეგარჩენენ სიყვარულში მეტოქეობას,
გააფთრებულნი, უცილობლივ შურს იძიებენ.
ასეთი ქცევით თქვენი ხელით ითხრით სამარეს.

ქირონი

ათი ათასი სიკვდილიც კი ვერ შემაშინებს,
ოღონდ კი შერგოს მე სიამე.

აარონი

კი მაგრამ, როგორ?

დემეტრიუსი

განა რა არის აქ ასეთი შეუძლებელი?
ის ქალია და ქალის გულს კი მიაღობო ხვეწნით,
ის ქალია და ქალს ყოველთვის შეაცდენს კაცი,
არ დაგავიწყდეს, ლავინია ჰქვია სახელად,
რაც იმას ნიშნავს, რომ ტრფობისთვის დაბადებულა.
ვითომ შეამჩნევს მეწისქვილე მის წისქვილის ღარს
რამდენი წყალი ეპარება?! ისიც ხომ იცი,
ნაჭრის აწაპნვა ადვილია დაჭრილ პურიდან;
თუმცა კეისრის ღვიძლი ძმაა ბასიანუსი,
მაგრამ რქები ხომ თვით კეისრებს უტარებიათ.

აარონი (განზე)

მართლაც ასეა, სატურნინუსს თუ გავიხსენებთ!

დემეტრიუსი

სასწარკვეთას რად მივეცე, თუ კარგად ვიცი,
ვით დავიმონო ტკბილი სიტყვით და ნაზი მხერით?
თუ ძალა შეგწევს, რომ ნაკრძალში მოკლა ირემი,
მაშინ შენს ნადავლს მცველსაც კარგად გამოაპარებ.

აარონი

როგორც ჩანს, ბედი ხელს შევიწყობთ მოტაცებაში.

ქირონი

ნეტავ შევძლებდეთ!

დემეტრიუსი

მიზანს მოხვდი, აარონ, სწორედ!

აარონი

ნეტავ თქვენც დროზე მოხვედროდით მიზანში ჩემებრ,
მაშინ ამაო ყაყანი არ დაიღლებოდით.
ყური დამიგდეთ, სულელურად ნუ ატეხთ დავას,
აბა, დაფიქრდით, განა რამე დაგაკლდებოდათ,
თუკი ორივე თქვენს საწაღელს აისრულებდით?

ქირონი

ნამღვილად არა...

დემეტრიუსი

თუ ზიარი ვიქნები, არც მე.

აარონი

გრცხვენოდეთ! მაშინ რაღას დაობთ?! მაშ, მეგობრულად
კვლავ შეკავშირდით სწორედ მისთვის, რაიც გთმავდათ,
ეშმაკობით თუ მოხერხებით მიაღწევთ მიზანს,
რასაც ნებით არ დაგითმობენ, დაიპყრობთ ძალით!
თვით ლუკრეციაც არ ყოფილა ისეთი წმინდა,
ვით ლავინია, სატრფო მამაც ბასიანუსის;
ამიტომ ყოყმანს მოვეშვათ და აწ უფრო სწრაფი
ხერხი ვიხმართო ჩვენს ზრახვათა აღსასრულებლად.
სწორედ კარგი გზა გამოვნახე, დამიგდეთ ყური:
დიდი სამეფო ნადირობა კარს მოგვდგომია,
იქ იქნებიან რომის ტურფა მანდილოსნები;
ტყეში ბევრია დაბურული, ძყუდრო ბილიკი,
უკაცრიელი ადგილებიც ბევრია მეტად,
თითქოსდა ბოროტ საქმეთათვის განგებ შექმნილი;
იქ მოიხელოთ მშვენიერი თქვენი ირემი
და, თუ სიტყვები ვერ გაჭრიან, დაიპყრეთ ძალით;
მერე კი ჩემი დედოფალი, რომელიც ზეცამ
მახის დაგების მაღალ ნიჭით დააჯილდოვა,
გაცნობთ ჩვენი შურისგების ჭკვიანურ კეგმას;
ის ჩვენს მანქანას თვისი რჩევით ამუშავებს,
დააშოშმინებს ადლებულ გონებას თქვენსას
და თქვენს სურვილებს წარმატების ფრთებსაც შეასხამს;
ჩვენი კეისრის სასახლე ჰგავს დიდების ტაძარს,
იგი ქცეულა ათას თვალად და ათას ყურად,
ულმობელ ტყეს კი არც სმენა აქვს და არცა ენა,
იგი ვერ გაგცემთ და ამიტომ, მიდით, ჭაბუკნო,
ზეცის თვალთაგან მოფარებით დაიცხრეთ ჟინი
და მიითვისეთ ლავინიას განძი ორთავემ.

ქირონი

მაგ შენს ბრძნულ რჩევას შიშის სუნი არ უღის, ვგონებ.

დემეტრიუსი

Sit fas aut nefas⁸.

მაშ, წინ გავეწიოთ, ვიდრე წყაროს წავაწყდებოდეთ,
სადაც თან წყურვილს დავიოკებთ, თან ჟინს მოვიკლათ
Per Stygia, per manes vehor⁹.

(გაღიან.)

სურათი მეორე

ტყე. საყვირისა და მწევრების ხმა.

შემოდის ტიტუს ანდრონიკუსი, მონადირეებთან ერთად. შემოდინ მარკუსი, ლუციუსი, კვინტუსი და მარციუსი.

ტიტუსი

კარგი დილაა, სანადიროდ ზედგამოჭრილი, მწვანე ტყე გვიხმობს და მინდვრებს კი სურნელი ასდით, აქ დაუვიანოთ და მწევრებიც ავუშვათ, რათა მათმა გნისმა გააღვიძოს სამეფო კარი.

ჩაბურეთ საყვირს ისე მძლავრად, რომ მთელ სასახლემ ექო გამოსცეს და ტკბილ ძილში ჩაესმას ყველას. თვითეულ ჩვენგანს გვეკვალება, რომ ჩვენს კეისარს მუდამ თან ვახლდეთ და ვიცავდეთ ერთგული გრძნობით. დამით სიზმრებმა შემამოფოთეს, დამიფრთხეს ძილი, მაგრამ ეს წყნარი განთიადი სიმშვიდით მაგსეებს.

(ისმის ძაღლების ყფა და ბუკის ხმა. შემოდინ სატურნიუსი, ტამორა, ბასიანუსი, ლავინია, ქირონი, დემეტრიუსი და მათი მსახურნი.)

ასეთი დილის გათენებას ვისურვებთ მრავალს, ჩემო კეთილ კეისარო, შენც, დედოფალო! მე შეგპარდით, რომ სანადირო ნიშანს მოგცემდით.

სატურნიუსი

და მეტისმეტად მხიარულად აუღერდა იგი, თუ ნადრეუად არ ეჩვენათ ჩვენს ქალბატონებს.

ბასიანუსი

რას იტყვი, ჩემო ლავინია?

ლავინია

მე რა ხანია

გაეღვივებ და მოველოდი თქვენს გამოჩენას.

სატურნიუსი

ჩემო ტამორა! დღეს პირველად იქნები დამსწრე, ვით ნადირობენ რომაელი დიდებულები, მამ, გავემართო!

მარკუსი

და იხილავთ, ჩემი მწევრები ყველაზე მაღალ გორაკამდე როგორ მისდევენ მოქნილ ავაზას, გულზვიადს და გამძვინვარებულს.

ტიტუსი

ჩემს ცხენს კი ვერსად გაუსხლტება ტყეში ნადირი, მთასა და ველებს მერცხალივით სწრაფად გადივლის.

დემეტრიუსი (განზე)

ქირონ, თუ სადმე მოვიხელთეთ დღეს ფურ-ირემი, გვეჩქება მართლაც საშურველი ნანადირევი.

(გაღიან.)

სურათი მესამე

ტყის უკაცრიელი ადგილი.

შემოდის აარონი, ოქროს-ქისით ხელში.

აარონი

ვინმე ჭკვიანი უსათუოდ სულელად ჩამთვლის, რომ ამდენ ოქროს უგუნურად ვინახავ ხის ქვეშ, რათა მე მათზე სამუდამოდ ავიღო ხელი. დე, მან იცოდეს, ვინც გაივლებს ასეთ ფიქრს გულში, რომ მე ჩემს ხრიკებს და ოინებს ოქროსგან ვძერწავ, რომ იმ მშვენიერ სიბილწეთა დედაა იგი, რომელნიც ყველას მახესავით ეგება ფეხქვეშ. მათ სავალალოდ განისვენე, ძვირფასო ქისავ, ჩვენი დედოფლის სკივრი წყალობს ნიადაგ ვისაც.

(ჩაფლავს ოქროს. შემოდის ტამორა.)

ტამორა

ჩემო აარონ, სახე ასე რად ჩამოგტირის, როდესაც ირგვლივ ყოველივე ხარობს, ზეიმობს?! როს ყოველ ტოტზე შემომჯდარი გალობენ ჩიტნი და დაგრაგნილი გველი თბება საამურ მზეზე, ამო ნიაზე ცახცახებენ მწვანე ფოთლები და დედამიწას აჭრელებენ ნაირ ჩრდილებით. ამ ხეთა ჩრდილში დავსხდეთ ჩვენცა, ჩემო აარონ, ვიდრე საყვირთა ექო მწევრებს აღიზიანებს და მათი ყეფა და გნისი ეღება არეს. ვუსმინოთ ამ ხმებს, თან ერთმანეთს მივესალბუნოთ და გამოგვივა ორი კურდღლის ერთად დაჭერა. მერე კი, როგორც ქარიშხლის დროს დატკბენ ალერსით მოხეტიალე უფლისწული და თვით დიდონა, შეფარებულნი საიმედო გამოქვაბულში, ჩვენც შეგვიძლია ერთმანეთის მკლავებში ასე დრო გავატაროთ, თაუ მიეცეთ ოქროსფერ თვლემას, ვიდრე მღევარნი, საყვირნი და ნაზი ფრინველნი დაგვამინებენ საამური ჰანგებით ტკბილად, როგორც ბავშვები იძინებენ ძიძის ნანახზე.

აარონი

ო, დედოფალო, შენ ვენერას ემორჩილები, ჩემს სურვილებზე კი ბატონობს მხოლოდ სატურნი?, ნუთუ არაფერს არ გაუწყებს ეს ცივი მზერა, ჩემი სიჩუმე და ეს ჭმუნვა, აუწერელი? მკითხე, ხუჭუჭი თმები ჩემი რისთვის აშლილა, ვით ჭრელი გველი, ამართული და გარინდული, რათა დაგესლოს თვისი მსხვერპლი საბედისწეროდ! არა, ეს სულაც არ წააგავს ვენერას ნიშნებს, მე გულში მიდულს შურისგება, ხელს სურს მკვლელობა, სისხლი მწყურია და ეს გრძნობა გონებას მირევს! იყურე-მეთქი, დედოფალო, ჩემი სულია,

შენ მე მარუქე ცა სხვათათვის მიუწვდომელი.
 დღეს უნდა ჰპოვოს აღსასრული ბასიანუსმა,
 უნდა დაკარგოს ენა მისმა ფილომელამაც,³
 შენი ვაჟები განმარცხავენ მას სიწმინდისგან
 და განიბანენ უფლისწულის სისხლში თვის ხელებს.
 ხედავ ამ წერილს? გვედრები, აილე იგი,
 კეისარს მიეც შეთქმულების ესე უსტარი,
 აღარა მკითხო არაფერი, გვითვალთვალებენ.
 აჰა, ის ჩვენი სამსხვერპლონიც მოდიან აქეთ
 და არც უწყიან, რა მოვლით იმათ სიცოცხლეს.

ტ ა მ ო რ ა

თვით სიცოცხლეზე უტკებესი ხარ, ჩემო აარონ!

ა ა რ ო ნ ი

იყურე-შეთქი, უფლისწული გვიახლოვდება,
 რამე მიზეზით აუხირდი და მე კი წავალ,
 შენს ვაჟებს ვუხმობ, რომ ამ ჩხუბში მხარი ავიბან.
 (გაღის. შემოდიან ბ ა ს ი ა ნ უ ს ი და ლ ა ვ ი ნ ი ა.)

ბ ა ს ი ა ნ უ ს ი

ამას ვის ვხედავ?! აქ რა უნდა რომის დედოფალს,
 ანდა ამაღლა რად არ ახლავს შესაფერისი?!
 თუ, მწვანე ჭალა დაუთმია ქალღმერთ დიანას
 და ჩაუცვია სამოსელი ჩვენი დედოფლის,
 რათა კეისრის ნადირობა იხილოს ტყეში?!

ტ ა მ ო რ ა

რა თავხედურად უთვალთვალებ ჩემს ყველა ნაბიჯს!
 ნეტავ გამაჩნდეს მე დიანას გრძნეული ძალა,
 შენც დაგადგამდი შუბლზე რქებს და როგორც აქტეონს,
 ისევე შენაც მე ქორბუდა ირმად გაქცევდი.
 მერე უღმობლად მოვისევდი ჩემს მშვიერ მწევრებს,
 რომ ნაკუწ-ნაკუწ დაეფლითათ შენი სხეული⁴.

ლ ა ვ ი ნ ი ა

შენი სიტყვები, დედოფალო, ნათელსა ყოფენ,
 რომ რქების დასმის უდიდესი ნიჭი გქონია,
 შენ და ის მავრი ამ საქმეში თუ იწვრთნებოდით,
 მაშინ ზეესსა ვთხოვ, დაიფაროს დღეს კეისარი,
 რომ მწევრებს იგი არ ეჩვენოთ ქორბუდა ირმად!

ბ ა ს ი ა ნ უ ს ი

მენდე, ტამორა, რომ ეს შავი კიმერიელი⁵
 პატიოსნებას გაგიშავებს და ეგ სინდისიც
 იქნება მისი სხეულივით შავი, ბინძური.
 რისთვის ჩამორჩი შენს ამაღლას, თქვი, დედოფალო,
 რისთვის დატოვე თოვლისფერი შენი ქურანი?
 ძითხარ, თუ რამე ბილწ სურვილს არ აუტანიხარ,
 ამ უღაბურ ტყეს იღუმალად რად შეეფარე
 და განცალკევდი იმ ბარბაროს შავ მავროთან ერთად?!

ლ ა ვ ი ნ ი ა

მისთვის, რომ ხელი შევიშალეთ მაცდურ ტრფობაში,
 ჩემს კეთილშობილ ბასიანუსს ცილი დასწამე,
 რომ ვითომ იგი თავხედურად გითვალთვალებდა.
 გვედრებ, წავიდეთ, უფლისწულო, დე, დატკებს იგი
 ამ ყორანივით შავი გრძნობით გულადგზნებული.
 ასეთ ტრფობისთვის ეს ადგილი შესაფერია!

ბ ა ს ი ა ნ უ ს ი

წავიდეთ, მაგრამ ჩემს ძმას ვეტყვი, რაც თვალთ ვნახე.

ლ ა ვ ი ნ ი ა

ვის შეუძლია მოტყუება ასე ამკარად?!
 მისი შეცდომა ვაგრძნობინოთ უნდა კეისარს!

ტ ა მ ო რ ა

ვით ავიტანო ესოდენი შეურაცხყოფა?!
 (შემოდიან ქ ი რ ო ნ ი და დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი.)

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

ჩვენო მფარველო დედოფალო, კეთილო დედავ,
 რატომ ხარ ასე ფერმკრთალი და შეშფოთებული?

ტ ა მ ო რ ა

იქნება ფიქრობთ, შეშფოთების მიზეზი არ მაქვს?!
 აი, ამ ორმა შემიტყუა ამ უღრან ტყეში,
 ხედავთ, უღაბურ და საზარელ ამ ადგილს ირგვლივ,
 თვით ხეებიც კი ვერ ხარობენ და განმარცხულან,
 ტანს მოსდებიანთ დამლუპველი ხავსი და ფთილი.
 აქ მზეც ვერ აღწევს და არ ბუდობს არცა ფრინველი,
 გარდა დამეულ ჭოტიისა და შავი ყორანის.
 მათ მიმითითეს ერთ საშინელ შავბნელ ჯურღმულზე
 და მითხრეს, როცა შუაღამე დგება საზარი,
 თურმე თავს იყრის ამ ჯურღმულში ათასი ჯოჯო,
 ეშმაკეულნი, ზღარბნი, გველნი და გომბეშონი,
 თან შემზარავ ზმით გაჰკვივიან და სისინებენ.
 მერე დასძინეს, რომ არავის არ ძალუძს თურმე
 ამ საზარ ხმების გადატანა და შიშისაგან,
 ან კვლებიან და, ან ჭკუიდან ცდებიან უმაღ.
 ძრწოლით ვუსმენდი ჯოჯოხეთურ შემაზრზენ ამბავს,
 მაგრამ მე ესეც არ მაკმარეს და დამემუქრენს,
 რომ მიმაბამდნენ ამ საშინელ ურთხმელის ხეზე⁶
 და დამტოვებდნენ, რათა სიკვდილს აქ შევხვედროდი;
 თანაც მლანძღავენ, მიწოდებდნენ ბილწსა და მეძავს,
 ავხორცს, და კიდევ ვინ ჩამოთვლის იმ მწარე სიტყვებს,
 რაც მე ვისმინე მათგან ჯერეთ გაუგონარი.
 სწორედ რომ ბედმა მომივლინა მე თქვენი თავი,
 გადამარჩინა მათ რისხვას და შურისძიებას!
 მაშ, დამიცავით, თუკი ვღირვარ მე რამედ თქვენთვის
 და დამიმტკიცეთ, რომ ნამდვილი შვილი ხართ ჩემი.

დემეტრიუსი

მე შენს შვილობას ჭეშმარიტად გიმტკიცებ ამით!
(მახვილს ჩასცემს ბასიანუსს.)

ქირონი

ღამეც ასევე ვადასტურებ ჩემი მახვილით!
(ისიც ჩასცემს მახვილს. ბასიანუსი კვდება.)

ლაკინია

შენი ჯერია, რას უდგებარ, სემირამიდაე!
ო, თუმცა არა, ბარბაროსო, ავო ტამორა!
შენი ბუნების შესაფერი ვქვია სახელიც...!

ტამორა

მომეც მახვილი, დედათქვენის შეურაცხყოფას
არვის შევარჩენ და თვითონვე ვუზღავ მაგიერს...

დემეტრიუსი

არა, შეჩერდი, დედოფალო! სიკვდილი რაა!
თივას დაწვამდე მოაცილო უნდა თავთავი.
თავი მოქქონდა ამ ქალბატონს თვისი სიწმინდით,
შენს ძლიერებას დასცინოდა თითქოსდა ამით
და ახლა ვინდა რომ თან გაჰყვეს უმანკოება?

ქირონი

უმანკოება?! მაშინ ვიყო მე საჭურისი!
ჩქარა, დაემარხოთ მისი ქმარი სადმე ორმოში,
ღე, მისი გვაში ჩვენი ვნების სასთუმლად იქცეს.

ტამორა

მაგრამ, როდესაც სასურველ თავლს იგემებთ მერე,
მაშინვე მოსპეთ ეს ფუტკარი, რომ არ დაგვკბინოს.

ქირონი

შენს თავს ვფიცავარ, დედოფალო, უენებელს გაეხდი.
მოდი, ძვირფასო, და დაგვატკებ იმავ სიწმინდით,
რომლითაც ასე თავს იღებდი და ამაყობდი.

ლაკინია

ოი, ტამორა, რად ატარებ შენ ქალის სახეს...

ტამორა

არ მსურს მისი ხმის გაგონება! შორს-მეთქი ჩემგან!

ლაკინია

სთხოვეთ, კეთილნო უფლისწულნო, რომ მომისმინოს!

დემეტრიუსი

გთხოვთ მოუსმინო, დედოფალო, და იზეიმო,
მხოლოდ მის ცრემლმა არ მოგიღბოს, იცოდე, გული,
კაჭად იქცეო, ვერ დაგადნონ წვიმის წვეთებმა!

ლაკინია

როდის ყოფილა, რომ ბოკვერმა ასწავლოს მუ ვეფხვს!
ვინც ბოროტება ჩაენერგა, მას რას დააკლებ?!
მისგან ნაწოვი რბე გადიქცა ცივ მარმარილოდ
და თვით ბუბუდან შეიწოვე ეგ გულქვაობა,
მაგრამ, ყოველთვის არ ჰგავს შვილი მშობელსა მისას.
(ქირონს.)

იქნება შენში მაინც ვპოვო მე შებრალება.

ქირონი

რის შებრალება! ნაბიჭვარი ხომ არ გგონივარ?!

ლაკინია

ვის გაუგია, რომ ყორანი ტოროლას ჩეკდეს,
გამონაკლისი ყოფილიყო ამჯერად ნეტაე!
ყური მომიკრავს, რომ ლომს თურმე, მოწყალების ჟამს,
ბასრი ბრჭყალები მოუღრღნია მეფურ თათებზე
და ყორანი კი პატრონობდა სხვის ობოლ ბარტყებს,
თავის ბახალას კი ბუღეში აშინშილებდა?
გთხოვ, სულ მცირედი შებრალება გაიღე ჩემთვის,
თუნდაც რომ გულმა, ქვადქვეულმა, უარი ვითხრას!

ტამორა

ჩამომაცილეთ! მე არ მესმის მისი სიტყვები!

ლაკინია

ნება მომეცი, რომ აგისნა! დამინდე მისთვის,
რომ მამაჩემმა შენ სიცოცხლე შეგინარჩუნა.
ნუ გაკერძებდი, ნუ დაიხშობ ორთავე ყურთა!

ტამორა

თუნდაც შენგან რომ არ მიმელო შეურაცხყოფა,
არ დაგინდობდი მამაშენის გულქვაობისთვის.
გახსოვთ, შვილებო, რა ამაოდ დავღვარე ცრემლი,
რომ მსხვერპლთშეწირვას ამეცდინა თქვენი ღვიძლი ძმა.
მაგრამ, არ მოლბა გულბოროტი ანდრონიკუსი.
რაც უფრო მეტად გააწამებთ მის ასულს ახლა,
მით უფრო მეტად მეყვარებით, ჩემო შვილებო!

ლაკინია

მოწყალე იყავ, დედოფალო! ჰოი, ტამორაე!
ამავ ადგილას გამაქეავე, საკუთარ ხელით!
განა სიცოცხლეს გეხვეწები, მე უკვე მოვკვდი,
როცა მოკალით უფლისწული ბასიანუსი!

ტამორა

მაშ, რაღასა მთხოვ, ვერ ვავიგე, ხომ არ შეშლილხარ!

ლ ა ვ ი ნ ი ა

გვედრებ, გამიბო გული შენვე და კიდევ მას გთხოვ, რის თქმასაც მიშლის მე ქალური სიმორცხვე ჩემი, გადამარჩინე მათ საშინელ ვნებათაღელვას, მომკალ და სადმე ღრმა ორმოში ჩამავდე ისე, რომ უსულო გვამს ვეღარავინ ვერ მოკრას თვალი. — მაშინ მკვლელობას მე ჩავითვლი დიდ სულგრძელობად!

ტ ა მ ო რ ა

მაშ, შენ გინდა, რომ ნეტარება მოვაკლო შვილებს! არა და არა! დე, მათ შენით დაიცზრონ უინი.

დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი

წავიდეთ, თორემ ისეც დიდხანს შეგვაგვიანდა.

ლ ა ვ ი ნ ი ა

არავითარი მოწყალება, არცა ქალობა! შენში მხეცი ზის და მტრობს ყოველს, ნაზსა და ქალურს. წვეულმაც იყავ...

ქ ი რ ო ნ ი

დაგიღუბებ მალე მაგ ენას! აი, ის ორმო, აარონმა რომ მიგვითითა. აქ მოათრიე ბარემ გვამი და შიგ ჩაავდე. (ღემეტრიუსი ავლებს ბასიანუსის გვამს ორმოში. დ ე მ ე ტ რ ი უ ს ი და ქ ი რ ო ნ ი გადიან და თან ლ ა ვ ი ნ ი ა ს მიათრევენ.)

ტ ა მ ო რ ა

აბა, მშვიდობით, არ გავიხსლტეთ ხელიდან იგი. იცოდეთ, რომ მე ვერასოდეს ვერ მოვისვენებ, თუ არ აღმოვფხვრი ქვეყნად ჯილაგს ანდრონიკუსსა. წავალ, მოვებნი ჩემს საყვარელ აარონს მეცა, ვიდრე ესენი მოუვლიან კარგად ამ მეძავს. (გადის. შემოდინ ა ა რ ო ნ ი, კ ვ ი ნ ტ უ ს ი და მ ა რ ც ი უ ს ი.)

ა ა რ ო ნ ი

ჩქარა, მომყევით, დიდებულნო, ნაბიჯს უმატეთ! მე თქვენ პირდაპირ იმ ორმოსთან მივიყვანთ ახლა, სადაც მძინარე შავ ავაზას დაუუღარაჯლი.

კ ვ ი ნ ტ უ ს ი

რას მოასწავებს ეს სიბნელე, ვეღარას ვხედავ.

მ ა რ ც ი უ ს ი

ღმერთს გეფიცები, მეც თითქოსდა თვალს დამიბნელდა, ლამის დავტოვო ნადირობა, ძილი მწადია. (ვარდება ორმოში.)

კ ვ ი ნ ტ უ ს ი

რა მოხდა, ძმაო, იქნებ ვინმემ დაგვიგო მახე,

მოხერხებულად გაუთხრიათ აქ ორმო ჩვენთვის, შეუნიღბიათ მანანით და მის ხშირ ფოთლებზე, ახლად დაღვრილი სისხლის წვეთი ისე ბრწყინავენ, ვით დილის ნამი ყვავილებზე. მითხარი, მაინც, ხომ არაფერი დაგიშავდა, მძიმედ დაეცი?!

მ ა რ ც ი უ ს ი

ო, რა საშინელ სურათს ვხედავ! არ შეიძლება, რომ გული ჰქონდეს ამის მნახველს და არ ატირდეს.

ა ა რ ო ნ ი (განზე)

ახლა კი წავალ, აქ მოვიყვან თვითონ კეისარს და დავაჯერებ, რომ მათ მოკლეს ბასიანუსი. (გადის.)

მ ა რ ც ი უ ს ი

ხმას რად არ იღებ? ნუთუ შველა არ გინდა ჩემი, ამომიყვანე ამ სისხლიან ორმოდან ჩქარა.

კ ვ ი ნ ტ უ ს ი

არ ვიცი, რაღაც უცნაურმა შიშმა შემიაყრო, მაცახცახებს და ცივმა ოფლმა დამასხა უცებ, და გული უფრო მეტს მაუწყებს, ვიდრემდე თვალი.

მ ა რ ც ი უ ს ი

გულს დაუჯერე, იგი მართალს გაუწყებს, ძმაო, და რომ დარწმუნდე, აარონმაც და შენც ორმოში ჩამოიხედეთ და იხილავთ სისხლიან სურათს.

კ ვ ი ნ ტ უ ს ი

უკვე წავიდა აარონი და გული ჩემი არ აძლევს ნებას თვალთა ჩემთა იხილოს იგი, რაზეც ცახცახებს საშინელი წინასწარგრძნობით. მითხარი მაინც, მანდ რა ნახე, რადგან ბავშვივით შემიაყრო შიშმა მასზე, რაც ჯერ არ დამინახავს.

მ ა რ ც ი უ ს ი

ამ გულშემზარავ და საშინელ ორმოში ვხედავ სისხლში ამოსვრილ ბასიანუსს — ძმას კეისრისას. ის ისე გდია, ვით ბატკანი შესაწირავი.

კ ვ ი ნ ტ უ ს ი

თუ სიბნელეა, ვით იცანი ბასიანუსი?!

მ ა რ ც ი უ ს ი

სისხლიან თითზე შევამჩნიე მისი ბეჭელი, იგი ბრწყინავს და ორმოს კედლებს ანათებს ოდნავ, როგორც აკლდამას კელაპტარის სუსტი ციმციმი, რომელიც ოდნავ დასთამაშებს გვამის ცივ ლაწვებს. და... მაგონდება ის ფერამკრთალი მთვარე, როდესაც ქალწულის სისხლში ამოსვრილი იწვა პირამოსი¹⁰. ო, მომაშველე, ძმაო, შენი მთრთოლვარე ხელი!

თუ შენც ჩემსავით შიშით ღონე გამოგელია?!
ამოიფივანე ამ საშინელ, შავბნელ ორმოდან,
იგი წაგავს კოკიტუსის ნისლიან ნაპირს!!

კვინტუსი

მაშ, მომწვდინე შენი ხელი, იქნებ ვიშველო
და, თუ დამაკლდა ძალა, რომ მე ამოგიფივანო,
მაშინ, შენ გვერდით აღმოვჩნდები მაგ ბნელ ორმოში,
ბასიანუსის სამარედ რომ გადაქცეულა.
ვერარას გშველი, ჩემთა ხელთა არ შესწევთ ძალა!

მარციუსი

მეც არ მაქვს ღონე, რომ ვეცადო ზემოთ ამოსვლა!

კვინტუსი

მომეცი ხელი! კიდევ ვცადოთ, იქნებ ვიშველო,
ან ამოგიფივან, ან მეც შენთან ჩამოვალ, რათა
ეგ საზარელი შენი ხვედრი გავიზიარო.

(ვარდება ორმოში. შემოდინან სატურნინუსი და
აარონი.)

სატურნინუსი

აბა, მიჩვენე მე ის ორმო, ან შიგ ვინ არის?
ჰე, მანდ ვინა ხარ, ხმა გამეცი, ან რას აკეთებ
მაგ ჩაბნელებულ და საშინელ მიწის ხახაში?!

მარციუსი

მე ვარ უიღბლო შვილი მოხუც ანდრონიკუსის
და ამ უბედურ ჟამს ჩავევარდი მე იმ ორმოში,
სად ასვენია უსიცოცხლო შენი ძმის გვამი.

სატურნინუსი

უსიცოცხლო? მაგ ხუმრობას თავი ანებე!
ერთი საათიც არ გასულა მას შემდეგ ვკონებ,
რაც ტყვის მახლობლად სანადირო ქოხში დაეტოვე
ლავეინია და უფლისწული ბასიანუსი.

მარციუსი

არ ვიცი სწორედ, სად დატოვეთ იგი ცოცხალი,
აქ მარტოოდენ მის უსულო სხეულსა ვხედავ!

(შემოდის ტამორა, თავისი ამალით, ტიტუს ანდ-
რონიკუსი და ლუციუსი.)

ტამორა

სად არის ჩემი კეისარი, მეუღლე ჩემი!

სატურნინუსი

აქ ვარ, ტამორა, აღსავესე ვარ ღრმა მწუხარებით!

ტამორა

რატომ არ არის აქ თქვენ შორის ბასიანუსი?

სატურნინუსი

შენი შეკითხვა ჩემს ჭრილობას უფრო აღრმავებს,
აქ, ამ ორმოში გდია მისი უსულო გვამი.

ტამორა

მაშ, ძლიერ გვიან მოგიტანე მე ეს უსტარი.
აქა წერია ყოველივე, რაც უკვე მოხდა!
ო, როგორ ძალუმს ჩაიდინოს მკვლელობა კაცმა,
რომელსაც ზეცამ გაღიმების მისცა უნარი!
(აწვდის წერილს.)

სატურნინუსი

... და თუ ვერ შევხვდით ხელსაყრელ დროს, ალბათ
მიხვდები,

ჩვენო კეთილ მონადირე, ვისაც ვგულისხმობთ,
დაგვდებ პატივს და ბასიანუსს გაუთხრი საფლავს.

შენ იცი, რაზეც მიგანიშნებთ. მაშ, იმოქმდე.
ემტებ შენი გასამრჯელო ჭინჭარში, ანწლთან,
რომელიც ჩრდილს ჰფენს იმ ორმოს პირს, სადაც

შევთანხმდით,

რომ ჩავმარხავდით ბასიანუსს. სიტყვას ნუ გატეხ,
სამაგიეროდ საუკუნო მეგობრებს ჰპოვებ“.

თუ გაგიგია ამის მსგავსი რამე, ტამორა?!
აი, ის ანწლი, აი, ორმოც გულშემზარავი;

ახლა მოვძებნოთ მონადირე, რომელსაც უნდა
აქ, ამ ადგილას განეგმირა ბასიანუსი.

აარონი

ხის ქვეშ ვიპოვე, კეისარო, ეს ოქროს ქისა.

სატურნინუსი (ტიტუსს)

შენმა სისხლისმსმელ ბოკვერებმა, ვერაგო ტიტუს,
ჩემი ღვიძლი ძმა დღეს სიცოცხლეს გამოასალმეს.
ამოათრით მკვლელები და დააპატიმრეთ,
დე, დაელოდონ გაუგონარს, საზარელ სასჯელს,
რომელსაც მე მათ საწამებლად გამოვიგონებ.

ტამორა

როგორ, ისინი აქ არიან, ამავე ორმოში?
საკვირველია, რა ადვილად აღმოჩნდნენ მკვლელნი!

ტიტუსი

იშვიათად თუ მომერევა მე თვალზე ცრემლი,
ახლა ზომ ხედავ, კეისარო, თავს ვერ ვიკავებ
და მუხლმოდრეკით გევედრები გულმონწყალებას
და, თუ ჩემს შვილებს დაუმტკიცდათ დანაშაული...

სატურნინუსი

დაუმტკიცდათო?! როგორც ხედავ უკვე ცხადია.
თქვი, ვინ იპოვა ეს წერილი, შენა, ტამორა?!

ტამორა

იგი იპოვა თვით მოხუცმა ანდრონიკუსმა.

მოქ. II

ტიტუსი

თვითონ ვიპოვე ეგ წერილი, მაგრამ მე მაინც
ნება მომეცე, რომ დაკუდვე შეილებს თავლებად,
და შენ წინაშე მამაჩემის საფლავსა ვფიცავ,
რომ, თუ ისინი იქნებიან დამნაშავენი,
პასუხს აგებენ საკუთარი სიცოცხლის ფასად.

სატურნინუსი

შენს თავდებობას მე უარყოფ. მომეცით უკან,
წამოასვენეთ ცხედარი და დამნაშავენი
წამოიყვანეთ, ერთი სიტყვაც არ ათქმევინოთ,
სიკვდილზე უფრო უარესი რომ იყოს რამე,
მათ ერგებოდით იგი წილად, როგორც სასჯელი.

ტაძორა

ნუ შიშობ, ჩემო ანდრონიკუს, მე ვთხოვ კეისარს,
რომ შეილებს შენსას არაფერი არ დაუშავონ.

ტიტუსი

წამო, ლუციუს, წამო შეილო, ნულარას იტყვი.
(ვალიან.)

სურათი მეოთხე

ტყის შორე მხარე.

შემოდან დემეტრიუსი და ქირონი, გაუპატიურებულ
ლაკინიასთან ერთად, რომელსაც მოჭრილი აქვს ხელის
მტევნები და ენა აქვს ამოჭრილი.

დემეტრიუსი

ახლა წადი და, თუკი ძალგიძს, უამბე ყველას,
თუ ვით აგხადე ნამუსი და მოგჭერ ხელები.

ქირონი

წადი, დაწერე რასაც ფიქრობ ან რაც გაწუხებს,
მაგ მოჭრილ ხელებს თუკი შესწვეთ მაგის უნარი.

დემეტრიუსი

ერთი გვაჩვენა ორჩხოობრჩხო ნაწერი მისი!

ქირონი

მამ, წადი სახლში, განიბანე წმინდა წყლით ხელნი.

დემეტრიუსი

აღარც ენა აქვს, წმინდა წყალი რომ მოითხოვოს
და აღარც ხელნი გააჩნია მას დასაბანად.
დაე, წავიდეს და ეწიოს ახლა თავის გზას.

ქირონი

მე მის ადვილას თავს უთუოდ ჩამოვიხრჩობდი.

დემეტრიუსი

თუ გექნებოდა ხელები, რომ ვულფი შეგეკრა!
(დემეტრიუსი და ქირონი ვალიან. შემოდის მარ-
კუსი.)

მარკუსი

კინ არის ნეტავ?! სით იჩქარის ჩემი ძმისწული?!
სად მიხვალ, ჩემო ლავინიავ, სად გყავს მეუღლე?
თუ სიზმარია, მაშინ ღმერთს ვთხოვ, გამომაღვიძოს
და, თუკი მღვიძავს, ნეტავ მიწა გამისკდეს ფეხქვეშ,
რომ დაეიძინო მარადიულ ძილით ახლავე.
პითხარი, ვისმა ბოროტ ხელმა ჩამოათალა
მაგ შენს მომხიბლავ სხეულს ორი ლამაზი ტოტი,
რომელთა ჩრდილქვეშ კეისარნიც ნატრობდნენ ყოფნას,
მაგრამ ამაოდ დაეძებდნენ შენს თანაგრძნობას!
ხმა ამოიღე, ლავინიავ, რისთვისა სდუმხარ!
ო, ეს რაღაა — მეწამული სისხლის ნაკადი,
შენს ნაზ ბაგეზე ხან ქაფდება და ხანაც ცხრება,
ვით შადრევანი მოუსვენარ ქარის ქროლვაზე.
მას შენი სუნთქვა ხან აღძრავს და ხან უკუაგდებს,
ალბათ ტერევსის მოღვმისამ თუ შეგბღალა ძალით
და მერე ენა ამოგვლიჯა, რომ არ გაგეცა.
ო, თვალი რატომ ამარიდე?! სირცხვილით იწვი
და, თუმც იარებს დაუღიათ პირი და სისხლი,
როგორც არხიდან, ისე მოჩქეფს, მაინც დაწვები
შეგფაკლებია, როგორც ტიტანს ღრუბლის პირისპირ.
ნეტავ შემეძლოს, რომ შენს ნაცვლად ვილაპარაკო,
ან გულში ჩაგწვდე, რომ გავიგო სახელი მისი,
ვისზედაც უნდა საზარელი ჯავრი ვიყარო.
ფარული სევდა — ბუხარია კარჩაკეტილი,
იგი გულს ბუგავს და მარტოდენ ნაცრადლა აქცევს.
ფილომელამაც ხომ დაკარგა ენა, მაგრამ მან
თავის ნაქარგში ჩააქსოვა თვისი ფიქრები.
შენ კი, ძმისწულო, საყვარელო, მაგასაც ვერ იქმ,
რადგან შენ უფრო გაიძვერა ტერევსს შემოხვდი.
მას მშვენიერი ეგ თითები რომ არ მოეჭრა,
ფილომელასაც აჯობებდი შენს ოსტატობით.
თვით ურჩხულიც კი, მაგ შრომანა ხელთა მნახველი,
არ შეგახებდა თავის დღეში კლანჭებს საზარელს,
თუკი ნახავდა ეგ თითები ქნარის სიმებზე,
როგორა თრთოდნენ, როგორც ვერხვის ნაზი ფოთლები
და სიმები კი ვით თერებოდნენ მათი ამბორით;
ანდა შენი ხმა ზეციური რომ მოესმინა,
ფარხმალს დაყრიდა და ჩათვლემდა როგორც ცერბერი,
იმ ტკბილმოუბარ ფრაკიელი პოეტის ფერხთით.
წამოღი ჩემთან, დაე, განახოს უბედურ მამამ
და მწუხარების ცრემლი ღვაროს თვალთდაშრეტამდე!
ნუ გამირბიხარ, ტანჯავს შენსას გავიზიარებ,
ეგებ ტკივილი გავუყურე შენს ღრმა იარებს!

(ვალიან.)

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

რომი. ქუჩა.

შემოდან მსაჯულები, ტრიბუნები და სენატორები. შემოჰყავთ შებოჭილი მარციუსი და კვინტუსი. ისინი მიჰყავთ დასჯის ადგილზე. წინ წამოდგება ტიტუსი, მუდარით.

ტიტუსი

გთხოვთ, მომისმინოთ მსაჯულებო, თქვენაც ტრიბუნნი! ჩემი სიბერე დაინდეთ და დამიგდეთ ყური, მე, ვინც ბრძოლებში განვვლე ჩემი ახალგაზრდობა, რომ უშუოთველი, ტკბილი ძილი არ დაგფრთხობოდათ, რამინდეთ-მეთქი იმ სისხლის წილ, რომელიც ვლვარე, ან იმ ყინვიან და უძილო მრავალ ღამისთვის, ან ამ ცრემლთათვის, რომელთაც თქვენ უყურებთ ახლა, ცხელ ნაკადად რომ ეფინება ჩემს ბებერ დაწვებს. გუმუდარებით შეიბრალოთ ისინი, ვისაც თუნდაც მცირედი არ მიუძღვით დანაშაული. მე არასოდეს მიტირია ჩემი შვილები, რომელთაც წილად ღირსეული სიკვდილი შეხვდათ.

(მიწაზე დაემხოა.)

მაგრამ, ამათთვის, ტრიბუნებო, მიწაზე ვაფრქვევ ჩემს მძიმე სევდას, მწუხარებით აღსავსე ცრემლით. ღე, ახაზრდონ მათ ფესვები მოწყურებული, რომელთაც მალე გააწითლებს უმანკო სისხლი!

(გაღიან სენატორები, ტრიბუნები და სხვ. დატუსალღებულებთან ერთად.)

ო, დედამიწა, ჩემი ცრემლის ცხარე ნაკადი შენს მშრალ ნიადაგს უფრო მეტად დაალობს, ვიდრე ცხოველმყოფელი და საამო აპრილის წვიმა. ცრემლების ნამით გაგინელებ ხვატს ზაფხულისას, ზამთარში მათი მღუდარებით დავადნობ ყინულს და მარადისი გაზაფხულით შეგამკობ, ოღონდ ჩემი შვილების სისხლით წყურვილს ნუ დაიოკებ.

(შემოდის ლუციუსი მახვილით ხელში.)

ო, გულხმიერო ტრიბუნებო, მისმინეთ მოხუცს, გუმუდარებით, მკაცრ განაჩენს ნუ აღასრულებთ! ამაო ცრემლთ ღვრა არ მჩვევია და ამიტომაც ახლა უფრო მეტს დაღაღებენ ჩემი ცრემლები!

ლუციუსი

ჩემო კეთილო, ტკბილო მამავ, ამაოდ მოთქვამ! აქ, შენ მახლობლად არავინ ჩანს ძეხორციელი და მხოლოდ ცივ ქვებს შეღაღადებ შენს მწუხარებას!

ტიტუსი

ჩემო ლუციუს, ნუ დამიშლი, კეთილ ტრიბუნებს ძმლავად მსურს ვთხოვო შენს ძმათათვის გულმონწყალება!

ლუციუსი

არავინ უსმენს შენს ვედრებას, კეთილო მამავ!

ტიტუსი

მათთვის ყოველი სულ ერთია გინდაც ესმოდეთ. არ მიაქცევენ ყურადღებას ჩემს გულწრფელ სიტყვებს და მოხუც მამას არასოდეს შემობრალებენ. თუმც ყოველივე ამაოა, უნდა ვევედრო, და თუ მათ არა, მწუხარებას ამ ქვებს გავანდობ. თუმც არც მათ ძალუძთ რომ პასუხი მომიგონ, მაინც ისინი ბევრად უკეთესნი არიან მათზე, ვინც მაწყვეტინებს ლაპარაკს და აბუჩად მიგდებს. როცა მე ვტირი, ცრემლს იწოვენ ქვანი ჩემს ფერხთით, თითქოს ისინი ჩემთან ერთად ცხარედ ტირიან. მათ რომ ემოსოთ მოსასხამი უძვირფასესი, მაშინ უკეთესს ვერ ჰპოვებდა რომი ტრიბუნებს. ქვა სანთელივით დადნებოდა ჩემი ცრემლებით, ტრიბუნები კი ქვად ქცეულან. ქვას არ აქვს ენა, ტრიბუნები კი სასიკვდილო სიტყვით დაგჭრიან.

(წამოდგება.)

მაგრამ შენ რაო, რატომ დგახარ მახვილით ხელში?!

ლუციუსი

მინდოდა ძმები გამომეხსნა სიკვდილისაგან და სამუდამოდ განდევნა კი დავიმსახურე, ამ განზრახვისთვის უსამართლო მსაჯულებისგან.

ტიტუსი

ბედი გქონია, შვილო ჩემო, ზეცამ დაგინდო, თორემ ვერ კარგად ვერ მიმხვდარხარ, ჩემო ლუციუს, რომ ჩვენი რომი აღსავსეა მძევინვარ ვეფხვებით! ვეფხვს მსხვერპლი უნდა და ხახაში ჩვენ ჩაუვარდით, ამიტომ, უნდა ბედნიერად ჩათვალო თავი, რომ გაგამევეს და გადურჩი კაციჭამიებს. ნეტავ ვინ მოსდევს ჩემს ძმას მარკუსს?! აქეთ მოდიან!

(შემოდან მარკუსი და ლავინია.)

მარკუსი

გზა მიეც, ტიტუს, დაუშრობელ ცრემლთა დინებას და გული შენი მოამზადე გასაპობლად, მე მომაქვს შენთვის სატანჯველი აუტანელი.

ტიტუსი

სწორედ სატანჯველს დავეძებდი, სად არის იგი?!

მარკუსი

აი, ეს იყო შენი შვილი...

ტიტუსი

და არის კიდევ!

ლუციუსი

გული მომიკლა ამ საზარმა სანახაობამ!

ტიტუსი

რად შედრკი, შეილო, ადექი და მიხედ შენ დას. თქვი, ლავინია, ვის წყეულმა ხელმა მოგკვეთა ეგ ნაზი ხელნი, მამაშენის გულგასამირად?! რომელ რეგვენმა ჩაუმატა წყალი დიდ ზღვაში, ან ცეცხლმოდებულ ტროას ფიჩხი ვინ შეუკეთა?! ეს მწუხარება თქვენს მოსვლამდე საზღვარს აღწევდა, ახლა ნაპირი გადმოხეთქა, როგორც ნილოსმა. მომეც მახვილი, მოვიკვეთო ორთავე ხელნი, მამულისათვის რომ იბრძოდნენ და სულ ამოდ, მათ დამაპურეს მათსავ შექმნილ დიდ მწუხარებით. მოწყალეებისთვის ხელთ ვიწვდიდი, მაგრამ, ვაგლახ, რომ მე სავალალო გამიწიეს მათ სამსახური. მხოლოდ ერთსა ვთხოვ ახლა მე მათ, რომ მომეშველონ, რათა მოვკვეთო ერთი ხელით ხელი მეორე. ბედნიერი ხარ, ლავინია, რომ არ გაქვს ხელნი, რადგან აქ, რომში, მათ სამსახურს არვინ აფასებს.

ლუციუსი

თქვი, ჩემო დაო, ვინ გაწამა ასე საზარლად?!

მარკუსი

ამოდ შესთხოვე, სამუდამოდ წაართვეს იგი, რითაც ნაზ სიტყვებს გამოთქვამდა, სმენას გვიტკობდა და გვაოცებდა დიდებული მჭევრმეტყველებით. დაცარიელდა ის გალია, სად მისი ენა ტკბილად გალობდა, როგორც ჩიტი და სმენას ჩვენსას უმშვენიერეს ნაზ ჰანგებით აჯადოებდა.

ლუციუსი

შენ მაინც გვითხარ, ვინ გაბედა ამის ჩადენა.

მარკუსი

მე მას წავაწყდი, როს დაძრწოდა სულ მარტოდმარტო და დაეძებდა თავშესაფარს უდაბურ ტყეში, ვით ნაზი შველი, სასიკვდილო ისრით დაჭრილი.

ტიტუსი

ეს შველი ჩემი ასულია, მან კი ვინც დაჭრა, მე მწუხარება მომაყენა სიკვდილზეც მძიმე და ეგავარ ახლა კლდეზე შემდგარ საბრალო მოხუცს, რომელსაც ირგვლივ ბობოქარი ზღვის სივრცე აკრავს. იგი შეჭყურებს, ვით ღელავენ ირგვლივ ტალღები და ელოდება, რომ უეცრად ძლიერი ზვირთი მარადის შთანთქავს მარილიან საზარელ ფაშვში. ამ გზით წავიდნენ განწირული ჩემი ვაჟები, აქ კი ღვას შეილი, განდევნილი მშობელ მხარედან, აი, ჩემი ძმაც, ჩემი ბედით ატირებული,

და აი ისიც, ვისი ყოფაც სულს ფერფლად მიქცევს, ჩემი საბრალო ლავინია, სულზეც უტკბესი. მე მისი ხვედრი წამითაც რომ წარმომედგინა, გონს დაკარგავდი მწუხარებით და ახლა რა ვქნა, როდესაც ვხედავ მის ნაზ სხეულს ასე წამებულს? ხელებიც არ გაქვს, რომ შეიშრო თვალზე ცრემლები, ენაც არა გაქვს, რომ მაუწყო, თუ ვინ გაწამა. შენ არც კი იცი, რომ შენს ღვიძლ ძმებს ეღებათ ბრალი შენი მეუღლის სიკვდილში და მოელით დასჯა. შეხედე, მარკუს! ო, ლუციუს, გვედრებ, შეხედე, როცა ვახსენე მისი ძმები, როგორ ატირდა და ვით დაგორდნენ მის დაწვებზე ცხარე ცრემლები, ვით უკვე დამტკნარ შროშანაზე აისის ნამი.

მარკუსი

იქნებ იმიტომ ატირდა, რომ ქმარი მოუკლეს, ან იქნებ მის ძმებს არ მიუძღვით დანაშაული.

ტიტუსი

თუ შენმა ძმებმა მოკლეს შენი მეუღლე, მაშინ ნულარ იწუხებ, მათ კანონით ერგოთ სიკვდილი. არა, ისინი ასეთ საქმეს არ ჩაიდენდნენ, ამას ამტკიცებს შენი სახის უსაზღვრო სევდა. მაშ, დამრთე ნება, ლავინია, რომ გეამბორო, ანდა მანიშნე მწუხარება ვით გაგიქარვო. ვინდა მე და შენ, შენი ძმა და ჩემი მარკუსი, სადმე წყაროსპირს დაუჯდეთ ერთად და მის სარკვეში, ვუყუროთ ცხარე ცრემლებისაგან დასერილ დაწვებს, რომლებიც გვანან ნაკადებით დაღარულ მინდორს, ჯერეთ შლამიანს ავდრისა და ნიაღვრის შემდეგ? და ვიჯდეთ ასე, ვიდრე წყაროს ანკარა წყალი არ შეერევა ჩვენს უწმინდეს, მღულარე ცრემლებს და ვიდრე გემოს არ შეუცვლის ცრემლთა მარილი. იქნებ შენსავით მოვიკვეთო ხელის მტევენები, ამოვიგლიჯოთ ენა და ჩვენც ასე მღუმარედ განვვლოთ აწ ჩვენთვის განკუთვნილი სიცოცხლის დღენი?!

გვითხარი, რა ვქნათ?! და რადგანაც კიდევ გვაქვს ენა, დე, მოვიგონოთ შურისგება ისე საზარი, რომ გავოცოთ მომავალი საუკუნენი!

ლუციუსი

კეთილო მამავ, ვთხოვ შეჩერდე, თორემ ეგ მოთქმა, ჩემს საბრალო დას უფრო მეტი წუხილით აესებს.

მარკუსი

ტიტუს, ცრემლები შეიმშრალე, გეყოფა მოთქმა.

ტიტუსი

აჰ, მარკუს, მარკუს, კარგად უწყი, ეგ ცხვირსახოცი მე ვერ შემეშრობს თვალზე ცრემლებს, რადგანაც იგი მთლად გაჟღენთილა მაგ თვალთაგან დაღვრილ ცრემლებით.

ლუციუსი

ო, ლავინია, მოდი მე შენ შეგიშრობ თვალებს!

ტიტუსი

მარკუს! მისმინე, მე მიუხვდი, თუ რას გკანიშნებს!
ენა რომ ჰქონდეს ჩემსავ სიტყვებს იტყოდა ისიც,
რომ მისმა ძმამაც ცხვირსახოცი შენებრ დაალობ
და უკვე ვეღარ შეუმშრალებს მწუხარე თვალებს.
ხომ ხედავ, რომ ჩვენ საზიარო სევდა გვაქვს ყველას,
ჯოჯოხეთს ლოცვას ვინ მოუვლენს და ჩვენ კი შველას!

(შემოდის აარონი.)

აარონი

ტიტუს, დიდებულ კეისარმა შემოგიტვალა,
თუკი გიყვარო საკუთარი შვილები შენი,
ან შენ, შენმა ძმამ, ანდა შენმა უფროსმა ვაჟმა,
უნდა მოიჭრათ რომელიმე ხელი და მერე
მე მას წაუღებ დიდ კეისარს; სანაცვლოდ იგი
გამოგიგზავნის შენს ორსავე ვაჟიშვილს ცოცხალს
და ეს იქნება მათი ცოდვის გამოსასყიდი.

ტიტუსი

ო, გულმონყაღე კეისარო! ჰოი, აარონ!
არც კი ვიცოდი, თუ ყორანსაც ძალუმს გალობა
ისევე ტკბილად, ვით ტოროლას მზის ამოსვლისას!
მე სიხარულით გაუუგზავნი კეისარს ჩემს ხელს.
მოდი, აარონ, მომეშველე, სიკეთე მიყავ!

ლუციუსი

შეჩერდი, მამავ, არ იქნება იმ ხელის მოჭრა,
რომელმაც მტერი უთვალაგვერ უკუაქცია.
ეს ხელი უფრო გამოდგება მოსაკვეთავად,
ახალგაზრდა ვარ და ავიტან სისხლის დაკარგვას,
მიამეცი ნება, მე დავიხსნა ძმების სიცოცხლე.

მარკუსი

თქვენმა ხელებმა მამაცურად დაიცვეს რომი,
მათ ზედ აღმართეს საომარი ცული და სისხლით
მტრის ციხე-დარბაზს წააწერეს განადგურება.
თქვენ მოიხვეჭეთ სახელი და დიდება ბრძოლით,
ჩემი ხელნი კა უმოქმედოდ იყვნენ აქამდის;
დღეს კი მიხდა, რომ ემსახურონ ამ კეთილ საქმეს
და ძმისწულები სიკვდილისგან გამოისყიდონ.

აარონი

ძალე შეთანხმდით, ვისი ხელი უნდა წავიღო,
თორემ ვშიშობ, რომ მათ დასჯიან გამოსყიდვამდე.

მარკუსი

ჩემო აარონ, ჰა, ეს ხელი!

ლუციუსი

ვფიცავ, რომ არა!

ტიტუსი

ხმელ ბალახს თხრიან და ამიტომ ნულარას დაობთ,
ჩემს ბებრულ ხელებს გაფრთხილება აღარ სჭირდებათ.

ლუციუსი

თუკი შვილად მთვლი, მამაჩემო, ნება მომეცი,
რომ ჩემი ძმები მე დავიხსნა სიკვდილისაგან.

მარკუსი

ჩვენი მშობლების ხსოვნისათვის გემუდარები,
ნება მომეცი დაგიმტკიცო ნამდვილი ძმობა.

ტიტუსი

კეთილი, წადით და შეთანხმდით. შეწყვიტეთ დავა...

ლუციუსი

წავალ და ახლავ ცულს მოვიტან...

მარკუსი

ჩემთვის, იცოდდე!

(გაღიან ლუციუსი და მარკუსი.)

ტიტუსი

რა ოსტატურად მოვატყუე! მოდი, აარონ,
შემომამშველე შენი ხელი და მოგცემ ჩემს ხელს.

აარონი (განზე)

თუ ამას ჰქვია მოტყუება, მაშ, წმინდანი ვარ
და სიცოცხლეში არ წარმოვთქვამ ასეთ სიცრუეს.
მე სხვა ხერხს ვიხმარ და ჩემს ტყუილს მაშინ მიხვდები,
როს ამ წუთიდან ნახევარი საათი გავა.

(მოჰკვეთს ხელს ტიტუსს. შემოდის ლუციუსი და მარკუსი.)

ტიტუსი

აწ მოსახდენი უკვე მოხდა, ნულარას იტყვით.
ჩემო აარონ, გადაეცი ჩემი მარჯვენა
კეისარს და თან შეახსენე, თუ ვით იცავდა
სწორედ ეგ ხელი მოსალოდნელ განსაცდელისგან.
ამიტომ, თვითვე მიაბაროს მიწას, თუმც იგი
უფრო ღირსეულ სამადლობელს იმსახურებდა.
ხოლო ჩემს შვილებს მე ვადარებ იმ მარგალიტებს,
რომელნიც მეტად იაფფასად გამოვისყიდე
და მაინც ძვირად, რადგან ჩემსავ კუთვნილს ვყიდულობ.

აარონი

მივდივარ, ჩემო ანდრონიკუს, და ხელის ნაცვლად,
ძალე საკუთარ ვაჟებს გულში ჩაიკრავ ტკბილად.
(განზე.)

ვგულისხმობ თავებს და ვივსები კმაყოფილებით,
როს საკუთარი სულმდაბლობის სიღრმეზე ვფიქრობ.

სიკეთე მან ჰქმნას, ვისაც დაჰკრავს თეთრი ელფერი, ჩემს შავ სახეს კი შავი სული უფრო შეჰფეროს.

(გადის.)

ტიტუსი

ჩემს ერთადერთ ხელს ზე აღვაპყრობ მაღალ ზეცისკენ, ხოლო მიწისკენ ჩემს მოჭრილ მკლავს დაეუშვებ, რათა, თუ რამ ძალა არს, შეიწყნაროს ჩემი ცრემლები. ცას შეველაღაღებ... (მიმართავს ლავინიას.) რაო?! გინდა, რომ დაიჩოქო?!

ჰო, ლავინია! ან შეისმენს ზეცა ჩვენს ლოცვას, ან ჩვენი ოხვრა მას დაჰფარავს მწუხარე ბინდით, ვით მზეს, რომელსაც შეღამების მსუბუქი ნისლი შემოეხვევა და ჩამირავს მთიების იქით.

მარკუსი

ძმაო, იფიქრე მასზე, რაიც გულს მისცემს იმედს, ნუ ჩაეშვები მწუხარების უღრმეს უფსკრულში.

ტიტუსი

განა უღრმესი მწუხარება არ მაწევს გულზე?! ჩემი გრძნობებიც ხომ უღრმესნი არიან, მარკუს!

მარკუსი

მაგრამ, გონებამ უნდა მართოს გრძნობანი შენი.

ტიტუსი

უბედურება გონიერი რომ იყოს, მაშინ ჩემს მწუხარებას მოთმინებით დავიოკებდი. როს ზეცა ტირის, განა მიწას არ ალბობს ცრემლით? როდესაც ქარნი ბობოქრობენ, ზღვა არ მღელვარებს და თვით ზეცასაც არა ზარავს ფაფარაშლილი? აბა, გონებას ვით მოუხმო მღელვარების ჟამს! მე ზღვა ვარ. გესმის?! ის ოხრავს და მე კი ვბობოქრობ, იგი ზეცაა მოტირალი, მე დედამიწა, მაშ, მისმა კვნესამ ზღვის ტალღები უნდა აშალოს, უნდა წამლევოს საზარ წარღვნით, უნდა ჩამძიროს. ჩემი სხეული ვერ დაიტევს ამ მწუხარებას და როგორც მთვრალმა, ისევ უნდა ამოვანთხო. მაშ, ნუ მაწუხებ, რადგან იგი, ვინც კარგავს შვებას, კვლავ მოიპოვებს მას, თუ ნაღველს ენით იქარვებს.

(შემოდის შიკრიკი და შემოაქვს ორი მოჭრილი თავი და ხელი.)

შიკრიკი

ო, ღირსეულო ანდრონიკუს, ჰა, შენი ხელი, რომელიც შენმა კეისარმა არ დაგიფასა. აჰა, იხილე კეთილშობილ ვაჟთა თავები, რომელიც მოხუცს ცრემლთ საფრქვევად გამოგიგზავნეს. არად აგღებენ შენს ჭაღარას და დაგცინიან და მე კი მეტად მამწუხარებს დღეს შენი ზვედრი, ფფიცავ, გარდაცვლილ მამაჩემის სულსა და ხსოვნას.

(გადის.)

მარკუსი

სიცილიაში ჩაქრეს ეტნა, ჩემი გული კი იქცეს მარადის აღმოდებულ საზარ ქვესკნელად. განა არსებობს ქვეყნად მეტი უბედურება?! თუ მოზიარე გყავს ტირილში, დარდს გიმსუბუქებს. მაგრამ შენს ცრემლს თუ დასცინიან, მწარეა მეტად.

ლუციუსი

ო, რასაც ვხედავ, ღრმა ჭრილობას აყენებს ჩემს გულს და არც სატანჯველს, აუტანელს, არ უჩანს ბოლო! მაშ, ასეთ ყოფას, დე, სიკვდილმა თვისი სახელი დაუთმოს, რადგან კი არ ვცოცნლობთ, ვსულდგმულობთ მხოლოდ.

(ლავინია კონცის ტიტუსს.)

მარკუსი

ვაგლახ, საბრალვო, შენი კოცნა ვის რას უშველის, რაა დამშეულ გველისათვის დამზრალი წყალი!

ტიტუსი

როდის ექნება დასასრული საშინელ სიზმარს!

მარკუსი

თავს ნუ იტყუებ, კმარა, ტიტუს, არ დაიჯერო, რომ ყოველივე სიზმარია! შეხე შენს შეილებს, შენს ნაომარ ხელს, შენს წამებულ ასულს შეხედ! შეხედ შენს შვილს, სამშობლოდან მარად განდევნილს, დგას ვაცრეცილი, სისხლგამშრალი ღრმა მწუხარებით. მე კი, შენი ძმა, გამაქვავა უბედურებამ და აღარ ძალმიძს შევიკავო ეს მწუხარება. ნულარ დაინდობ მაგ ვერცხლისფერ ჭაღარას შენსას, საკუთარ კბილით დაიდრღენი მეორე ხელი, რომ ვერ გაუძლონ ამ თვალებმა საზარელ სურათს. ქარიშხლის ღროა, აბობოქრდი, რამ გაგაჩუმა?

ტიტუსი

ჰა, ჰა, ჰა!

მარკუსი

რისთვის ხარხარებ?! შენს კაემანს ეგ არ შეჰფერის.

ტიტუსი

ვეღარა ვტირი, მოლაღ დამიშრა თვალებში ცრემლი და მწუხარებაც მოსისხლე მტრად გადაქცევია. სურს დამაბრმავოს, დამაფაროს თვალეზე ბინდი, რომ ამ ტანჯვიდან ვეღარ ვნახო გამოსავალი. თქვი, ვით მივაგნო შურისკებას! საღ უძიქს ბინა? ეს უსიცოცხლო თავები კი ჩამწურჩულებენ, რომ არასოდეს აწ კურთხევა არ შეღირსება, ვიდრე მაგიერს არ მიეუზღავ იმ ბოროტ ხელებს, რომელთ ისინი დღეს სიცოცხლეს გამოასალმეს.

აქ ახლოს მოდიო, გადაწვევით ამ უბედურ ჟამს, თუ მომავალში რა ვიღონოთ, რა გზას დაუდგეთ. მოდიო საზარი ფიცი დავთქვათ, რომ შურს ვიძიებთ, და ვფიცავ კიდეც, რომ ვიქნები დაუნდობელი. მაშ, მოდი ძმაო, ერთი თავი შენ წამოიღე, მე ცალი ხელით ამ მეორე თავს გულს ჩავიკრავ, შენ კი ჩაავლე, ლავინიაჲ კბილები ჩემს ხელს, შენ კი ლუციუსს, შეიბრალებ ჩემი თვალები და უკვე ნულარ მენახეები... ვაუდექ შენს გზას. რახან განგდევნეს, მიაშურე გუთების ლაშქარს, შეკყარე ჯარი, სიმართლისთვის ამხედრებული. ნულარ აყოვნებ, მოდი, შევილო, მაკოცე მოხუცს, დამეშვიდობე და შევუდგეთ საძნელო საქმეს.

(გაღიან ტიტუსი, მარკუსი და ლავინია.)

ლუციუსი

გემშვიდობები, მამაჩემო, მოხუცო ტიტუს, არ მეგულება დღეს არავინ შენზე საბრალო. მშვიდობით, რომო! ლუციუსი კვლავ დაბრუნდება, რადგან სიცოცხლეს ურჩევნია თვისი მძევლები. მშვიდობით, ჩემო ლავინიაჲ, კეთილო დაო, ნეტავ არასდროს არ მენახე განაწამები, ხსოვნაში ცოცხლობ მომღიმარი და მომხიბვლელი, სინამდვილეში კი გულს მიკლავ ტანჯული სახით. თუკი ვიცოცხლე, სატურნინუსს, და შენც ტამორავ, მაგიერს ვიზღავთ და გატარებთ სხვათა კარდაკარ, მათხოვრად გაქცევთ, ვით დედოფალს და ტარკვინიუსს. ახლა კი წავალ გუთებთან და ჯარს თავს მოვუყრი, რათა ვიძიო შური რომზე და კეისარზე.

(გაღის.)

სურათი მემორე

აქვე აღვილი. ოთახი ტიტუსის სახლში. გაშლილია სუფრა. შემოღიან ტიტუსი, მარკუსი, ლავინია და ყრმა ლუციუსი

ტიტუსი

აბა, დაჯექით და დანაყრდით მხოლოდ იმდენად, რომ თქვენი ძალა ოდნავ მაინც შეინარჩუნოთ, რათა ვიძიოთ შური ბოროტ მოძალადეზე. მარკუს, გვიშველე, გახსენ კვანძი მწუხარებისა... მე და შენს ძმისწულს საამისოდ არ გვაქვს ხელები, რომ გამოვხატოთ ჩვენი სევდა გულხელდაკრეფით. ჩემი უსაზღვრო სატანჯველის განსაქარებლად, მე დამრჩენია მხოლოდ ჩემი მარჯვენა ხელი, რათა მკერდს ვიცე, სადაც ჩემი საბრალო გული, გამომწვევდელი ამ ცარიელ სატუსალოში, ძვერს მოუსვენრად, დარდისაგან იავარქმნილი, და ვცდილობ იგი შევაჩერო ერთადერთ ხელით.

შენ რაღა გინდა, მწუხარების ნათელი ხატო, ალბათ გსურს მითხრა, რომ, როდესაც ეგ ნაზი გული სცემს და ბობოქრობს მძიმე სევდით — ვერარას შევლი, ვერ დაიმშვიდებ მაგ მოკვეთილ ხელების ცემით. მაშ, დასჭერ კენესით, მოჰკალ ოხვრით, ან კბილებს შუა პატარა დანა დაიჭირე და მკერდს დაირტყი; ცრემლთა ნაკადი იმ პაწაწა ნაპრაღში უმაღლ ჩაედინება და ააყვებს მას მღუღარებით; შიგ ჩაიხრჩობა შენი გული და დამშვიდდება.

მარკუსი

გრცხვეხოდეს, ძმაო! თვითმკვლელობას რად უქადაგებ, გსურს, რომ სიცოცხლე მოისწრაფოს საკუთარ ხელით?!

ტიტუსი

რაო? შეგშალა მწუხარებამ ალბათ, საბრალოვ! იპ, არა, მარკუს, დე, მე ვიყო შეშლილი მარტო! საღ გააჩნია საკუთარი ხელი ჩემს ასულს?! აჰ, რად ახსენე, მარკუს, ხელი! გსურს, რომ ენეის სევდით აღსაყვს ხელმეორედ ამბობინო, როგორ დაფერფლეს, როგორ დასწვეს ტროა უღმობლად?!

ნუ გახედლები, ჩემო მარკუს, ხელს ნუ ახსენებ, იგი გვაგონებს მას, რაც უკვე დავკარგეთ მარად. ფუი, რა მართლაც შეშლილივით ამოვიჩემე! ვითომდა რაო, აღარასდროს არ გვეხსომება, რომ არ გვაქვს ხელნი, თუ ჩემი ძმა არ გაგვახსენებს?! მოდი, ნულარ ეჭამთ! ლავინიას არც საჭმელი სურს და არცთუ სასმელს ეკარება! გესმის, რას ამბობს? მე შემოძლია გადავთარგმნო ყველა ნიშანი. ის მეუბნება, რომ იმ ცრემლთა წყაროს სვამს მხოლოდ, მის ნაზ ღაწვევებზე ნაკადად რომ მოედინება. ჩემო უსიტყვო მომჩივანო, ვსწავლობ შენს აზრებს და შენს ფიქრებში მე ისევე დავხელოვნდები, ვით მწირი ვინმე უპოვარი წმინდა ლოცვებში. ვერ დაიკვნესებ, ვერ აღაპყრობ ზეცისკენ მკლავებს, ვერც თავს დაიქნევ და ვერც თვალებს დაახამხამებ, ვერც დაიჩოქებ ისე, რომ მე აზრს ვერ მიგიხვდე და მოთმინებით არ ვისწავლო შენი ანბანი.

ყრმა ლუციუსი

ძვირფასო პაპავ! ნულარ მოთქვამ ასე მწუხარედ, გთხოვ, სახალისო რამ უამბო მამიდას ჩემსას.

მარკუსი

როგორ ათროლოდა ჯერეთ ნორჩი, კეთილი ბავშვი, და პაპას მოთქვამ აატირა ცხარე ცრემლებით.

ტიტუსი

დამშვიდდი, შევილო, შენ ნორჩი ხარ და მლაშე ცრემლი ჯერ გაუფურჩქნავ შენს სიცოცხლეს უმაღლ დააჭკნობს.

(მარკუსი დანას დაარტყამს თეფშს.)

ტიტუსი

მიტხარ, რა მოხდა, რას დაარტყი ეგ დანა მარკუს?

მარკუსი

იმას, რაც მოკვალ... აბეზარ ბუზს დავარტყი, ტიტუს!

ტიტუსი

მომშორდი, მკვლელო! გულს მიშფოთებს შენი დანახვა, მობეზრდათ უკვე თვალებს ჩემსას მკვლელობის ხილვა, რისთვის მოკალი უცოდველი, სუსტი არსება! ცოდვის ჩადენა არ შეჭფერის ჩემს საკუთარ ძმას. მომშორდი-მეთქი, შენ ჩვენ შორის ვერ ჰპოვებ ადგილს!

მარკუსი

რა მოხდა, ძმაო, მე ხომ მხოლოდ ბუზი მოკვალი!

ტიტუსი

„მხოლოდ“, მაგრამ, თუ მას მშობლები ელიან, მაშინ? რაგვარ წუხილით ჩამოყრიან ფრთებს, მოოქროვილს, და აავსებენ ჰაერს მწარე, მწუხარ ბზუილით! საბრალო ბუზი, რა უძლოდა დანაშაული?! ის მხიარულად ზუზუნებდა და დაფრინავდა, რათა დაეტკბო ჩვენი სმენა და შენ კი მოჰკვალ!

მარკუსი

გთხოვ მაპატიო! მოკვალ, რადგან ეს შავი ბუზი ჩვენი დედოფლის ბოროტ სატრფოს, მავრს მაგონებდა.

ტიტუსი

ოჰ, მაშ, შემინდე საყვედური ესოდენ მკაცრი, რადგან სიკეთეს არ შეჭფერის ასე გაიცხვება. მომეც ეგ დანა, მსურს აბუჩად ავიგლო იგი და წარმოვიდგენ, ვითომ მავრი მოვიდა ჩემთან, რათა სიცოცხლე მომიშხამოს ბოროტი მხერით. აი, ესეც შენ და ეს კიდევ ბოროტ ტამორას! ბატონო ჩემო, ჩვენ ჯერ ისე არ დავცემულვართ, რომ ვერა ვპოვოთ ძალა ისეთ ბუზის მომრევი, რომელიც ასე ჰგავს იერით პირშავ აარონს.

მარკუსი

ვაგლახ, საბრალოვ! მწუხარებამ ისე შეგიპყრო, რომ მოჩვენება გესახება ნამდვილ სულდგმულად.

ტიტუსი

კმარა, წავიდეთ, აალაგეთ უმაღვე სუფრა. წამოდი, ჩემო ლავინია, და შენს ოთახში მე წავიკითხავ მწუხარ ამბებს, გარდასულ დღეთა. წამო, ბიჭუნავ, ჩვენთან და შენ განაგრძობ კითხვას, როს თვალის ჩინი მიღალატებს საბრალო მოხუცს.

(გადიან.)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

რომი. ტიტუსის ბაღი.

შემოდიან ტიტუსი და მარკუსი. შემდეგ შემორბის ყრმა ლუციუსი, რომელსაც მოსდევს ლავინია.

ყრმა ლუციუსი

მიშველე, პაპა, სულ თან დამდევს მაშიდაჩემი და მიზეზი კი ვერ გავიგე ვერასდიდებით. ჩემო კეთილო ძია მარკუს, შეხედე ერთი რა სწრაფად მორბის, არც კი ვიცი, რა უნდა ჩემგან.

მარკუსი

ნუ გეშინია. მოდი ჩემთან და არ მომცილდე.

ტიტუსი

მას შენ იმდენად უყვარხარ, რომ არარას გავნებს.

ყრმა ლუციუსი

ვიდრე მამაჩემს განდევნიდნენ, ძლიერ ვუყვარდი...

მარკუსი

რა გსურს გვაუწყო მაგ უცნაურ შენი ნიშნებით?

ტიტუსი

ნუ, ნუ თრთი, ბავშვო, ხედავ ცდილობს რაღაცის ახსნას, შეხე, ლუციუს, რა თვალებით გიყურებს იგი. თითქოს უნდა, რომ სადღაც გაჰყვე და მისთვის მოგდევს. ლავინიასებრ, შეილო ჩემო, თვით კორნელიაც, ვერც ციცერონის „ორატორს“ და ვერც ხმატკბილ ლექსებს ვერ უკითხავდა თავის ვაჟებს. რა უნდა ნეტავ?!

ყრმა ლუციუსი

არ ვიცი სწორედ და ვერც ვხვდები, რა უნდა ჩემგან, იქნება დარღობს ჭკუისაგან გადასცდა იგი. პაპაჩემისგან არაერთხელ გამიგონია, რომ შეიძლება მწუხარებით კაცი გაგიჟდეს. მე წამიკითხავს, რომ ტროელი ჰეკუბა თურმე ჭკუას გადასცდა ჯავრისაგან! ამიტომ შეგკრთი,

თუმცა ვიცი რომ ჩემს საყვარელ, კეთილ მამიდას
ისე ვუყვარვარ, ვით დედაჩემს ვუყვარდი გულთი.
მხოლოდ შეშლილი, თუ შეძლებდა ჩემს შეშინებას
და ამიტომაც უნებურმა ძრწოლამ შემიპყრო,
დავაგლე წიგნი და აქეთკენ გამოვიქეცი.
გამიდაჩემო, თუ წამოვა ძია მარკუსი,
მე სიხარულით გამოგყვები ყველგან, სადაც გსურს.

მარკუსი

ლუციუს, წამო, წამოგყვებით.

(ლაინია ცდილობს გადმოაბრუნოს წიგნები, რომელიც ლუ-
ციუსს ხელიდან გაუვარდა.)

ტიტუსი

ნეტავი რა გსურს, ლავინია? მარკუსს, ვერ ხვდები?
რომელიღაცა წიგნს დაეძებს, მაგრამ რომელ წიგნს?
მოდით ლუციუს, გადაშალე ისინი, თუმცა
შენ უფრო მეტად ნაკითხი ხარ, ჩემო ასულო.
წამოდი, იქნებ წიგნთსაცავში მოძებნო იგი
და შენც დაწინარდე, ვიდრე ზეცა საბურველს ახდის
და გამოაუღუნს ამ საზარელ საქმეთა ჩამდენს.
რატომ სწევს მკლავებს რიგრიგობით ნეტავი ზევით?

მარკუსი

ვიფირობ, გვანიშნებს, რომ მარტოღენ ერთი კი არა,
მეტნი ვოფილან, როგორცა ჩანს, ბორთტმოქმედნი,
ან იქნებ ზეცას შესთხოვს ძალას შურისკებისას.

ტიტუსი

ლუციუს, მითხარ, რა წიგნსა ჰკრავს მკლავს ასე
მძაფრად?

მარკუსი

„მეტამორფოზებს“ ითხოვს ალბათ ოვიდიუსის,
დღამ რომ მომცა...

მარკუსი

ალბათ ხსოვნა, განსვენებულის,
აიძულებს, რომ აიჩიოს სწორედ ეს წიგნი.

ტიტუსი

ხედავ? ის ცდილობს გადაშალოს როგორმე იგი!
(ეხმარება მას.)

ნეტავ რას ეძებს? იქნებ გინდა, რომ წავიკითხო,
რაც ფილომელას ტრაგიკულ ბედს უხება სწორედ,
ანდა ტერევისის ღალატსა და ძალმომრეობას.
ემიშობ, ეს არის მწუხარების შენი მიზეზი.

მარკუსი

შეხედ, ძმაო, რა თვალებით ჩაჰყურებს ფურცლებს!

ტიტუსი

რამ გაგაოცა ნეტავ ასე, ძვირფასო ჩემო,
ალბათ შენხედავ ასერიგად იხმარეს ძალა

იმ უკაცრიელ და მიუვალ დაბურულ ტვეში.
შეხედე! სადაც ვნადირობდით, იმ ადგილს მოჰკავს,
ნეტავ არასდროს გვენადირა, გადავჩნებოდით.
ხედავ, ამ ადგილს რა სიტყვებით აღწერს მგოსანი?..
თითქოსდა იგი შექმნილია ბნელ საქმეთათვის.

მარკუსი

რისთვის შექმნიდა ასეთ ბუნავს ბუნების ძალა,
თუ ჩვენს ტანჯვაში არ ჰპოვებენ ღმერთნი სიამეს?!

ტიტუსი

ჩემო ასულო, შენს მოყვარეთ გვანიშნე მაინც,
იქნება ვინმე დიდებულმა ჰქმნა ეს სიავე,
იქნებ ამაღლა მიატოვა სატურნინუსმა
და აგედენა, ისე როგორც ტარკვინიუსმა
დასტოვა ჯარი ლუკრეციას შესაბლალავად.
გვერდით მომიჯექ, ლავინია, ძმაო, შენც მოდი.
აპოლონი, ჰელას! ჰოი, ზევსო, ჰოი, მერკური!
შთამბერეთ ძალა, რომ ავხადო ფარდა ბნელ საქმეს;
აქეთ მომხედე, ძმაო ჩემო, შენაც, მძისწულო,
იქნებ დაწერო, ლავინია, აქ, ამ ქვიშაზე,
ვით მე გაჩვენებ ამ ხელჯოხით მისი სახელი.
აბა, უყურე...

(მარკუსი წერს თავის სახელს ხელჯოხით ისე, რომ ჯოხი
კბილებით უჭირავს და ფეხებს აშველებს.)

მე დაწერე ჩემი სახელი
და, როგორც ხედავთ, ხელი სულაც არ მიხმარია.
წყვეულმც იყოს მისი მოდგმა, ვინც გვაიძულა,
რომ მოგვეგონა ასეთი რამ, ეცადე შენაც.
უნდა შევიტყოთ თვით ღმერთების ნებასურვილით,
მისი სახელი, ვისზეც უნდა შური ვიძიოთ.
მამ, მოიმარჯვე ეს ხელჯოხი როგორც კალამი,
რათა გავიგო ვინ მტერია და ვინ მოყვარე!
(ლაინია კბილებით იჭერს ხელჯოხს, მკლავებს იშველიებს
და ისე წერს.)

ტიტუსი

კითხულობ, ძმაო, რა დაწერა ჩემმა ასულმა?
Stuprum, Chiron, Demetrius?

მარკუსი

რაო? ტამორას ავხორც შვილებს ედებათ ბრალი
ამ სისხლიან და გულშემზარავ ბოროტ საქმეში?!

ტიტუსი

Magni Dominator poli,
Tam lentus audis scelera? Tam lentus vidas?

მარკუსი

დამშვიდდი, ძმაო, თუმცა ვიცი, ჩემო კეთილო,
რომ საკმარისი რაი წერია აქ, ამ მიწაზე,

რათა აღშფოთდეს თვით ყველაზე მშვიდი გონება, ან ჩვილი ბავშვი მიიყვანოს მძვინვარებადღე. მუხლთ მოიყარე, ჩემო ძმაო, შენც ლავინიაც, შენც, რომელი ჰექტორის ძე, მისო იმედო⁴. ჩვენც დავიფიცოთ, ვით შეჭვიცეს მეუღლემ, მამამ და ახალგაზრდა ბრუტუსმა, რომ შურს იძიებდნენ, დაუნდობელად, ლუკრეციას შებღალვისათვის, რომ არ შეეარჩინოთ ვერაუ გუთებს მათ შავბნელ საქმეს. თუ არ დავდვარეთ მათი სისხლი, ფიქრიც კი მოგვკლავს, რომ ბოროტებას ვერ მივუზღვეთ სამაგიერო.

ტიტუსი

ასეც იქნება, მაგრამ რა გზას დავადგეთ ახლა, სიფრთხილე გვმართებს, რომ ძუ დათვმა არ მოგვიხელთოს,

როს მის ბელებზე ვინადირებთ, იცოდეთ, რომ ის ჩვენ არ დაგვინდობს, რადგან მეტად ახლოს დგას ლომთან, მის წინ ცმუკავს და კოტრიალობს, ტკბილ ნანას უმღერს, და როცა იმ ლომს დაამინებს, ძუკნაობს მერე. თქვენ შეიცადეთ, მე მომანდეთ ჯერეთ ეს საქმე, აქ, გამოცდილი მონადირის ხელი გვჭირდება. წავალ, ავიღებ მე თითბერს და რკინის ნატეხით ზედ ამოვკვეთავ ლავინიას დაწერილ სიტყვებს, თორემ დაჰპერავს ჩრდილოეთის აშარი ქარი, გაფანტავს ქვიშას, ისე როგორც სიბილას ფურცლებს⁵, მერე კი საბუთს სადღა ნახავ? რას იტყვი, ბავშვო?

ყრმა ლუციუსი

იმას ვიტყვოდი, ნეტავ კაცად მაქცია-მეთქი, მაშინ დედოფლის ოთახიც ვერ დაიფარავდა დიადი რომის იმპერიის მონობის უღირსთ.

მარკუსი

ჰო, შვილო ჩემო, შენი მამაც ასეთი იყო, ამ უმაღურ რომს ის ყოველთვის იცავდა მტკიცედ.

ყრმა ლუციუსი

და მეც ასევე მოვიქცევი, სანამ ვიცოცხლებ.

ტიტუსი

საჯაბადროში წამომყევი, ჩემო ლუციუს, ჯერეთ აისხი იარაღი და შემდეგ წახვალ, წაუღებ ჩემგან უფლისწულებს ძვირფას საჩუქრებს, ორივე მათგანს მსურს მივართვა რაიმე ძღვენი. წამო, იყავი, ჩემო კარგო, ჩემი მსტოვარი.

ყრმა ლუციუსი

უმაღ ორივეს გავგმირავდი. ჩემი მახვილით.

ტიტუსი

არა, პატარავ, მე გასწაველი უკეთეს რამეს, წამოდი, ჩემო ლავინიაც, შენ დარჩი, მარკუს,

ჩვენ კი სასახლეს ვეწვევით და, რომ მიგვიღებენ, იქ გამომწვევად მოვიქცევით. წამო, ლუციუს!

(ვადიან ტიტუსი, ლავინია და ყრმა ლუციუსი.)

მარკუსი

ჰოი, ზეცაო! ნუთუ ძალგემს, რომ მოისმინო ალალ-მართალი კაცის კენესა გულშემზარავი და სული რომ არ დაუმშვიდო, არ სცე ნუგეში? მარკუს, შენ მაინც დაიფარე ტიტუსი მტრისგან, რამეთუ გულში მას ჭრილობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე მის ფარ-ხმალს მტრის მახვილის ღრმა ნაკვალევი. მან არც კი იცის, ვით იძიოს მზაკვრებზე შური, მაშ, შენ შერისხე, ზეცავ, მტერი ტიტუსის ნაცვლა!

(ვადის.)

სურათი მეორე

იგივე ადგილი. ოთახი სასახლემო.

შემოდან აართონი, ქირონი და დემეტრიუსი, ერთი მხრიდან, ხოლო მეორე მხრიდან შემოდის ყრმა ლუციუსი, თან ახლავს მსახური, რომელსაც მოაქვს ისრებს შეკვრა ზედ წარწერილი ლექსებით.

ქირონი

შეხედე ერთი, დემეტრიუს, ყრმა ლუციუსი გვწვევია და სურს, რომ გვაუწყოს რაღაც ამბავი.

აართონი

შეშლილი პაპა ჭკვიანურს რას დააბარებდა!

ყრმა ლუციუსი

მოგესალმებით თავმდაბლურად, უფლისწულებო, ანდრონიკუსი წრფელ მოკითხვას გადმოგცემთ ყველას. (განზე.)

რომის ღმერთებს ვთხოვ, დაგატეხონ ათასი რისხვა.

დემეტრიუსი

გმადლობთ, ლუციუს, სხვა რა ამბებს გვაუწყებ კიდევ?

ყრმა ლუციუსი (განზე)

სწორედ იმ ამბავს, რომ ორივე ხართ ავაზაკნი, და უკვე ვუწყით თქვენს ბნელ საქმეთ...

(ხმაბალა.)

მსურს გაგახაროთ,

საგულდაგულოდ შერჩეული ეს იარაღი, გამომატანა პაპამ თქვენთან იმის საწინდრად, რომ, ღირსეულ ჭაბუკებო, თქვენში ის ხელავს, იმედს რომისას და დასძინა, რომ მომავალში, გასაჭირის ჟამს საზრუნავი აღარ გექნებათ, რადგან იქნებით აღჭურვილი ამ იარაღით.

მე მთელ სისწორით მოგახსენეთ რაც მან მიბრძანა.
ახლა დაგტოვებთ...

(განზე.)

ორ სისხლისმსმელ ბოროტ ავაზაკს.
(გაღიან ყ რ მ ა და მ ს ა ხ უ რ ი.)

ღემეტრიუსი

ეს რაღა არის? ამ გრაგნილზე რაღა წერია?
ენახოთ...

(კითხულობს.)

Integer vitoe, scelerisque purus,
Non eget Mauri jaculis, nec arcu¹.

ქირონი

ეს სტრიქონები ჰორაციუსს ეკუთვნის, ვგონებ,
მანსოვს ოდესღაც წამიკითხავს „გრამატიკაში“.

აარონი

ჰო, ჭეშმარიტად ჰორაციუსს ეკუთვნის იგი!

(განზე.)

ცუდია, როცა კაცი ვირად დაიბადება!
ეს კარგს არაფერს მოასწავებს! ალბათ მოხუცმა
გაიგო მათი მზაკვრობა და ეს იარაღი
გამოაზვია სტრიქონებში, რომელიც აჩენს
ღრმა ჭრილობას და სულელნი კი ტკივილს ვერ
გრძნობენ.

დედოფალი რომ იყოს ფეხზე — მიუხვდებოდა,
თუ რა ზრახვანი ამოდრავებს ტიტუსს ამჯერად.
მაგრამ, დე, მოწყდეს წამიერად მშფოთვარ ცხოვრებას.

(მიმართავს ღემეტრიუსს და ქირონს.)

ხედავთ, ჭაბუკნო უფლისწულნო, ბედნიერ ვარსკვლავს
მოუყვანიხართ უცხოელნი რომში და მეტიც,
ყოფილნი ტყვენი აწ აღზევდით, ტახტს მიაღწიეთ!
გულს მომეფინა, რომ სასახლის კართან, ტრიბუნმა
ეს გამოწვევა გამოგზავნა ძმის გასაგონად.

ღემეტრიუსი

მე კი ის უფრო მიხარია, რომ ასეთ კაცმა
პატივი დაგვლო და ეს ძღვენი შემოგვთავაზა.

აარონი

განა არა ხართ ამის ღირსნი, თქვი, ღემეტრიუს,
თქვენ ხომ მის ასულს უდიდესი პატივი დასდეთ!

ღემეტრიუსი

მე ვისურვებდი, რომ უთვალავ რომაელ ქალზე,
ასევე კარგად მენადირა, ვით მის ასულზე.

ქირონი

მეც ასეთივე სურვილით ვარ აღსავსე ახლა.

აარონი

ისღა გაკლიათ დელატქვენმა მოგძახოთ „ამინ“.

ქირონი

ჩვენს ოც შეცდომას ის ოცჯერვე კვირს დაუკრავდა.

ღემეტრიუსი

მოდი, წავიდეთ და შევთხოვოთ ღმერთებს მორჩილად,
რომ ჩვენს დედოფალს ტკივილები შეუმსუბუქოს.

აარონი (განზე)

ეშმაკებს სთხოვეთ, ღმერთებმა კი უკვე შეგვრისხეს.

(გაისმის საყვირის ხმა.)

ღემეტრიუსი

ნეტავ საყვირნი რისთვის ხმობენ კეისარისა?!

ქირონი

ალბათ დედოფალს შეეძინა ტახტის მემკვიდრე.

ღემეტრიუსი

ჩუ, ვიღაც მოდის...

(შემოდის გაღია შავკანიანი ბავშვი.)

გაღია

დილა მშვიდობის, უფლისწულნო!
მითხარით, მავრი — აარონი, აქ ხომ არ არის?!

აარონი

რაო, მავრიო?! არც კი ვიცი, რა ჯიშისა ვარ!
აარონი კი აქ ბრძანდება — მე თვით გახლავარ!

გაღია

ჰოი, ყველანი დავიღუპეთ, ჩემო კეთილო,
უშველე შენს თავს, თორემ გელის უბედურება.

აარონი

ეს რა კნავილი აგვიტეხე, გვითხარ რა მოხდა,
ანდა რას ფუთავ გულმოღვინედ, მანდ რას გვიმალავე?!

გაღია

მას, რაიც უნდა დავუმალოთ ღმერთების მზერას,
რომის შერცხვენას და დედოფლის თავლაფის დასხმას.
დედოფალს უკვე შეეძინა... ჰო, შეეძინა...

აარონი

რა შეეძინა?!

გაღია

უნდა მეთქვა, რომ უკვე შობა!

აარონი

მიეცით შვება ჩვენს დედოფალს, მაღალნი ღმერთნი!
თქვი მაინც ზეტამ რა შესძინა...

გაღია

ეშმაკის კერძი!

აარონი

მაშ, თვით ყოფილა დედოფალი ეშმაკის ღედა,
ეს მართლაც მეტად სასურველი შენაძენია.

გაღია

რის სასურველი, საძულველი შავი ნაყოფი,
ბავშვი საზარი, უსაზური, როგორც გომბეშო,
რომის მშვენიერ თეთრ ბავშვებში ჯოჯოღო რომ მოჩანს.
აწ შენ ვიგზავნის დედოფალი სახეებს შენსას
და ვიბრძანებს, რომ მოუნათლო მახვილის წვერით.

აარონი

განა რითია შავი ფერი თეთრზე ნაკლები?!
შორს, შე როსკიპო. მოდი, ჩემო ფუნჩულა კვირტო.

დემეტრიუსი

ეს რა გიქნია გაიძვერაჲ!..

აარონი

რა უნდა მექნა!

ქირონი

ეს რა უქენი ჩვენს დედოფალს, პირშავო ძაღლო!

აარონი

ღედაკაცს რასაც უშვრებიან, მეც ის ვუქენი!

დემეტრიუსი

მეც იმას ვდაობ, რომ ეგ საქმე არ უნდა გექნა.
ვაი, მის ბედსა! დაე, წაწყდეს მისი რჩეული,
წყეულმც იფოს ეს საზარი შენი ნაყოფიც!

ქირონი

ახლავ სიცოცხლეს მოკუსწრაფებ...

აარონი

ის არ მოკვდება!

გაღია

ის უნდა მოკვდეს, ეს ასე სურს მის მშობელ ღედას.

აარონი

რაო?! მოკვდესო, ასე ბრძანა?! მაშ, დე, ეს რისხვა
ჩემივე ხელით ადვასრულო ჩემს სისხლს და ხორცზე!

დემეტრიუსი

სიამოვნებით ავაგებდი მახვილის წვერზე,
გაღიაჲ, მომეც, მე გავგმირავ მაგ თავკომბალას!

აარონი

შენ უფრო უმაღ გამოგვიგნავ ჩემი მახვილით!

(გაღიას ართმევს ბავშვს და იძრობს მახვილს.)

შესდექით, მკვლელნი, ძმაზე გინდათ ხელი აღმართოთ?!
ვფიცავ ცის მნათობთ, ზეტაზე რომ ბრწყინავენენ მაშინ,
როცა ეს ბავშვი ჩაისახა დედის საშოში,
რომ ვინც ხელს ახლებს ჩემს მემკვიდრეს, პირმოსა ჩემსა,
გაიგმირება უმაღ ჩემი მახვილის წვერით!
ჰე, ცინგლიანნი, მერწმუნეთ რომ ვერც თვით ალკიდე
და ვერც ტიფონი, მთელი მისი საშიში ხროვით,
ვერც ენცეკლადუს² და თვით ომის ღმერთიც ვერ შეძლებს,
რომ გამომტაცოს მე, მის შემქმნელს, ხელიდან იგი.
ვითომდა რაო?! თქვე მწითურო უსულგულონი!
თეთრად შეთხვრილნი კედლებო და ღუქნის აბრებო!
განა არ იცით, რომ ყველა ფერს შავი სჯობია,
რომ მას ვერ შეცვლი და სხვა ფერად ვეღარ შეღებავ?!
თვით ოკეანის დინებაც კი ვერ გაათეთრებს
გედის შავ ფეხებს, თუმც ყოველთვის ევლება წყალი.
დედოფალს ჩემგან გადაეცით, ჩემი ზნის კაცმა
მშვენივრად უწყის საკუთრებას ვით მოუაროს.

დემეტრიუსი

ასე აწბილებ შენს დედოფალს, მბრძანებელს შენსას?!

აარონი

მას დედოფლობას არვინ ართმევს, ეს კი თვით მე ვარ,
ეს არის ხატი გარდასულის ჩემი ყრმობისა,
ეს მირჩვენია მთელ ქვეყანას და მას დავიცავ,
ჩემ წინააღმდეგ თუნდ ამხედრდეს მთელი სამყარო.
ან გადავარჩენ, ანდა ვინმე შეეწირება!

დემეტრიუსი

ამით დედაჩემს შერცხვენა და განკიცხვა ელის!

ქირონი

რომი არასდროს აპატიებს მას ასეთ საქმეს!

გაღია

განრისხებული კეისარი სიკვდილით დასჯის!

ქირონი

ვერძნობ, რომ ვწითლდები, ეს ამბავი რომ მახსენდება!

აარონი

მშვენიერება თქვენი იმით გამოირჩევა,
რომ გასცემს ხოლმე ფერის შეცვლით თქვენს გულის
ზრახვას!

ამ გამცემლო სახის ფერო, არაფერს მალავ!
 აა, ბიჭუნა, შეფერილი სხვაგვარი ფერით,
 შეხედეთ, რარივ შემომყურებს ეს შავი მონა
 და თითქოს ამბობს: „ბერიკაცო, შენი ვარ, შენი!“
 ეს თქვენი ძმია, ბატონებო, და იმავ სისხლით
 იკვებებოდა, სიცოცხლე რომ თქვენც მოგანიჭათ,
 იმავ საშოდან დაიბადა, სად თქვენც ბუღობდით
 და დღის სინათლე დღეს თქვენს მსგავსად იხილა მანაც.
 იმას ხომ წყალი არ გაუვა, რომ თქვენი ძმია,
 მაგრამ სახეზე მაინც აზის ჩემი ბეჭედი!

გაღია

მაშ, თქვი, აარონ, რა გადავცე დედოფალს შენგან?

დემეტრიუსი

აარონ, გვითხარ რა ვიღონოთ, გვირჩიე რამე
 და სწორედ ისე მოვიქცევით, როგორც შენ გვეტყვი,
 გადარჩინე ბავშვი ისე, რომ ჩვენც გადავრჩეთ.

აარონი

მაშინ, დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა გზას დავადგეთ,
 უშიშარ ადვილს გამოვძებნით მე და ჩემი ყრმა.
 თქვენ მანდ დასხედით. ახლა მოდით, ვიმსჯელოთ ერთად.

(ჯღებთან.)

დემეტრიუსი

რამდენმა ქალმა მოჰკრა თვალი ამ ბავშვს, გაღია!

აარონი

აა, ეს მესმის! სანამ ჩვენში თანხმობა სუფევს,
 მე კრავივით ვარ, მაგრამ, თუკი გამომიწვიეთ,
 მე მავრს, აარონს, მძევინვარებით არ შემედრება
 არც შთის ძუ ღომი, არც ველური და შმაგი ტახი.
 აა, გვითხარი ჩემი პირმშო რამდენმა ნახა?

გაღია

ბებიქალმა კორნელიამ და მე მარტოდენ,
 თუკი არ ჩავთვლით თვით დედოფალს, მის მშობელ დედას.

აარონი

მაშ, დედოფალმა, მარტო შენ და ბებიქალმა?
 რადგან ასეა, მოახსენე დედოფალს ჩემგან,
 რომ სამს არა და ორს კი ვანდობ ჩემს საიდუმლოს!

(კლავს მას.)

ჭევი... ჭევი... დასაკლავ ბურვაკივით არ აჭყვიტინდა?!

დემეტრიუსი

ეს რაღას ნიშნავს, რატომ მოკალ, გვითხარ, აარონ!

აარონი

ო, ღმერთო ჩემო, სიფრთხილისთვის მოკვალი მხოლოდ,
 ნუთუ გინდობდათ, რომ გაეცა დანაშაული?!
 ენაჭარტალა დედაკაცი როგორ დამენდო?!

ახლა გაგაცნობთ ჩემს განზრახვას, ყური დამიგდეთ.
 აქ, ახლოს ერთი ჩემებური კაცი ბინადრობს
 და მის ცოლს სწორედ გუშინ ღამით ეყოლა ბავშვი,
 იგი დედას ჰგავს, ჰოდა ისიც თეთრია თქვენებრ.
 ეტყვი, რომ ბავშვი გაგვიცვალონ. ქალს ოქროს მისცემთ
 და დაწვრილებით მოუყვებით მერე ორთავეს,
 რა დიღებული მომავალი მოელის მათ შვილს,
 რომ კეისარი მას უთუოდ მემკვიდრედ ჩასთვლის,
 და ჩვენ კი ამით მოსალოდნელ საფრთხეს ავიცდენთ
 და არ ატყდება რისხვის ქარი სასახლის კარზე.

(მიუთითებს გადაიხე.)

ხედავთ, აწ გასჭრა წამალმა და დამშვიდდა მარად.
 ახლა თქვენ უნდა იზრუნოთ და დამარხოთ სადმე,
 ახლოს მინდორი მეგულება შესაფერისი,
 წაიღეთ გვამი, აბა, მარდად, არ დააყოვნოთ.
 ბებიქალი ახლავ ჩემთან გამოაგზავნეთ,
 ორივეთაგან დაზღვეული ვიქნებით ყველა,
 დედაკაცებმა დე, ამოდ ილაპარაკონ.

ქირონი

აარონ, ეხედავ საიდუმლოს ქარს არ გაანდობ.

დემეტრიუსი

დიდად გვავალე, რომ ამგვარად მზრუნველობ ჩვენზე.

(დემეტრიუსი და ქირონი გადიან და გააქეთ გადიან ცხედარი.)

აარონი

მე მერცხალივით გავფრინდები გუთებთან ახლა
 და ამ ძვირფას განძს, რომელიც მე მიპყრია ხელთა,
 თვით ჩემს დედოფლის მეგობრებთან დავმალავ უმალ.
 მაშ, გვემგზავროთ, სქელტუჩება მემკვიდრევე ჩემო,
 შენ გამო ვეძებ ათასგვარ გზებს, ათასგვარ ხრიკებს.
 დედის რძის ნაცვლად გაჭმევ მარწყვს და მცენარის

ფესვებს,

თხის რძეს შეგასმევ, ისე გაგზრდი, ისე გამოგვწრთნი,
 რომ გახლდე მართლაც ღირსეული მთავარსარდალი.

(გადის ბავშვით ხელში.)

ს უ რ ა ტ ი მ ე ს ა მ ე

სახალხო თავშესაყარი რომში.

შემოდან ტიტუსი, მარკუსი, ყრმა ლუციუსი,
 ჰუბლიუსი, სემპრონიუსი, კაიუსი და სხვა დიდ-
 ბულნი. ტიტუსს მოაქვს ისრები, რომლის წვერზე წამოგე-
 ბულია წერილები.

ტიტუსი

წამოდი, მარკუს, წამომყევი, გზა აქეთ არის.
 აა, მარენე, ჩემო ბიჭო, შვილდს როგორ სტყვორცნი,

თუ გულდადებით დაუმიზნებ, მიზანს მოხვდება
 Terras Astraera reliquit!
 მარკუს, ხომ გახსოვს, გაიქცა და თვალს მიეფარა.
 მაშ, ბატონებო, თქვენს იარაღს დაავლეთ ხელი
 და ბადებოც გადასტყორცნეთ ოკეანეში,
 თუმცა ისევეა იქ სიმართლე, როგორც მიწაზე.
 ჩემო პუბლიუს, შენ გავალებ ახლა ამ საქმეს,
 უნდა გათხარო წერაქვით და ნიჩბით ეს მიწა
 და ისე ღრმად, რომ მის გულს ჩასწვდე და როს

პლუტონის

სამფლობელოში აღმოჩნდებით, გემუდარები,
 მას გადაეცი ჩემი თხოვნა, უმორჩილესი,
 უთხარი, მისგან ველოდები ჭეშმარიტებას,
 დახმარებას ვთხოვ მე, მოხუცი ანდრონიკუსი,
 რომელსაც ასე უსამართლოდ სტანჯავენ რომში.
 თუმცა, რომო, მეც ვარ დამნაშავე, მე მოვუწოდე
 ხალხს უდრტვიწველად აერჩიათ ის, ვინაც ასე
 გაწამებს შენც და მეც ასევე უწყალოდ მჩაგრავს.
 მაშ, ახლა წადით, გულისყურით იყავით ყველა
 და უთვალთვალეთ ყოველ ზომადღს, რომ არ გაგზავნოს
 იმ გაიძვერა კეისარმა ფარულად სადმე,
 თორემ, ვერასდროს ვეღარ ვპოვებთ ქვეყნად სამართალს.

მარკუსი

რა სამძიმოა ეს ამბავი, რომ დღეს ბიძაშენს,
 ვხედავთ ასერიგ უიმედოს, სასოწარკვეთილს!

პუბლიუსი

ამიტომ ჩვენაც ერთიანად დავძაბოთ ძალა,
 დღით და ღამითაც მზრუნველობით მოვეპყროთ ტიტუსს
 და მის ყოველგვარ ახირებას კვერი დავუკრათ,
 ვიდრე განკურნავს დრო თავისი უებარ წამლით.

მარკუსი

მის მწუხარებას წამალი სად მოეძებნება,
 ისევ სჯობია შევეუერთდეთ გუთებს და ბრძოლით
 ავიღოთ რომი, ხელში ვიგდოთ სატურნინუსი
 და ღალატისთვის დაუნდობლად ვიძიოთ შური.

ტიტუსი

პუბლიუს, მითხარ, როგორ მიდის ამჯერად საქმე?
 თქვი, მიაღწიე დედამიწის გულს, თუ ჯერ ვერა?!

პუბლიუსი

ჯერ ვერა, ჩემო მოწყალეო ხელმწიფე, მაგრამ
 თვითონ პლუტონმა მოწინებით შემოგითვალა,
 რომ, თუ დაეძებ შურისგებას ბნელ ჯოჯოხეთში,
 იგი უთუოდ დახმარებას გაგიწევს, მაგრამ,
 თუ სამართალი ვსურს ეძიო, მოგიწევს მოცდა,
 რადგანაც ცაში, ზევსთან არის დაკავებული.

ტიტუსი

დროის გაყვანა ნებავს ალბათ დაპირებებით;
 თუნდაც მომიხდეს აქერონტის ფსკერზე ჩაყვინთვა,
 ჩაფურინდები ქუსლებში და ზეამოვთარე.
 მარკუს, ჩირგენი ვართ, კედრებად კი მოგვექონდა თავი.
 არც კიკლოპნი ვართ, ძვალმსხვილა და ძალით ძლიერნი,
 სამაგიეროდ ზურგები გვაქვს უდრეკ ფოლადის,
 მაგრამ ეს ზურგიც ვეღარ იტანს ამდენ სატანჯველს!
 თუ სამართალი არც აქ არის, არც ჯოჯოხეთში,
 მაშ, ცას მივმართოთ, შევაწუხოთ მაღალი ღმერთნი,
 რომ გამოგზავნონ სამართალი დაბლა მიწაზე.
 მაშ ასე, მარკუს, ჩვენ ამ საქმეს შევუდგეთ ახლა.
 (არიგებს ისრებს.)

Ad Jovem — ეს შენ, Ad Apollinem — ეს კი შენ გერგო,
 Ad Martem² — ეს კი იქნება ჩემთვის,
 ეს შენ, პატარავ, პალადასთვის, ეს მერკურისთვის,
 ეს კი კაიუსს, ესეც სატურნს, არა, აჯობებს
 თვით სატურნინუსს, თორემ მიზანს ავაცდენთ, ვიცი,
 ქარის წინაღმდეგ უქმად სროლა, აბა, რას გვარგებს.
 ისროლეთ, როცა ნიშანს მოგცემთ. ჩემი სიტყვები
 გულს მოუღობებენ მაღალ ღმერთებს უცილობელად.

მარკუსი

სტყორცნეთ ისრები სასახლეში, ამით კეისარს
 შევაშფოთებთ და ქედმაღლობის გრძნობას დავუცხრობთ.

ტიტუსი

აბა, ისროლეთ! ჰა, ლუციუს, სტყორცნე, რას უცდი?!
 (ისვრიან.)

ყოჩად, პატარავ, სწორედ ქალწულს მოხვდა მიზანში.

მარკუსი

ბატონო ჩემო, მე კი მთვარეს ვუმიზნებ ახლა,
 რომ ეს ბარათი ზევსს პირდაპირ ხელში ჩავუგლო.

ტიტუსი

ჰოი, პუბლიუს, ეს რა ჰქენი, შეხედე ერთი,
 რა ოსტატურად მოამტვრიე კუროს ერთი რქა.

მარკუსი

სწორედ ის არის სასაცილო, რომ, როცა სტყორცნა
 თვისი ისარი პუბლიუსმა, მძვინვარე კურომ
 ვერმს ორივე რქა სასახლეში დააყრევინა.
 ვინ იპოვიდა ამ რქებს, თუ არ დედოფლის სატრფო,
 დედოფალმა კი გულიანად იცინა და მავრს
 სთხოვა, საჩუქრად მიერთმია კეისრისათვის.

ტიტუსი

ძალიან კარგი! დე, სწყალობდნენ ღმერთნი კეისარს!
 (შემოდის მ და ბ ი ო და მოაქვს კალთი ორი მტრელით.)
 მარკუს, შეხედე, ჩემთვის მოაქვს ალბათ ბარათი!

აბა, მითხარი, რას მითვლიან მაგლა ზეციდან?
სამართალს ეპოვებ?! თქვი, რას ამბობს იუპიტერი?

მღაბიო

აა, სახრჩობელას მკეთებელი ჩვენი პიტერი? ამბობს, რომ ისევ აშალა სახრჩობელა, რადგან იმ ყმაწვილს მომავალ კვირამდე არ ჩამოახრჩობენო.

ტიტუსი

შენ ის მითხარი, მე რას მითვლის იუპიტერი?!

მღაბიო

ვაგლახ, ჩემო ბატონო, რომ არ ვიცნობ იმ თქვენს იუპიტერს? ჩემს სიცოცხლეში ყლუპიც არ გადამიკრავს მასთან ერთად.

ტიტუსი

თქვი, გაიძვერა, შენ არა ხარ დამტარებელი?

მღაბიო

მხოლოდ მტრელების, ჩემო ბატონო, და... სხვა არაფრის.

ტიტუსი

განა ზეციდან არ ჩამოხველ დედამიწაზე?!

მღაბიო

რაო, ზეციდანო?! ვაგლახ, ჩემო ბატონო, იქ არასოდეს ვოფილვარ, ღმერთებმა ამიკრძალეს. უთუოდ თავხედობად ჩამითვლიდნენ, რომ ასეთი ახალგაზრდა ცას ვწვეოდი. არა, მე ჩემი მტრელებით სახალხო ტრიბუნალში მივდივარ იმ ჩხუბის თაობაზე, რომელიც ბიძაჩემსა და კეისრის ერთ კაცს შორის ატყდა.

მარკუსი

ოჰო, ჩემო ხელმწიფეო, ეს კაცი კარგად გამოგვადგება ჩვენს საქმეში. დაე, მან ეს მტრელები შენი სახელით გადასცეს კეისარს.

ტიტუსი

ერთი მითხარ, შეგიძლია ეს წერილი მოწიწებით მიართვა კეისარს?

მღაბიო

არა, ბატონო ჩემო, ნამდვილად ვერ შევძლებ, რადგან მოწიწებული სიტყვა ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს.

ტიტუსი

წერი დამიგდე, ნუ დამღალე ამდენ ლაქლაქით, შენ ეს მტრელები გადაეცი კეისარს ჩვენგან, სამაგიეროდ არ მოგაკლებ ჩემს შემწეობას და შენს სიმართლეს გაპოვინებ. ჰა, შენ ეს ფული ახლა კალამი მომიტანეთ და ბარათს დავწერ. მაშ, შეგიძლია შემისრულო ეს მცირე თხოვნა?

მღაბიო

შემიძლია, ჩემო ბატონო!

ტიტუსი

აი, ბარათი. როცა კეისართან მიხვალ, უპირველეს ყოვლისა, დაიჩოქე, მერე ფეხები დაუკოცნე, მერე მტრელები მიართვი, მერე კი შენს საზღაურს ელოდე. მე ახლოს ვიქნები. იცოდე, ყველაფერი როგორც ვითხარი, ისე შეასრულე.

მღაბიო

თავს ვღებ, ბატონო, შევასრულებ რაც კი მითხარი.

ტიტუსი

მოიცა ერთ წუთს. დანა თუ გაქვს? აბა, მაჩვენე! აიღე, მარკუს, გაახვიე ეს იმ უსტარში, რომელიც შეთხზა თავმდაბალმა მთხოვნელმა კრძალვით. როცა გადასცემ მას კეისარს, მომძებნე უმაღლესი მისი პასუხი დაწვრილებით უნდა გადმომცე.

მღაბიო

დუ, ზეცა იყოს შენი შემწე! მოგძებნი სადმე.

ტიტუსი

წამოდი, მარკუს! შენც, პუბლიუს, მომყევით ყველა! (გაღიან.)

სურათი მეოთხე

იგივე ადგილი. სასახლის წინ.

შემოდის სატურნიუსი, ტამორა, ქირონი, დემეტრიუსი, დიდებულნი და სხვანი. სატურნიუსს უჭირავს ტიტუსის ნატყორცი ისრები.

სატურნიუსი

პატრიციებო! ეს რასა ჰგავს, ვერ გამოვიდა, რომ ამფოთებენ ასერიგად რომის კეისარს, არად აგდებენ ჩვენს სამართალს, საყოველთაოს, ყველაფერს ზიზღით უყურებენ და დასცინიან? თქვენ იცით ყველამ, ისე როგორც თვით ზეცამ უწყის, თუ მყუდროებას დღეს ვინ არღვევს რომის ქუჩებში. როგორც არ უნდა ჩაბზუოდნენ ხალხს თვის სიმართლეს, ვინ დაიჯერებს, რომ ისინი ავს არ სჩადიან. ანდრონიკუსი კანონმაც კი ვერ შეაჩერა, და მწუხარებამ თუ გონება დაუხშო ბებერს, ნუთუ ჩვენ უნდა ავიტანოთ ეს დამცირება, მისი უგნური მოქმედება და ახირება?! ის ცას უგზავნის მოწოდებას სიმართლისადმი, აი, შეხედეთ ამ ბარათებს, ეს ზევსს, მერკურის, ეს აპოლონს და ეს ომის ღმერთს, და ვიღას არა!

ეს წერილები დაფრინავენ რომის ქუჩებში.
 გარდა ამისა, ის საზარელ ცილს სწამებს სენატს
 და აცამტყერებს ყველას თვალში სიმართლეს ჩვენსას.
 თუკი ვიცოცხლე, ამ თვალთმაქცურ სიგიჟით იგი,
 ვეღარ დაფარავს თავხედობას და სიბოროტეს.
 ყველა მათგანი შეიტყობს, რომ სიმართლე ცოცხლობს,
 ისე როგორც თვით კეისარი — სატურნინუსი.
 ჯერ ვითმენ, მაგრამ ღრო დადგება, შემიპყრობს რისხვა
 და მემბოხეთ უმაღ ავღვი მიწის პირიდან.

ტამორა

ო, საყვარელო სატურნინუს, ჩემო მფარველო,
 ჩემი ფიქრების წარმმართველო, სიცოცხლე ჩემო,
 გთხოვ, დამშვიდდე და შეცოდე შეუნდო ტიტუსს,
 რომელსაც გონი დაუკარგავს შვილებზე დარდით,
 მათმა დაღუპვამ დაუკოლა საბრალო გული
 და ისევ სჯობს, რომ მძიმე ხვედრი შევეუსუბუქოთ,
 ვინემ განვიცხოთ იგი მისი ცოდვების გამო.

(განზე.)

ჭკუით იქცევი, დედოფალო, ბრძენო ტამორა,
 შენ ხომ ამგვარად მტრის გულსაც კი მოინადირებ.
 უკვე მივაგენ შენს მტკივნეულ ადგილს, ო, ტიტუს,
 შენ კი, აარონ, თუკი ბრძნულად წარმართავ საქმეს,
 მაშინ ყველანი გადაურჩებით... და ავწევთ ღუზას.

(შემოდის მდაბიო.)

ჰეი, ყმაწვილო, რას გვიბრძანებ, ჩვენ ხომ არ გვეძებ?!

მდაბიო

ჰო, თუკი თქვენი ბრწყინვალეობა კეისარია!

ტამორა

დედოფალი ვარ, კეისარი აი, იქა ზის.

მდაბიო

ააა, იქა ზის? დაგიფართო წმინდა სტეფანემ,
 აი, ბარათი მოგიტანეთ და წყვილი მტრედი.
 ზეცა გწყალობდეთ.

სატურნინუსი (კითხულობს წერილს.)

წაიყვანეთ და ჩამოახრჩეთ!

მდაბიო

რამდენს გაიღებთ მოწყალებას, ჩემო ხელმწიფევ?

ტამორა

ახლავე წადი და უმაღვე ჩამოგახრჩობენ.

მდაბიო

ჩამომახრჩობენ?! მშვენიერი აღსასრულია. ღვთისმშო-
 ბელს ვფიცავ, კისერი ჩემი ნებით გაეყავი ყულფში.

(მცველებს გაჰყავთ.)

სატურნინუსი

შეურაცხყოფა საზარელი და უღმობელი!
 ვით ავიტანო თავხედობა მე ესოდენი.
 ვიცი, საიდან ქრის ეს ქარი, ვიცი, ვინაც მტრობს,
 ხედავთ, ტიტუსი ცილსა მწამებს თითქოს მის შვილებს,
 კანონის ძალით მკვლელობისთვის რომ დაისაჯუნენ,
 მე უსამართლოდ მოვექეცი და არ დავინდე!
 წადით, ის ფლიდი მოათრეთ უმაღ აქ თმებით,
 მე იმის ასაკს არ დაგიღვეთ, არც მის ჭადარას,
 ამ თავხედური დაცინვისთვის მე დაესჯი ტიტუსს,
 იმ გაიძვერა, უგნურ მოხუცს, რომელმაც ვითომ
 მე განმადიდა და თვითონ კი სურს ბატონობა.

(შემოდის ემილიუსი.)

ახალს რას მეტყვი, ემილიუს, რა ამბავია?

ემილიუსი

პატრიციებო, იარაღი აისხით უმაღ!
 რომს არასოდეს სჭირდებოდა დაცვა ესოდენ,
 კვლავ აღსდგენ გუთნი, ჩვენკენ მოდის ურიცხვი ჯარი,
 ამხედრებულან, აღვსებულნი ძარცვის სურვილით.
 აქეთ ილტვიან. მოუძღვებათ მათ ლუციუსი,
 მოხუც ტიტუსის ვაჟი და თან იქადნება, რომ
 თვის მრისხანებით დაედრება კორიოლანუსს
 და ნაცარტუტად გადააქცევს ამაყ რომს იგი.

სატურნინუსი

მაშ, ლუციუსი მთავარსარდლობს გუთების ლაშქარს?!
 მე ეს ამბავი შიშის ზარს მცემს და მე თავსა ვზრი,
 როგორც ყვავილი ყინვისაგან, ანდა ბალახი,
 რომელსაც მძაფრი ქარიშხალი განართხოვს მიწას-
 არა, ახლა კი გასაჭირი გვიანლოვდება,
 ლუციუსი ხომ მეტად უყვართ მოქალაქეებს!
 ბევრჯერ მდაბიოდ გადაცმული ხალხს შევრევივარ,
 ყური მომიკრავს, ამართლებდა ხალხი ლუციუსს
 და მის განდევნას თვლიდა საზარ უსამართლობად.

ტამორა

რისთვისა შიშობ? ხომ მტკიცეა შენი ქალაქი?!

სატურნინუსი

მოქალაქეებს ლუციუსი ძალიან უყვართ,
 მხარს დაუჭერენ მას და მე კი განმიღებია.

ტამორა

კეისარს ფიქრიც კეისარის სადარი შვენის,
 ვით დააბნელებს შენს მზეს კოლოთ უმწეო ზროვა,
 არწივი ყივის და ჩიტნი კი ნაზად გალობენ,
 როდი ადარდებს მას, თუ რაზე გალობენ ჩიტნი,
 რადგანაც იცის — საქმაოა მისი ფრთის ჩრდილი,
 რომ მათ ტკბილ ჰანებებს ერთი დაკვრით მოეღოს ბოლო
 ჰოდა, შენც ასე დაუმოკლე ენა რომაელთ!

გამხნევი-მეთქი, კეისარო, და დამიჯერე, მაცდური ენით გულს მოვუღობო უგუნურ ტიტუსს, ჩემი სიტყვები მახესავით დაეგებიათ, ისევე როგორც თევზს — ანკესი, ცხვარს კი — სამყურა, ერთი ანკესზე აეგება და სულსა ღაფავს, ხოლო მეორე იღუპება ნუგბარ საკვებით.

ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს ი

მაგრამ, ჩვენ გამო ის ლუციუსს არაფერს არ სთხოვს.

ტ ა მ ო რ ა

თუკი მე ვეჭვები, ყველაფერში დავიყოლიებ, რადგან მე ძალმიძს ყურთასმენა რომ დავუვამო, დაპირებებით მოვისყიდდი და, თუნდ ყრუ იყოს, თუნდ მისი გული ციხე იყოს გაუტეხელი, დავიმორჩილებ მე დათაფლულ ენით მის ნებას.
(ემილიუსს.)

წადი, შენ იყავ, ემილიუს, ჩვენი მსტოვარი, და გადაეცი ამხედრებულ ლუციუსს თხოვნა,

რომ კეისარს სურს მისი ნახვა და მათ შეხვედრას მოხუც ტიტუსის სახლში ნიშნავს დაუყოვნებლივ.

ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს ი

გთხოვ, გულისყურით შეასრულო ეს დავალება და თუ მოითხოვს ლუციუსი მძევლებს, დათანხმდი, უთხარ, რომ თვითვე აირჩიოს თვისი სურვილით.

ე მ ი ლ ი უ ს ი

მე თქვენს ბრძანებას შევასრულებ გულმოადგიანებით.
(ემილიუსი გადის.)

ტ ა მ ო რ ა

ახლა მე წავალ, ანდრონიკუსს მოვუღობო გულს და მთელ ჩემს უბადლო ხელოვნებას გამოვიყენებ, რომ ლუციუსი გუთების ჯარს ჩამოვამორო. გამხიარულდი, კეისარო, ნულარა სწუხარ, ჩემს მოხერხებას მიენდე და განდევნე შიში.

ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს ი

წადი, ტამორა, მოგიმართონ ხელი ღმერთებმა.
(გადაიან.)

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა მ ე ნ უ თ ი

ს უ რ ა თ ი ა ი რ ვ ე ლ ი

ტ რ ი ა ლ ი ა ღ ზ ი ლ ი რ ო მ ი ს მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ .

საყვირის ხმა. შემოდის ლუციუსი, რომელსაც მოსდევს გუთების ჯარი, დაფლავებითა და ბაირალებით.

ლ უ ც ი უ ს ი

ჩემო ერთგულ მოგობრებო, ნაცადნო გუთნო, დიდი რომიდან გვაუწყებენ უკვე რამდენჯერ, რომ მოუთმენლად მოელიან ჩვენს დაბრუნებას, რადგან აღესილან სიძულვილით კეისრის მიმართ. ამიტომ ვიყვით უდრეკნი და შეუპოვარნი, ამის უფლებას ჩვენ გვანიჭებს ჩვენი წოდებაც და, თუ ოდესმე მოგაყენათ რომმა ზიანი, სამბაგად ვუზღაოთ მაგიერი და არ დავინდოთ.

ა ი რ ვ ე ლ ი გ უ თ ი

მაშაცო გმირო, შტოვ იმ დიდი ანდრონიკუსის, რომლის სახელის გავონებაც თავზარსა ვცემდა, ახლა შენა ხარ ჩვენი მომხრე, ჩვენი იმედი. თქვენს კეთილ საქმეს რომმა მხოლოდ ზიზღი არგუნა. მაშ, ჩვენ მოგვენდე, სადაც წახვალ, იქ წამოგყვებით, ვით ბასრი ნესტრით შეჭურვილი ფუტკრების მართვე,

უკან რომ მისდევს დედა ფუტკარს ყვავილთ ველისკენ. წავიდეთ, წყეულ ტამორაზე ვიძიოთ შური.

გ უ თ ე ბ ი

მის ნათქვამს ყველა ვეთანხმებით და ვიძეორებთ.

ლ უ ც ი უ ს ი

მე თავმდაბლურად ვუძღვნი ყველას უდრემეს მაღლობას, ეს ვილა მოდის იმ ახოვან გუთის თანხლებით.
(შემოდის გუთი და შემოჰყავს ა ა რ ო ნ ი, ბავშვით ხელში.)

გ უ თ ი

გმირო ლუციუს, ჯარის ნაწილს ჩამოვრჩი, რათა ძველი მონასტრის ნანგრევებით დამეტკბო თვალი, და როს ვუმხერდი მიტოვებულ შენობას უცებ, კედლის იქიდან შემომესმა ბავშვის ტირილი. გაოცებული გავემართე მე ამ ხმისაკენ და ყური მოვკარ, რომ მტირალ ბავშვს ვილაც ტუქსავდა: „გაყუნდი, მონავ, დედოფლის და ჩემო სისზღზორცო, მაგ შავი ფერით წარმოშობას ვერ დაამტკიცებ. ი, არამზადავ, დედაშენს რომ დამსგავსებოდი, მარტოდენ მაშინ შეიძლებდი კეისრად ყოფნას. ხარიც და ძროხაც რძისებრ თეთრი რომ ყოფილიყვნენ, რალა თქმა უნდა, ნახშირით შავ ხბოს არ შობდნენ.

იყურე-მეთქი, არამზადავ! — ასე ტუქსავდა, —
უნდა მიგგვარო ჩემს ერთგულ გუთს და როს ვაიგებს,
რომ თვით ტამორას ნაშიერი ბრძანდები, მაშინ
დედოფლის ხათრით შევინახავს და აღვზრდის კიდეც“.
ეს რომ ვაივიგე, თავს დავესხი, ვიძრე მახვილი,
იგი დაიბნა, არ ელოდა და ტყვედ ჩავივლე.
აწ თქვენ განსაჯეთ, რა ეკუთვნის, ან ვით მოვექცეთ.

ლ უ ც ი უ ს ი

მამაცო გუთო, თვით სატანა მოვიყვანია,
რომელმაც მოხუც ანდრონიკუსს ხელი მოჰკვეთა,
ეს მარგალიტი თქვენს დედოფალს მზერას უტკობდა,
და ეს ბავშვი კი ნაყოფია ავხორც ვნებათა.
თეთრგუგა მონავ, თქვი რისათვის იბრუნებ ჩემგან
მაგ ეშმაკეულ საზარ სახეს! რაო, დაყრუვდი?!
ვერაფერს ამბობ? რატომ სდუმხარ ასე ჯიუტად?
თოკი მოიტათ, ჩამოაბით აი, ამ ხეზე.
ეს ნაბუშარიც ჩამოახრჩეთ ამ მზაკვრის გვერდზე.

ა ა რ ო ნ ი

ბავშვს ხელს ნუ ახლებთ, მასში მოჩქეფს დედოფლის
სისხლი

ლ უ ც ი უ ს ი

იგი ისე ჰგავს მამამისს, რომ კარგს არ გვიქადის,
ჯერ ბავშვი მოსპეთ, დე, უყუროს მის კრუნჩხვა-გრეხვას,
ამის დანახვა აუღელვებს მშობლიურ გრძნობებს.
მოიტათ კიბე!

(მოაქვთ კიბე და აარონი ძალით აჰყავთ ზედ.)

ა ა რ ო ნ ი

ო, ლუციუს, მე ჩამომახრჩე,
დაინდე ბავშვი, წაუყვანე იგი დედოფალს.
თუკი შენ ამას შემისრულებ, გაგიმხელ ამბებს,
რომელთა ცოდნაც სასარგებლო იქნება შენთვის.
თუ არ შეისმენ ჩემს ვედრებას, სხვა რა ვიღონო,
მაგრამ განგებას ვთხოვ, რომ შური იძიოს თქვენზე.

ლ უ ც ი უ ს ი

აბა, მაუწყე რისი თქმა გსურს და მაგ სათქმელით,
თუ კმაყოფილი დაგიჩრები, დავინდობ შენს ბავშვს.

ა ა რ ო ნ ი

კმაყოფილიო?! უფრო მეტიც, ჩემო ლუციუს,
მე რასაც გეტყვი გულს ავიმღვრევს, სულს აღვიშოთოებს;
მკვლელობისა და შურისგების გეტყვი მე ამბებს,
გაუწყებ საქმეთ, ბნელ ღამით რომ ჩამიდენია,
და მრავალ ისეთს, რაც შეგზარავს საშინელებით.
თუ არ შემფიცებ, რომ სიცოცხლეს აჩუქებ ჩემს შვილს,
ეს ყოველივე ჩემთან ერთად ჩაიმარხება.

ლ უ ც ი უ ს ი

სიტყვას გაძლეე, რომ ხელს არ ვახლებ და აღვზრდი
კიდეც.

ა ა რ ო ნ ი

დაიფიცე, რომ იცოცხლებს და მერე დავიწყებ.

ლ უ ც ი უ ს ი

ვინ დაიფიცო, შენ ხომ არ გწამს ამქვეყნად ღმერთი,
მაშინ როგორღა ერწმუნები, მითხარი, ჩემს ფიცს?

ა ა რ ო ნ ი

მერე რა, თუნდაც არა მწამდეს?! მართლაც არა მწამს,
მაგრამ თავად ხომ ჭეშმარიტი ღვთისმსახური ხარ,
ვიცი, ისიც გაქვს, კაცის სინდისს რომ ეძახიან,
მინახავს, როგორ ასრულებდი გულმოდგინებით
სასულიერო ადათ-წესის ათასგვარ ზრიკებს,
ამიტომ გთხოვ, რომ დაიფიცო; რადგან მე ვიცი,
რომ ჭკუათხელნი გამოთლიან უბრალო ხისგან
თავიანთ ღმერთებს და რასაც იმით აღუთქვამენ,
იცავენ კიდეც. დაიფიცე შენაც ის ღმერთი,
რომელიც შენ გწამს და მსახურებ ერთგული გრძნობით;
დაიფიცე, რომ შეიფარებ ჩემს შვილს და აღზრდი.
თუ არ შემფიცებ, არ გაგიმხელ მაშინ არაფერს.

ლ უ ც ი უ ს ი

ზეტასა ვფიცავ, შევიფარებ პირმშოსა შენსა.

ა ა რ ო ნ ი

უპირველესად, გაუწყებ, რომ მე და დედოფალს
გვეკუთვნის ბავშვი.

ლ უ ც ი უ ს ი

ოჰ, ავხორცი და ბილწი ქალი!

ა ა რ ო ნ ი

ეს იმ ამბებთან შედარებით, რასაც მოისმენ,
კეთილშობილი საქმე არის, ჩემო ლუციუს.
ბასიანუსის სისხლი მართებთ დედოფლის ვაჟებს
შენი დაც მათვე შებღალეს და მოჰკვეთეს ხელნი,
შენც ხომ იხილე, თუ რაგვარად შეალამაზეს.

ლ უ ც ი უ ს ი

ო, არამზადავ, რას უწოდებ შელამაზებას!

ა ა რ ო ნ ი

ვითომდა რაო, ხომ განბანეს, ვაკრიჭეს, მორთეს,
გაისარჯნენ და ხუმრობაში ჟინიც მოიკლეს!

ლ უ ც ი უ ს ი

ბარბაროსები, შენი მსგავსი არამზადები!

ა ა რ ო ნ ი

ხომ ხედავ, მეტად ღირსეული შეგირდნი მყვანან,
ავხორცობა კი დედამისის მუცლიდან დაჰყვათ.
ეს ისევეა ჭეშმარიტი, ვით ის ამბავი,
რომ ბანქოს ფულზე თამაშობენ; სისხლისმსმელობაც

ისწავლეს ჩემგან და ესეც ხომ ჭეშმარიტია,
რომ ძალი სწორედ ყელში სწვდება თავის
სამსხვერპლოს.

მე ჩავიტყუე შენი ძმები იმ ბნელ ორმოში,
სად უსიცოცხლო გვამი ეგდო ბასიანუსის,
და ის ბარათიც მე დაეწერე, მოხუც ტიტუსმა
რომ იპოვა და ოქროც ხის ქვეშ მევე ჩაფული,
მე ვმოქმედებდი ჩვენს დედოფლის თანხმობით მხოლოდ,
უჩემოდ ერთი ავი საქმეც არ ჩადენილა,
რომ ჩემს სიკვდილის შემდეგ დაგრჩეს სანანებელი.
მე მოტყუებით თვით მოვკვებე ხელი მამამენს.
როგორც კი ვიგდე ხელთ ის ხელი, თვალს მოვეფარე
და სიცილისგან ყველა ძარღვი დამაწყდა ღამის.
კედლის ღრეჭოდან ვუყურებდი ტიტუსს მალულად,
როს იმ ერთ ხელში ორი თავი მიიღო ჯიღდოდ;
როცა ატირდა — ამან ისე გამახალისა,
რომ ხარხარისგან მომერია თვალებზე ცრემლი;
როცა ვუამბე ჩემს დედოფალს, თუ ვით გავერთე,
საამო ამბით გულდამტკბარმა, აღტაცებულმა,
მადლობის ნიშნად ოცი კოცნა მიძღვნა საჩუქრად.

გუთი
რა უდრტვინველად ლაპარაკობ და არც წითლდები?!

აართნი
ასე ამბობენ: შავი ძალი არ გაწითლდება.

ლუციუსი
ნუთუ არ ნანობ ამ საზარელ საქმეთ ჩადენას?

აართნი
მწუხვარ, რომ ათჯერ უფრო მეტი არ შემეცოდავს,
აღარც კი მახსოვს, თუ მქონია დღე უცოდველი;
თუკი მქონია წყევლა-კრულვას ვუთვლი მე იმ დღეს,
როცა ისეთი სიავე არ ჩამიდენია,
როგორიცაა მკვლელობა, ან მოკვლის განზრახვა,
ვინმე ქალწულის შეცდენა ან სხვის წაქეზება,
ცოდისწამება, ცამდე მართალ კაცის გაკიცხვა,
ორი მეგობრის სასიკვდილოდ გადაკიდება;
გადამიჩეხავს კლდეზე დატაკ ვლენის ნახირი,
სავსე ბედელი გადამიწვავს უკუნ ღამეში,
რომელსაც მერე პატრონები ცრემლით აქრობდნენ;
ამომითხრია საფლავიდან მიცვალებული
და მის მეგობრის კართან ჩუმიდ მიმიტანია,
როდესაც უკვე გაუვლია მის გულში სევდას
და გვამის კანზე, ვით ხის ქერქზე, ამომიკვეთავს
მე რომაული ასოებით ესე სიტყვები:
"თუმცა მე გავქრი, ნუ გაქრება წუხილი შენი".
კიდევ ვინ მოთვლის ათასობით იმ საზარ საქმეთ,
რომელიც მე ვქმენ ისე თითქოს ბუზი მომეკლას.
არც არაფერი არ მაწუხებს ნამდვილად ისე,
გოდრე ის, რომ კვლავ ველარ შევძლებ ავის ჩადენას.

ლუციუსი
მოხსენით ყულფი მაგ სატანას, არ ჩამოახრჩოთ,
ასეთ მზაკვრისთვის ეს სასჯელი მეტად მცირეა.

აართნი
ნეტავ ეშმაკნი არსებობდნენ სინამდვილეში,
და მეც ერთ-ერთი იმათგანი ვიყო, რომ მარად
ვიცოცხლო, რათა ჯოჯოხეთის ცეცხლში გაწამოთ
და მოვიშხამოთ სული ჩემი გესლიან ენით!

ლუციუსი
ისე დაუნშეთ პირი, რომ მან კრინტიც ვერ დაძრას.

(შემოდის გუთი.)

ჩემო ბატონო, მსტოვარია დიდი რომიდან
და გთხოვთ, მიიღოთ.

ლუციუსი
უთხარით, რომ მეახლოს უმალ.
(შემოდის ემილიუსი.)

სალამი, ჩემო ემილიუს, რა ამბავს მეტყვი.

ემილიუსი
მოგესალმებით, ლუციუს, და თქვენაც, გუთებო,
ჩემი სახელით გესალმებათ თვით კეისარი.
მან შეიტყო, რომ ემზადებით მასთან საომრად,
ამიტომ გთხოვთ, რომ შეხედეთ მოხუც ტიტუსის სახლში,
რადგან სურს თქვენთან გამონახოს საერთო ენა.
თუ მძევლებს ითხოვთ, კეისარი თანახმა არის,
გამოგიგზავნით, როცა ამას საჭიროდ ჩათვლით.

გუთები
ჩვენ ველოდებით შენს ბრძნულ სიტყვას, ჩვენო მთავარო.

ლუციუსი
დღე, ასე იყოს, ემილიუს, მათი მძევლები;
გთხოვთ, რომ გადასცეთ მამაჩემს და ბიძაჩემს მარკუსს.
ჩვენც მალე მოვალთ. მეგობრებო, მამ, გავემართოთ!
(საყვირის ხმა. ყველანი გადიან.)

სურათი მემორი

რომი. ტიტუსის სახლის წინ.

შემოდინ გადაცმული ტამორა, ქირონი და დემეტრიუსი.

ტამორა
ამ უჩვეულო სამოსელით, ძაძებიანი,
გმირ ანდრონიკუსს წარუდგები და ვეტყვი, რომ ვარ
შურისძიება, ქვეშეთიდან წარმოგზავნილი,
რათა მოუვლო ბოლო მის მტრებს დაუნდობელად.

ლაუკაკუნეთ, ჩაკეტილა თავის ოთახში და გეგმებს აწყობს შემზარავი შურისგებისთვის. უთხარით, რომ მე ჯოჯოხეთის ვარ მოციქული და მოველ, რათა დავეხმარო მტრის დამხობაში.

(აკაკუნებს და ტიტუსი შემოდის ზემოთ.)

ტიტუსი

ვინ ცდილობს ჩემთა ფიქრთა დენა რომ შეაჩეროს, ვინ მაიძულებს ეშმაკობით კარის გაღებას, რათა გაფანტოს მწუნარებით აღესილი აზრი და მთელი ჩემი ჩანაფიქრი ამაოდ გაქრეს?! თუ ეს გასურთ, მაშინ უდიდესად ტყუედებით, რადგან მე სისხლიანი სტრიქონებით დავეწერე, რაც მსურს და, რაც დავეწერე, აღსრულდება უდავოდ კიდევ.

ტამორა

ტიტუს, მოესულვარ, საუბარი მწაღია შენთან.

ტიტუსი

კრინტი არ დაძრა, აღარ ძალმიძს მათი მოსმენა, რადგან დაეხარჯე ყველა სიტყვა, რაც კი გამაჩნდა და გავღატაკდი, რომ პასუხად რაიმე ვითხრა.

ტამორა

მათქმევიანებდი ყოველივეს, თუ შემიცნობდი!

ტიტუსი

როდი შევშლილვარ, მე მშვენივრად ვიცი, ვინცა ხარ. მე რომ ვიცანი, ამას მოწმობს მოჭრილი ხელი, ეს მწუნარების ნაოჭები დაღლილ სახეზე, უბედურებით აღსავსე დღე, უძილო ღამე, და მთელი ჩემი მძიმე სევდა უდავოდ მოწმობს, რომ ხარ ტამორა, დედოფალი მძლე და ამაყი. რისთვის მოხვედი, ხომ არ გნებაგს მეორე ხელიც?

ტამორა

მწუნარე ტიტუს მსურს, იცოდე, არ ვარ ტამორა, იგი მტერია, მე კი შენი ვარ მეგობარი, მე ჯოჯოხეთის სამეფოდან მოესულვარ შენთან, რომ მაგ გონების მძიმეგუნელ ფასკუნჯს ბოლო მოვუღო და შენთან ერთად ბოროტ მტერზე ვიძიო შური. მაშ, ჩამოდი და მომესალმე ამ ქვეყნის შუქზე, აქ ვისაუბროთ მკვლელობაზე და შავ სიკვდილზე, იქნებ არსებობს სადმე ბნელი გამოქვაბული, ან იდუმალი, ნისლიანი, უსაზღვრო ველი, სადაც მკვლელობა ან საზარი ძალმომრეობა შეიძლება რომ ჩაუსაფრდეს ვინმე სამსხვერპლოს; მე მათ მოვებნნი, ჩაეწურაწულებ ჩემს საზარ სახელს — შურისძიებას და შიშისგან ავაცანცახებ.

ტიტუსი

მაშ, შენ სახელად გეძახიან შურისძიებას და მოხველ, რათა ჩემს ბოროტ მტრებს თავზარი დასცე?

ტამორა

სწორედ ასეა და ამიტომ ჩამოდი ჩემთან.

ტიტუსი

მაშ, გამიწიე სამსახური, მე მოვალ შენთან. ძალმომრეობა და მკვლელობა შენ გვერდით დგანან და თუ ვინდა, რომ დამიმტკიცო შენი სიპართლე, მოსპე ისინი და გასრისე მაგ შენი ეტლით. მერე მოვალ და დაგიდგები თუნდაც მეეტლედ და გავკანდები მანათობელ ვარსკვლავთა შორის. მხოლოდ იშოვე ორი მარდი, კუპრით ცხენი, რომ მათ მიაგნონ ავაზაკებს ბნელ ბუნაგებში და, როცა ეტლი აივსება მათი თავებით, დავიქვიითებ, გამოვყვები მახლობლად შენს ეტლს. ვით შენი მონა, მუდამ ასე ვირბენ, ვიდრემდე ჰიპერიონი არ ამოვა აღმოსავლეთით და შეღამებით ღურჯ ზღვაში არ ჩაესვენება. მე შევასრულებ ამ სამნელო მოვალეობას, ოღონდ დამხე მკვლელობა და ძალმომრეობა.

ტამორა

არა, ესენი დამხმარენი არიან ჩემი.

ტიტუსი

დამხმარენიო? სხვა სახელი არ გააჩნიათ?

ტამორა

ძალმომრეობა და მკვლელობა ჰქვიათ სახელად, რადგან ისინი სჯიან იმათ, ვინც ამას სჩადის.

ტიტუსი

ო, ღმერთო ჩემო, როგორ გვანან დედოფლის ვაყებს, შენ კი დედოფალს! თუმც მიწიერთ სულ სხვა გვაქვს თვალი,

და ჩვენი მზერა სუსტია და მცდარია ზოგჯერ. ო, ჩემო ტკბილო შურისგებავ, ჩამოვალ შენთან, წელს შემოგაწვდენ ჩემს ცალ ხელს და შემოგეხვევი, თუ დამჯერდები ერთი მკლავის მოხვევას მხოლოდ.

(ტიტუსი გადის ზემოდან.)

ტამორა

ჩემი სიტყვები მოქმედებენ მის შესლილ გონზე. მხარი ამიბით, ზოგჯერ სიტყვაც შემომამშველეთ, როცა ვეცდები მისი აზრის დამორჩილებას. მას მტკიცედ სჯერა, რომ მართლაც ვარ შურისძიება და შთაუწერავ აზრს, რომ შევილი შინ გამოიხმოს. დავიყოლიებ უსათუოდ მე მოხუც ტიტუსს, ვიდრე ნადიმზე დავაკავებთ ლუციუსს მანამ, ვიხმარ რაიმე ეშმაკურ ხერხს, რომ გუთთა ჯარში განხეთქილება შევიტანო და მთლად დავშალო, ანდა ვეცდები გადავიკიდო მტრად თვით ლუციუსს. მაგრამ, ჩუ, მოდის ტიტუსი და კვლავ ვიწყებ თამაშს.

(შემოდის ტიტუსი.)

ტიტუსი

კარგა ხანია მართო ვცხოვრობ შენი მიზეზით. ავო ფურიავე, სალამს გიძღვნი ჩემს მწუხარ სახლში, ძალმომრეობავე და მკვლელობავე, თქვენც გესალმებით! ო, როგორ ჰკავებართ ჩემს დედოფალს და ორ ვაჟს მისას! თქვენს თავყრილობას მხოლოდ მავრი აკლია ახლა. ნუთუ ქვეშეთში მისი მსგავსი სატანა არ გყავთ?! ვიცო, არ დადის დედოფალი არსად, თუ გვერდზე არ ახლავს მავრი აართონი, მისი ერთგული და, რომ დედოფალს დაემსგავსო მთლიანად, მაშინ კარგი იქნება, რომ გყოლოდათ მსგავსი სატანა. მაგრამ რას იზამ, გესალმებით ისე, როგორც ხართ.

ტამორა

ვეითხარ, მოხუცო ანდრონიკუს, რას ითხოვ ჩვენგან?

დემეტრიუსი

მაჩვენე მკვლედი და მაშინვე გავუსწორდები.

ქირონი

შენ მე მიჩვენე არამზადა და მოძალადე და მე სასტიკად შურს ვიძიებ შენი სახელით.

ტამორა

თუნდაც ათასი კაცი მითხარ, ვინც შეურაცხვეო, და ყველა მათგანს მე მივუზღავ სამაგიეროს.

ტიტუსი

მიმოიხედე ირგვლივ რომის წყვეულ ქუჩებში და, როს იპოვი ადამიანს, შენ რომ გგავს, მკვლელი; ფიხოვ, არ დაინდო და განგმირო, ის არის მკვლელი. შენც თან გაჰყევი, შენი ჯურიც დადგება მალე, ვიცო, იპოვი მას, რომელიც შენი მსგავსია; იგი იქნება მოძალადე და მოჰკალ უმაღ. არც შენ ჩამორჩე შურისგებავე, სამეფო კარზე ნახავ დედოფალს, თან რომ ახლავს სახარი მავრი; უმაღვე იცნობ, რადგან იგი გგავს აღნაგობით, სწორედ რომ შენი ზატებაა თავით ფეხამდე, გემუდარები, არ დაინდო, ორივე მოჰკალ, რადგან ისინიც უღმობელნი იყვნენ ჩემ მიმართ.

ტამორა

ახლა ყოველი ნათელია, კეთილო ტიტუს, ჩვენც სწორედ ასე მოვიქცევით, შენ კი მანამდე გაგზავნე ვინმე ლუციუსთან, შენს მამაც შვილთან, რომელიც სარდლობს ამხედრებულ გუთების ლაშქარს. სთხოვე, მოვიდეს დიდ ნადიმზე შენს სასახლეში, მე კი მოვიყვან საზეიმო წვეულებაზე დედოფალსაც და მის ორივე ნაშვირს ერთად, იმპერატორსაც დაუპატიჟებ და ყველა შენს მტერს დაუაროქებ და ვათხოვინებ შენგან შენდობას. მაშინ იყარე გულის ჯავრი მათზე ერთიან. რას იტყვი, ჩემო ანდრონიკუს, მოგწონს ეს აზრი?

ტიტუსი

მარკუს, სადა ხარ? მე გეძახი, შენი ტიტუსი, (შემოდის მარკუსი.)

წადი, კეთილო, შენს ძმისწულთან, ჩემს ლუციუსთან, იგი გუთების ჯარს მოუძღვის და როს იხილავ, სთხოვე, მოვიდეს ჩემთან სახლში და რამდენიმე მამაცი გუთი მოიყოლოს მისი ჯარიდან, დანარჩენნი კი იქ დატოვოს, სადაცა ღვანან. ისიც უთხარი, კეისარი და დედოფალი ინადიმებენ ჩვენთან ერთად ჩემს სასახლეში. ვთხოვ, შემისრულო ჩემი თხოვნა და ლუციუსმაც პატივი დასდოს მოხუცებულ მამის სიცოცხლეს.

მარკუსი

შენს დავალებას შევასრულებ და დავბრუნდები. (გადის.)

ტამორა

მაშინ მეც წავალ, შევუდგები ჩემს საქმეს ახლავ, ქვეშევრდომებსაც თან წაიყვან თქვენი ნებართვით.

ტიტუსი

არა, აქ დარჩენ მკვლელობა და ძალმომრეობა, თუ არ დატოვებ, გამოვიწვევ ჩემს ძმას უკანვე და შურისგებას ვანდობ მხოლოდ ჩემს შვილს, ლუციუსს.

ტამორა (ჩუმაღ თავის შვილებს).

აბა, რას იტყვით? აქ დარჩებით, ვიდრემდე მოვალ? წავალ და ყოველს მოვანხებებ რომის კეისარს, თუ ვით მოვაწვევ სასაცილო ეს შეთქმულება. დაემორჩილეთ მის სურვილებს, ელოლიავეო, ტკბილი სიტყვებით ესაუბრეთ და შეიქციეთ.

ტიტუსი (განზე)

თუმც გიჟად მთვლიან კარგად ვიცი, ვინც ბრძანდებიან, თვითვე გავაბამ მათ დაგებულ ცბიერ მახეში ამ ორ ძაღლის ლეკვს და მათ წყვეულ ავ დედაძაღლსაც.

დემეტრიუსი (ტამორას, განზე)

მშვიდად იყავი, დედოფალო, შენს გზას გაუდექ!

ტამორა

მშვიდობით, ჩემო ანდრონიკუს, მივდივარ, რათა დავეუგო მახე შენს მტრებსა და აქ მოვიტყუო.

ტიტუსი

ო, ვიცი, ტკბილო შურისგებავე, მშვიდობით იყავ. (ტამორა გადის.)

ქირონი

ვეითხარ, მოხუცო, რა ვაკეთოთ, რითი გაამოთ?!

ტიტუსი

ჩუ! თქვენთვის მართლაც საკმარისად არის აქ საქმე. პუბლიუს, მოდი, ვალენტინ და კაიუს, თქვენაც!

(შემოდინ პუბლიუსი და სხვანი.)

პუბლიუსი

რა გნებავს, ტიტუს?

ტიტუსი

თქვი, პუბლიუს, ამ ორს თუ იცნობ?

პუბლიუსი

დემეტრიუსი და ქირონი, დედოფლის ვაჟნი?

ტიტუსი

არა, პუბლიუს, არა-მეთქი, შენ ძლიერ სცდები, მათ ეწოდებათ მკვლელობა და ძალმომრეობა. მაგრად გათოკე ორივენი, ჩემო პუბლიუს. მაშ, მიეშველეთ, კაიუს და ვალენტინ თქვენაც. ბევრჯერ გსმენიათ ჩემგან, რომ მე მქონდა სურვილი ხელში ჩამეგდო ეს მტარვალნი და დრო ვიხელთე. პირში ჩასჩარეთ რამე, თუკი ყვირილი მორთონ.

(ტიტუსი გადის. პუბლიუსი და სხვები იპყრობენ ქირონსა და დემეტრიუსს.)

ქირონი

ჩვენ ხომ დედოფლის ვაჟები ვართ, შესდექით-მეთქი!

პუბლიუსი

სწორედ ამიტომ შეგიპყარით. დაუსშეთ პირი. არ ათქმევინოთ ავაზაკებს არც ერთი სიტყვა. მაგრად შებოჭეთ, რომ ვერ შეძლონ თავის დაღწევა.

(შემოდინ ტიტუს ანდრონიკუსი დანით, და ლავიონია თასით.)

ტიტუსი

მოდი აქ, ჩემო ლავინია, შეხედე შენს მტრებს, ამოუქოლეთ პირი, რათა ვერ დაძრან ენა, მხოლოდ უსმინონ ჩემგან ნათქვამ საშინელ სიტყვებს. არამზადებო, დემეტრიუს და შენაც, ქირონი! თქვენ აამღვრიეთ ეს ანკარა და წმინდა წყარო, თქვენ შეუცვალეთ გაზაფხული უდროო ზამთრით, თქვენ მოუკალათ მეუღლე და თქვენი წყალობით თავი მოკვეთეს მის ორ ტკბილ მმას—ზეცამდე მართალს; მეც ხომ მომკვეთეთ ხელი და თქვენ გაერთეთ ამით, ამას კი ენა ამოგლიჯეთ, ხელნი მოჰკვეთეთ; თქვენვე წაართვით, მოძალადე მოლაღატონი, ხელზეც, ენაზეც უფრო წმინდა უმანკოებაც. ნება რომ მოგცეთ ლაპარაკის, რა გეთქმით ნეტავ, ბოროტმოქმედნი, გაბედავლით შენდობის თხოვნას?!

ახლა კი, მხდლნო, აი, როგორ ამოგხდით მაგ სულს, ამ შერჩენილი ერთი ხელით ყელს გამოგლადრავთ, ლავინია კი უმტევნებო მკლავებით ამ თასს ისე დაიჭერს, რომ აივსოს მაგ ვერავ სისხლით; თქვენ კარგად უწყით, დედათქვენი მტკნარ გიჟად რომ მთვლის,

თავს შურისგებად მაჩვენებს და ნადიმზეც მოვა, ამიტომ თქვენს ძვლებს წმინდად დავფქვავ და ფქვილად ვაქცევ, მერე თქვენს სისხლში ისე მოვხეღ, როგორც პურის ცომს;

მას სარკოფაგის ფორმას მივცემ და გამოვაცხობ, თქვენს ბოროტ თავებს მოსართავად მოვუწყობ გვერდით, ამ კერძს ნადიმზე წინ დავუდგამ თქვენს მეძავ დედას, რომ მიწის მსგავსად, ისევე შთანთქას, რაც თვითვე შობა; აი, ნადიმი საკადრისი თქვენი დედოფლის, გულით მივართმევ გასაძლომად დედათქვენს ამ კერძს. ფილომელაზეც უფრო მეტად მიწამეთ შვილი, მეც შურს ვიძიებ უფრო სასტიკს, ვიდრე თვით პროკნემ. მაშ, მოამზადეთ საზარელი თქვენი კისრები, ჰა, ლავინიავ, მათი სისხლი მიიღე! მე კი, როს მოკვდებიან, წავალ და ძვლებს ფქვილივით დავფქვავ, საზარელ სისხლში მოვხეღ ცომს და მათ ბილწ თავებს კი შიგ გამოვაცხობ. მაშ, მომეყვით და მომეშველეთ, რომ მოვამზადო სისხლიანი, საზარი კერძი, რომ ეს ნადიმი კენტივარების ღრეობას ჰგავდეს.

(გამოსჭრის ყელს დემეტრიუსს და ქირონს.)

წამოათრიეთ, მე ვიქნები დღეს მზარეული და მოვეუმზადებ ნუგბარ საჭმელს მათ ავზორც დედას.

(გადიან და გააქვთ გვაგები.)

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

იგივე ადგილი. ტიტუსის სახლი. გაშლილი მაგიდები.

შემოდინ ლუციუსი, მარკუსი და გუთები დატყვევებულ აარონთან ერთად.

ლუციუსი

თუ განუზრახავს, ბიძაჩემო, ჩემს მოხუც მამას, რომ მე ვეახლო, დაებრუნდები უმაღლე რომში.

გუთები

ჩვენც შენთანა ვართ, რაც არ უნდა მოხდეს, ლუციუს!

ლუციუსი

კეთილო ბიძავ, წაიყვანე ეს ბილწი მავრი, ველური ვეფხვი, ბარბაროსი, ეშმაკის კერძი. ფრთხილად იყავი, არ გაგექცეს, მაგრად გათოკე! ვიდრე პირზე არ წავუყვინებთ დედოფალს, რათა მზის სინათლეზე გამოვფინოთ მისი საქმენი.

ჩასაფრებული გყავდეს ჩვენი ერთგული კაცნი, ვშიშობ, კეისარს კარგი ზრახვა არ ამოძრავებს.

აარონი

თვითონ ეშმაკი ჩამჩურჩულებს გესლიან წყევლას და მკარანახობს, რომ ჩემმა ენამ ვადმოანთხიოს ის შხამიანი ბოღმა, გულს რომ ჩამბუღებია!

ლუციუსი

შორს, გულბოროტო, ბილწო მონავ, პირშავო ძაღლო! უშველეთ მარკუსს, წაიყვანოს იგი ახლავე.

(გუთებს გაჰყავთ აარონი. ისმის საყვირის ხმა.)

საყვირნი ხმობენ, კეისარი გვეახლა ალბათ!

(შემოდანს სატურნინუსი და ტამორა, ემილიუსი, ტრიბუნები, სენატორები და სხვანი.)

სატურნინუსი

ვანა ცის თაღზე მხოლოდ ერთი მზე არა მზეობს?!

ლუციუსი

თქვი, რა აზრი აქვს, შენს თავს შენვე მზეს რომ უწოდებ.

მარკუსი

რისთვის კამათობთ, კეისარო, და შენც, ამისწულო?! მშვიდად განვსაჯოთ, თუ რად მოხდა განხეთქილება.

ტიტუსმა უკვე მოამზადა დიდი ნადიმი და გიწვევთ, რათა ყოველივე კარგად დამთავრდეს. ის ამას სჩადის მშვიდობისთვის, სიყვარულისთვის, რათა დაზავდეთ დიდი რომის საკეთილდღეოდ. მაშ, დაიკავეთ ადგილები; გთხოვთ, კეისარო.

(ისმის ჰობოის ხმა. შემოდის ტიტუსი, მზარეულივით გამოწყობილი, და დგამს ხორციან საჭმელს მაგიდაზე. შემოდის ლაინია, რომელსაც სახეზე პირბაღე აქვს ჩამოფარებული, აგრეთვე ყრმა ლუციუსი და სხვანი.)

ტიტუსი

მოგესალმები, კეისარო, შენც დედოფალო, თქვენაც, გუთებო, გესალმები, შვილო ლუციუს. სალამი ყველას! იქნებ სუფრა არ იყოს უხვი, მაგრამ ვეცდები, რომ საკმაოდ დანაყრდეთ ყველა.

სატურნინუსი

რატომ ხარ ასე უცნაურად ჩაცმული, ტიტუს?

ტიტუსი

ჩემივე ხელით მოვამზადე ყოველი კერძი, რადგანაც მსურდა საკადრისად რომ დაგხვედროდით.

ტამორა

ძაღლობენი ვართ შენი, ჩემო კეთილო ტიტუს.

ტიტუსი

ო, რომ იცოდეთ, თუ რა ხდება ჩემს გულში, მაშინ მართლაც რომ დიდად მაღლობენი დამირჩებოდით. გთხოვ, მიპასუხო, კეისარო, ჩემს შეკითხვაზე: სამართლიანად მივაჩნია ვირგინიუსმა, როდესაც მოკლა შებღალული თვისი ასული?!

სატურნინუსი

სწორად მოიქცა, ანდრონიკუს.

ტიტუსი

მაშ, მითხარ, რატომ?!

სატურნინუსი

რადგან ასული თავის სირცხვილს ვერ ვადიტანდა, თან მოხუც მამას მწუხარებას გაულრმავებდა.

ტიტუსი

დასაბუთება ძლიერია და ჭეშმარიტი, და გზას მიჩვენებს თვალნათლივ, თუ როგორ მოიქცეს ჩემებრ აღსავსე მწუხარებით და უბედური. მაშ, მოკვდი, მოკვდი ლავინიავ და შენს სირცხვილთან ერთად მოკვდება მამაშენის ღრმა მწუხარებაც.

(კლავს ლავინიას.)

სატურნინუსი

ეს რა ჰქმენ, ტიტუს, გულის ნაცვლად ქვა გიდევს მკერდში?!

ტიტუსი

მოვკალ ის, ვისზეც ცრემლთა დენამ დამივსო თვალნი. ვირგინიუსის მსგავსად მეც ვარ წუხილით სავსე და უფრო მეტი მიზეზიც მაქვს, რომ ჩამეძინა ეს საზარელი მკვლელობა და ჰა, მოვკალ კიდევ.

სატურნინუსი

როგორ, ნუთუ ის შეურაცხვეს! ვირწმუნო განა?!

ტიტუსი

რისთვის შეჩერდით, დედოფალო, განაგრძეთ ჭამა.

ტამორა

ვით გაიმეტე მოსაკლავად ასული შენი?!

ტიტუსი

მე არ მომიკლავს. ქირონმა და დემეტრიუსმა მოკლეს, აწამეს, შეურაცხვევს, მოჰკვეთეს ენა, და მათ, სწორედ მათ მიაყენეს ათასი ვნება.

სატურნინუსი

როგორ გაბედეს! აქ მომგვარეთ ახლავ ორთავე!

ტიტუსი

აი ისინიც, აი კერძი მათი ხორცისა, სწორედ ახლანანს მიირთმევედა იმათი დედა

და კარგად გაძღა იმავ ხორციით, თვით რომ შვა ქვეყნად,
და ყოველივეს ვადასტურებ ამ დანის წვერით!

(კლავს ტამორას.)

ს ა ტ უ რ ნ ი ნ უ ს ი

წყვეულ საქმისთვის უნდა მოკვდეს ბოროტმოქმედი!

(კლავს ტიტუსს.)

ლ უ ც ი უ ს ი

როგორ ვუყურო, ვით გაუბეს მამაჩემს მკერდი!
არა. არ ძალმიძს მე ატანა ამაზე მეტის!

(კლავს სატურნიუსს. ყველა აღელვებულია, ლ უ ც ი უ ს ი,
მ ა რ კ უ ს ი და სხვები აღიან ზევით, ტიტუსის
სახლში.)

მ ა რ კ უ ს ი

რა მწუხარებამ აგიტანათ, მკვიდრნო რომისა,
რას გაფანტულხართ, ვით ჩიტების დამფრთხალი გუნდი,
ძლიერი ქარის ბობოქრობით შეშფოთებული.
ნება მომეცით გასწავლოთ, თუ როგორ შეგვირბოთ
ისევე ერთ კონად თავთავეები მიმოფანტული,
ან როგორ შეგვკრათ ნაწილები ერთ მთელ სხეულად,
რათა არ იქცეს თვის საკუთარ ჯალათად რომი,
რომლის წინაშეც ქედს იხრიდნენ სახელმწიფოსი
და, მსგავსად მარად განკიცხული განდევნილისა
აწ სამარცხვინო სახელი არ დაიმსახუროს.
თუ ეს თოვლივით თეთრი თმა და ეს ნაოჭები
არ ღაღადებენ ჩემს სიბრძნეს და გამოცდილებას,
და თუ არა ვარ ღირსი, რომ მე დამიგდონ ყური...

(ლუციუსს.)

მაშინ შენ მაინც მოუყვი, ჩემო ლუციუს,
დიდონას ჩვენი წინაპარი ვით უამბობდა,
ამბავს იმ საზარ ალმოღებულ, ბნელი დამისა,
როცა ხელთ იგდეს გაიძვერა ბერძნებმა ტროა,
თქვი, თუ ვინ იყო ის სინონი², რომელმაც სძენა
მოგვიჯადოვა და იხმარა ის იარაღი,
რომლითაც რომი, ჩვენი ტროა, დაჭრა სასტიკად.
არა, ეს გული არც რკინაა და არც ქვიტკირი,
ვერ გამოვხატავ ჩემს სევდას და ღრმა მწუხარებას
ისე, რომ ცრემლმა არ ჩამიხშოს მკვერმეტყველება,
რომ არ შეწყვიტოს ჩემი თხრობა სწორედ იქ, სადაც
უფრო უმეტეს საჭიროა ძლიერი სიტყვა,
თქვენი კეთილი თანაგრძნობა და ყურადღება.
დე, ლუციუსმა გაგიმარტო აწ ყოველივე.
მწამს, მის სიტყვებზე ყველას გული აგიტირდება.

ლ უ ც ი უ ს ი

მაშ, მომისმინეთ, მეგობრებო, უპირველესად,
მინდა გაუწყოთ, რომ დედოფლის ვაჟებმა მოკლეს
ჩვენი კეისრის ძმა — კეთილი ბასიანუსი,

მათვე შებღალეს ლავინია, ჩემი სათნო და,
მათ გამო ჩემს ძმებს, ცამდე მართლებს, მოჰკვეთეს თავი,
არად ჩაადგეს მამაჩემის ცხარე ცრემლები
და თან მზაკერულად მოტყუებით მოჰკვეთეს ხელი,
ხელი, რომლითაც არაერთხელ დაამხო მტერი.
ბოლოს, მეც ასე უსამართლოდ განმდევნეს შორით,
რომის კარიბჭე ჩამიკეტეს და, განწირულმა,
ისევე მტრებს შორის მოვითხოვე თავშესაფარი.
მათ თვისი მტრობა ჩემს მღუღარე ცრემლში ჩაახშეს,
გამიღეს კარი და დამიხვდნენ მეგობრულ გრძნობით.
მაგრამ თქვენ იცით, თუმცა დღემდე დევნილი ვიყავი,
მაინც ვიცავდი ჩემი სისხლით მიწა-წყალს ჩემსას.
ბევრჯერ მე მის მკერდს ავაცილე მახვილი, რათა
ჩემს მღელვარე გულს მოხვედროდა დაუზოგავად.
ვაგლახ, თქვენ უწყით, არ მჩვევია ამო კვეხნა.
ამას ეს უტყვი ჭრილობები დამიმოწმებენ,
რომ, რასაც ვამბობ ჭეშმარიტად მართალი არის.
ფიქრობ, რომ კმარა! მე ზედმეტად ავლაპარაკდი,
თავის ქებაში ნუ ჩამითვლით... ვთხოვთ მომიტყუოთ!
როს მეგობრები შორს არიან, თავს თვითვე ვიქებთ.

მ ა რ კ უ ს ი

აწ მე მისმინეთ: აბა, ყველამ შეხედეთ ამ ბავშვს,
(მიუთითებს ბავშვზე, რომელიც ხელში უჭირავს მსახურს.)

იგი ამქვეყნად დედოფალმა ტამორამ შობა,
და იმ წყვეული შავი მავრის პირმშოა იგი,
რომელიც ყოველ ბოროტების ხორცშემსხმელია.
ის არამზადა ცოცხალია და იმყოფება
ტიტუსის სახლში, ჩვენს სიმართლეს ის დაამოწმებს.
განსაჯეთ, განა არა ჰქონდა ტიტუსს მიზეზი,
რომ ენით უთქმელ წამებისთვის შური ეძია,
რომლის ატანაც არც ერთ სულდგმულს არ ძალუძს
ქვეყნად!

ხომ მოგვისმინეთ, რომაელნო, ახლა რას გვეტყვი?
თუ არ გვამართლებთ, მაშ, გვაუწყეთ, რა ცოდვა გვიძღვის
და მაშინ ამავე ადგილიდან, სად ახლა ვდგავართ,
ანდრონიკუსთა გვარის ნაშთი ხელს მივცემთ ერთურთს
და ამ მაღალი ადგილიდან გადმოვეშვებით,
რომ ჩვენი ტვინი დავანთხოთ პიტალო ქვებზე,
ამით შეწყდება სამუდამოდ ჩვენი ხსენება.
თქვით, რომაელნო, თუ გვამტყუნებთ მე და ლუციუსს,
მაშინ ცივ ქვებზე უსულონი დავენარცხებით.

ე მ ი ლ ი უ ს ი

კეთილშობილო რომაელო, კეისარს ჩვენსას
მოჰკიდე ხელი მოწინებით და ძირს ჩამოდიო.
ლუციუს, ღვაწლი დავიფასდა შესაფერისად
და ხალხი ერთხმად გადიარებს რომის კეისრად.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

მოგესალმებით, კეისარო, რომის მმართველო!

მარკუსი

დიდხანს სიცოცხლე ჩვენს კეისარს, კეთილ ლუციუსს!
(მსახურებს.)

დაუყოვნებლივ წადით მოხუც ტიტუსის სახლში, უმაღლ მომგვარეთ ის ურწმუნო, მზაკვარი მავრი, რომ მიუუსაჯოთ შესაფერი, მკაცრი სასჯელი და მოუუსწრაფოთ ბოროტებით სავსე სიცოცხლე.
(მსახურნი გადიან. ლუციუსი, მარკუსი და სხვანი ძირს ჩამოდიან.)

ყველანი

მოგესალმებით კეისარო, რომის მმართველო!

ლუციუსი

მადლობას გიძღვნი, დიდი რომის კეთილშობილნი, ვეცდები, შევძლო განუკურნო რომს იარები და მწუხარება ავაცილო, მაგრამ ჯერეთ კი ვთხოვთ, ნება დამართოთ, მოვიკრიბო ამისთვის ძალა, რადგან ბუნებამ დამაკისრა სამძიმო ტვირთი! მაშ, გზა მომეცით! ბიძაჩემო, მომიახლოვდი, რომ დავეტიროთ ცხარე ცრემლით უსულო გვამი და ფერწასული, ცივი ბაგე გავეუთხო კონცით.
(კონცის ტიტუსს.)

ტანჯულ სახეზე დაფრქვეული ჩემი ცრემლები, დე, იყოს წრფელი ვალის მოხდა მამის წინაშე.

მარკუსი

დე, შენმა ძმამაც შეგიმშრალოს ცრემლი ცრემლითვე, ამბორს ამბორით უპასუხოხს დამწუხრებულმა.
ო, ეს რომ იყოს საზღაური უსაზღვროდ დიდი, მაინც გიზღავდი, ჩემო ძმაო, მე მთელი გულით.

ლუციუსი

შენც მოდი, შეილო, მოდი ჩემთან და დააფრქვიე საყვარელ პაპას ევ ბავშვური ცრემლი ხალასი... გახსოვს, ალერსით რომ გარწევდა თავის კალთაში და, როს ვიმღერდა, მისი მკერდი სასთუმლად გქონდა. ათასგვარ ზღაპრებს ვიამბობდა მშვიდი ხმით მაშინ, შენს ასაკისთვის შესაფერისს და თავშესაქცევს. მაშ, მოდი, ტკბილო შეილიმშვილო, მის საამებლად შენი ბავშვობის გაზაფხულზე დაღვარე ცრემლი. დედაბუნება თვით მოითხოვს შენგან ამ გლოვას, მწუხარებაში მეგობარი მეგობრად რჩება. დაემშვიდობე, შეილო პაპას! სამარის კართან უპანასკნელად მოიხადე ეს წმინდა ვალი.

ყრმა ლუციუსი

ო, პაპა, პაპა, სიცოცხლესაც გავწირავ შენთვის, ოღონდ შენ ისევ იცოცხლო და ჩვენს შორის იყო! ცხარე ცრემლები მახრჩობენ და ვეღარას ვამბობ, სიტყვის სათქმელად ენა აღარ მემორჩილება.

(შემოდინ მსახურები, აართონ თან ერთად.)

ერთ-ერთი რომაელი

ანდრონიკუსის გვარისანნი, გეყოფათ გლოვა, რამეთუ დადგა დრო, ამ მზაკვარს მოვუღოთ ბოლო, ამ სულის ჩამდგმელს ყოველგვარი ბოროტებისა!

ლუციუსი

მკერდამდე ჩაფლეთ მიწაში და თან აშიმშილეთ. დაე, ყვიროდეს, მოითხოვდეს საჭმელს ამაოდ, ვინც შეიბრალებს და საშველად ხელს გაუწოდებს, ისიც სიკვდილით დაისჯება! თვალი ადევნეთ, რომ ყოველივე, როგორც მე ვთქვი, ისე აღსრულდეს.

აართონი

ო, რატომ არის მძვინვარება სმენადახშული, გააფთრება კი პირაკრული და ყოვლად უტყვი?! ბავშვი არა ვარ, რომ ვინანო! რაც იყო, იყო, და რომ გამაჩნდეს ახლაც რამე უფლება, უმაღლ კვლავ ჩავიდენდი მე უფრო მეტს საზარ სიავეს. არაფერს ვნანობ, რადგან დღეც კი არ მახსოვს ერთი, რომ ჩამედინოს მე სიკეთის მსგავსი რამ ქვეყნად.

ლუციუსი

დე, მეგობრებმა პატივი სცენ კეისრის ცხედარს, დაასაფლაონ განსვენებულ მშობლების ახლოს. მამაჩემი და ლავინია დე დაიმარხონ საგვარეულო აკლდამაში, ჩემს ძმათა გვერდით. რაც შეეხება ავ დედოფალს, ძუ ვეფხვს — ტამორას, ნურც ღირსებია მას დამარხვა და ნურცა ვლოვა, ნურვინ დარეკავს მწუხარების ზარს მის საფლავზე და მისი ლეში გადაუგდეთ მხეცთა და ფრინველთ, რადგან, ვით მხეცმა, არ იცოდა მან შებრალება. უწყალო იყო და წყალობას არ იმსახურებს! უყურეთ, რომ ამ მზაკვარ მავრზე აღსრულდეს მსჯავრი, ის იყო წყარო ყველა ჩვენი მწუხარებისა. ახლა მივხედოთ ქვეყნის საქმეს და ისე ვმართოთ, რომ ჩვენს მიწაზე სამართალმა იხაროს მართო.
(გადიან.)

